

178 /
1990/3

ISSN 0868 — 4537



საქართველოს იურიისტთა კავშირი

სახელმწიფო და სამართალი

1115

8'90

საქართველოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის



კონვენცია იმუღაბითი უროვის შესახებ



მოკვეთა და გაქვევება



სავინი

CIVITAS AC IUS

სარედაქციო საბჭო:

ვახტანგ აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანჯორ ბაბიანი, ოთარ გონაძე,
შოთა გოცბოძე, გივი ინჯიკიძე, აკაკი კარანაძე, ოთარ კაციტაძე,
თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, ღურგიშხან ლორია,
გიორგი ნადარეიშვილი, ნოდარ ნობიერიძე, ვახტანგ რაჭმაძე, ზურაბ რატიანი,
ზრიგოლ როდინიშვილი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უზრახელიძე,
აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაძე, კეკეაჟ უფინიანი, თამაზ შავჭავჭავაძე,
ვიქტორ შარაშენიძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, რამიზ ხალაუბი,
ირაკლი ჩიქოვანი, სერგო ჯორჯიანი.

**მთავარი რედაქტორი
თავმჯდომარე ნინია**

სარედაქციო კოლეგია:

ანზი არსენაშვილი (მენეჯერ-რედაქტორი), ბელა ბერძენიშვილი (პასუხისმგებელი
მდივანი), ოთარ ბაყჩალიძე, როლანდ ბილიგაშვილი, ავთანდილ დამატრაშვილი,
ვალერიან ედიშერაშვილი, მიხეილ კეკელია, გიორგი ლეკვიშვილი,
ალექსი პაპუაშვილი, თეიმურაზ სიღამონიძე, ალექსანდრე ტალიაშვილი,
ჯონი ბატუკიანი, რუსუდან შველიძე, ჯონი ჯალაღანია.

მორიგე რედაქტორი ბელა ბერძენიშვილი.

სახელმწიფო და სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

8 აპრილი
1990

საძიებელი

სამართლის კუბლიცისტთა

ოთარ გამყრელიძე — ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის 3

თეორიის საკითხები

გურჯი ხავანელი — სამართლის აზრის წვდომის პრობლემა 15

თვალსაზრისი

იაკობ ფუტყარაძე — საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფო სუვერენიტეტის
უზრუნველყოფისათვის 25

სასამართლო პრაქტიკა

ჭურაბ გოთუა — გაუბატურების მიმე შედეგის კვალიფიკაცია 39

ალექსანდრე ანკვაბი — უკანონო შემოსავლის წარმოშობის მიზეზები და პირობები 46

ლიანა მელიქიშვილი — დამნაშავეებსა და კანონის მორჩილ მოქალაქეებს შორის
ფსიქიკური გადახრების შესწავლის შედეგები 52

ქართული ჩვეულებითი სჯული

ოთარ ზოიძე — მოკვეთისა და გაძევების შესახებ 56

პერსონალიები

პორსტ ბროდური — ფრიდრიხ კარლ ფონ საეინი 60

ოფიციალური მასხლა

კონვენცია იძულებითი ან სავალდებულო შრომათი საქმიანობის შესახებ 66

რეპლიკა

ოლია ზანგური — დეპუტატობის კანდიდატადაც ფარული კენჭისყრით ავირჩიოთ 78

კონკურსი

79

УКАЗАТЕЛЬ

Публицистика права

Отар Гамкრелидзе — Борьба за правовое государство 3

Вопросы теории

Гурджи Савანели — Проблема вины в понимании права 15

Точка зрения

Яков Путкарაძე — К обеспечению национально-государственного суверенитета Грузии 25

Судебная практика

Зურაბ გოთა — Квалификация тяжких последствий изнасилования 39
 Александр Анкваб — Причины и условия возникновения незаконных доходов 46
 Лиана Меликишвили — Результаты изучения психических отклонений среди преступников и законопослушных граждан 52

Грузинское обычное право

Отар Зоидзе — Об институтах изгнания (гадзевება) и отречения (მოკვება) 56

Персоналии

Хорст Бродур — Фридрих Карл Фон Савини 60

Официальный материал

Конвенция о принудительной и обязательной трудовой деятельности 66

Реплика

Ольга Зангури — И кандидатов в депутаты изберем тайным голосованием 78

Конкурс 79



© „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ.

გადაეცა წარმოებას 12. 07. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 08. 90 წ.
 ფორმატი 70×108^{1/16}. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 1609.

ტირაჟი 24.000

ოთარ გამყრელიძე

ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის

წერილი მეორე

21451

ჩვენ ვისაუბრეთ კანონის უზენაესობის პრინციპზე, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ითქვა ისიც, რომ კანონიერების პრინციპი არ შეიძლება გავაფეშითოთ, თვითმიზნად ვაქციოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გველიარებინა უსამართლო, ზოგჯერ კი დანაშაულებრივი კანონების იურიდიული ძალაც. ყოველივე ეს იმისათვის გვკვირდება, რომ დავიცვათ ადამიანის უფლებები, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ასევე აუცილებელ თვისებას. მის ძირითად ნიშანს წარმოადგენს. ადამიანის უფლებების დაცვას კი სჭირდება საგანგებო გარანტიები, ესე იგი ქვეყანაში უნდა არსებობდეს ამ უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებები. ეს საშუალებები კი შეიძლება იყოს ფორმალურიც და მატერიალურიც ანუ რეალურად არსებული, ესე იგი ისეთი, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების დაცვას. მაგალითად, სასამართლო ადამიანის უფლებებზე დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, მაგრამ ეს დაწესებულება ჩვენში ფორმალურად არსებობს და ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების რეალურ, არსებით დაცვას. რა არის ამის მიზეზი? ამას, ცხადია, ბევრი მიზეზი აქვს, რაც უნდა შესწავლილ იქნეს, რათა შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცეს, გავატაროთ სასამართლო რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების რეალური დაცვის გარანტიას.

უმთავრესი მიზეზი ამისა არის ის, რომ სამართალი ჩვენში ისტორიულად იდეოლოგიზირებულია და პოლიტიკაშია აღრეული. თანაც პოლიტიკას ეკუთვნის პრიმატი სამართლის მიმართ. სამართალი იარაღია, ინსტრუმენტი სახელმწიფო პოლიტიკისათვის და იგი ისე მოქმედებს, როგორც ამ პოლიტიკის გამტარებლებს მოესურვებათ. სამართალი საბჭოთა სახელმწიფოში ყოველთვის გამოხატავდა გარკვეული კლასის ინტერესებს, ესე იგი ის კლასობრივად არის გაგებული. ამიტომ კლასობრივ იდეოლოგიაზე აგებული სამართალი უგულვებელყოფს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რაც ფართო ვზას უხსნის ადამიანის უფლებების დარღვევას და ზელსაყრელ პირობებს ქმნის თვითნებობისა და გაუმართლებელი რეპრესიებისათვის.

სამართალთან ერთად, რასაკვირველია, სასამართლოც ჩვენში ისტორიულად კლასობრივი ბუნებისაა. სასამართლო ისეთი დაწესებულებაა, რომელიც მთლიანადაა დამოკიდებული პოლიტიკურ ორგანოსგან. ამიტომ იგი მართლისა და მტყუანის გამჩვევი კი არა, გარკვეული პოლიტიკის გამტარებელი ორგა-

სამართლებრივი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოა. სამართლის მსგავსად, სასამართლოც იარაღია, ინსტრუმენტი სახელმწიფო პოლიტიკისა. მოსამართლე ტრადიციულად პარტიის წევრია და ამ გზით იგი კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამტარებელია. ამ დებულების სისწორის დასადასტურებლად იმ აშკარად პოლიტიკური მნიშვნელობის სისხლის სამართლის საქმეების გახსენებაც კმარა. ხელისუფლების ცვალებადობის პროცესში რომ აღიძვრობოდა და იხილებოდა ხოლმე ჩვენს სასამართლო ორგანოებში. სასამართლოს და სხვა იურიდიულ დაწესებულებათა ასეთი სავალალო მდგომარეობა დიდი ხანია შემჩნეულია საზოგადოების სხვადასხვა ფენების მიერ, თუმცა მისი აშკარად გამოხატვის შესაძლებლობა ადრე დიდ პიროვნულ რისკთან იყო დაკავშირებული. ამ ბოლო დროს კი ისეთი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რომ იურიდიულ დაწესებულებათა მუშაკებს შორის წარმოიშვა მათი სამსახურებრივი საქმიანობის დეპოლიტიზაციის მოთხოვნა. ეს, მათი აზრით, იმით უნდა გამოიხატოს, რომ გამოიცეს კანონი, რომელიც აუკრძალავს ამ ორგანოების მუშაკებს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრობას (იხ. ია ჯავახიშვილი, როდემდე უნდა მეფობდეს დემაგოგია? „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990 წ. 26 აპრილი). ასეთი კანონი, როგორც ჩანს, მალე გამოვა. ეს იქნება ლოგიკური შედეგი მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლის იმ პროცესისა, რომელიც ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს.

რამდენად დაკარგული აქვს სასამართლოს ჩვენში დამოუკიდებლობა და რამდენად დაკნინებულია მისი როლი საზოგადოებაში, ამას კარგად მოწმობს ტერმინი „სატელეფონო სამართალი“, რომელიც ხშირად გვხვდება პრესის ფურცლებზე და გამოიყენება ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაშიც. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ამა თუ იმ საქმეზე გადაწყვეტილებას სათათბირო ოთახში კი არ იღებს, ყველასაგან დამოუკიდებლად, არამედ საკითხს წყვეტს ტელეფონის ზარის მიხედვით, ისე, როგორც ეს პარტიულ ფუნქციონერს თუ სხვა რომელიმე დაწესებულების მოხელეს ესიამოვნება.

ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ სასამართლოებს ძალზე იშვიათად გამოაქვთ გამამართლებელი განაჩენი. სასამართლომ ამით დაკარგა თავისი ძირითადი დანიშნულება და, მართლმსაჯულების განხორციელების ნაცვლად, საბრალდებო ფუნქციას ასრულებს. სასამართლო ჩვენში მართლმსაჯულების ორგანო კი არაა, საბრალდებო დაწესებულებაა. იგი ამ მხრივ პრაქტიკულად პროკურატურის უბრალო დანამატია. ვინც ერთხელ მაინც დასწრებია სასამართლო პროცესს, უთუოდ დამეთანხმება, რომ სასამართლოში საქმის განხილვის დროს ბრალმდებლის ფუნქციას, პროკურორის ნაცვლად, სასამართლოს თავმჯდომარე ასრულებს. რატომ ხდება ასე? ამის მიზეზი ადვილი ასახსნელია. როცა სახელმწიფო ბრალმდებელმა იცის, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, საქმეს აგრე ადვილად ვერ დააბრუნებს დამატებითი გამოძიებისათვის, ვერც გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს, და, მაშასადამე, განსასჯელის ბედი წინასწარ არის გადაწყვეტილი, ისიც ბრალდების მტკიცებით თავს აღარ იწუხებს. ასე, რომ მთელი შავი სამუშაოს შესრულება ბრალდების დასამტკიცებლად სასამართლო პროცესზე მოსამართლეს უხდება.

საყურადღებოა, რომ შინაგან საქმეთა, საგამოძიებო (პროკურატურის) და სასამართლო ორგანოები „სამართალდამცავი“ ორგანოების ერთიან ცნებაში არიან მოქცეული და ყველას ერთი საერთო ამოცანა — დანაშაულობას-

თან ბრძოლა აქვთ დასახული. სწორედ ამ სინამდვილის ასახვას წარმოადგენს ახლახან პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ასეთი სტრიქონები: უნდა მოხდეს „...შინაგან საქმეთა, პროკურატურის და სასამართლო ორგანოების (ო. გ.) ძალების დარაზმვა, დამნაშავეობასთან დაკავშირებული პროცესების შეფასებისას ერთიანი პოზიციით (ო. გ.) გამოსვლა...“ და ა. შ. ხედავთ, თურმე დანაშაულობასთან „ერთიანი პოზიციით“ უნდა იბრძოდნენ არა მარტო მოკვლევისა და პროკურატურის (საგამოძიებო) ორგანოები, არამედ სასამართლოც! რა მართლმსაჯულების განხორციელებაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენ ამის შემდეგ, როცა დანაშაულობასთან ბრძოლის დროს პროკურატურასაც და სასამართლოსაც „ერთიანი პოზიცია“ უკავიათ? როგორ უნდა მონაწიროს სასამართლომ ერთსა და იმავე დროს პროკურატურის გვერდითაც დადგეს დანაშაულობასთან საბრძოლველად და მართლმსაჯულებაც განახორციელოს? შეგვიძლია ასეთ პირობებში მოვთხოვოთ სასამართლოს, რომ გაამართლოს მართალი კაცი, როცა მას ამ კაცის მიმართ პროკურატურის საბრძოლველად დასკვნა უდევს წინ? სასამართლომ რომ ეს კაცი გაამართლოს, მაშინ ხომ დაირღვევა ის „ერთიანი პოზიცია“, რომელიც სასამართლოს და პროკურატურას, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოებს უნდა ეკავოთ დანაშაულობასთან საბრძოლველად?

აი, რატომ არის, რომ ჩვენში ასეთ იშვიათ ხილად იქცა გამამართლებელი განაჩენი, ამიტომაც ჩვენს სინამდვილეში დიდ ცოდვად ითვლება გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, თუკი ამას ზოგჯერ ვინმე გაბედავს, ვინც უკანასკნელი ორი ათეული წლის საქართველოს სასამართლო პრაქტიკას იცნობს, ალბათ დამემოწმება, თუ რა ძვირად დაუჯდათ მოსამართლეებს ასეთი გაბედულება. ცნობილია, რომ არაერთმა მოსამართლემ შესწირა თავისი სკამი გამამართლებელ განაჩენს. ყოველ გამამართლებელ განაჩენს პროკურატურა ცეცხლითა და მახვილით ებრძვის და მიზანსაც აღწევს. პარტიული ორგანოების მხარდაჭერით პროკურატურამ საბოლოოდ შეძლო მოსამართლეთა კასტის დაშინება და თავისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევა. ეს, რასაკვირველია, იმიტომაც ხდება, რომ მოსამართლე ჩვენში არსებითად დაუცველია. ის სოციალურად სუსტი და სახელგატეხილია საზოგადოების თვალში, რაც ძლიერ აადვილებს მის წინააღმდეგ ბრძოლას.

მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას ხელს უშლის აგრეთვე ჩვენში დამკვიდრებული განაჩენთა სტაბილობის პრინციპის დაცვა. რაც უფრო ნაკლები განაჩენი უქმდება ან იცვლება, მით უფრო კარგად მუშაობენ სასამართლოები, ასეთია ამ პრინციპის დედააზრი. ამის მიხედვით მოწმდება მოსკოვშიც თითოეული რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაობის ხარისხი. ცნობილია ისიც, რომ საქართველო ადრეულ წლებში ამ მხრივ პროცენტულად თითქმის ყველა რესპუბლიკას ჩამორჩებოდა. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და ჩვენს რესპუბლიკაში განაჩენთა სტაბილობის პრინციპი განმტკიცდა, რადგან, ბევრ რესპუბლიკასთან შედარებით, აქ უფრო ცოტაა განაჩენთა გაუქმებისა და შეცვლის შემთხვევები. რამდენად სასამართლოა საკითხისადმი ასეთი მიდგომა? ხომ არ ხდება განაჩენთა სტაბილობის პრინციპის დაცვა მართლმსაჯულების სწორად განხორციელების ხარჯზე? ეჭვი არ არის, რაც უფრო ბევრია განაჩენთა გაუქმებისა და შეცვლის შემთხვევები, მით უფრო ცუდად მუშაობენ ის სასამართლოები, რომლებმაც ეს განაჩენები გამოიტანეს, თუკი, რასაკვირველია, ეს გაუქმება ან შეცვლა

კანონიერი და დასაბუთებულია. სამაგიეროდ კარგად მუშაობენ ის სასამართლო ორგანოები, რომლებიც აუქმებენ ან ცვლიან უკანონო და დაუსაბუთებელ განაჩენებს. ცხადია, იდეალური და ბუნებრივი გახლავთ ისეთი მდგომარეობა, როცა სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები არც გაუქმებას და არც შეცვლას არ საჭიროებენ. მაგრამ ყოველად გაუმართლებელი უნდა იყოს ვითარება, როცა განაჩენთა სტაბილობის პრინციპის დაცვა თვითმიზნად იქცევა და როცა პროტესტი არ იწერება იმის გამო, რომ არ შეირყეს განაჩენთა სტაბილობა, არ გაუარესდეს სასამართლოების მუშაობის მაჩვენებელი. მართლმსაჯულების განხორციელება გულისხმობს ყოველი საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და აქ პროცენტების გამოდევნება ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას მოასწავებს. ამიტომ შემდგომი სასამართლო ინსტანციების გადაუდებელი ვალია გააუქმოს და შეცვალოს ყველა გასაუქმებელი და შესაცვლელი განაჩენი მიუხედავად იმისა, თუ როგორ აისახება ეს გაუქმება სასამართლოების მუშაობის პროცენტულ მაჩვენებელზე.

კიდევ ერთი საკითხიც. ზოგჯერ პროტესტი ამა თუ იმ საკითხზე იწერება განაჩენის გამოტანიდან ორი —სამი წლის თუ მეტი ხნის შემდეგ. თანაც ამ დროის განმავლობაში საქმეს არაფერი არ მიმატებია, რაიმე ახალი გარემოება არ აღმოჩენილა. გიკვირს, რატომ დასჭირდა პროტესტის დაწერას ამდენი ვადა, რატომ დაუყოვნებლივ არ დაიწერა პროტესტი, როცა გაირკვა, რომ განაჩენი გასაუქმებელი ან შესაცვლელია? რატომ ხდება ასე? საქმე ის გახლავთ, რომ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც პროტესტი იწერება, უხდება უზარმაზარი წინააღმდეგობის დაძლევა, ზოგჯერ სრულიად ელემენტარული ქვეშაობების მისაღწევად. ამას სჭირდება უდიდესი ენერჯია, ნებისყოფა და ფულადი სახსრებიც. იმედდაკარგული მომჩივანი ამ დროს არაფერს ზოგავს, ზოლო თავისთავად ასეთი ვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნის მექრთამეობისა და კორუფციისათვის. ყოველივე ეს მაინც იმის ნაყოფია, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი და მარიონეტის როლს ასრულებს გავლენიანი ძალების ხელში.

მართლმსაჯულების განხორციელება უაღრესად ფაქიზი საქმეა და ამიტომ მასზე უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს ერთი შეხედვით თითქოსდა სრულიად უმნიშვნელო ფაქტორმაც კი. ცნობილია, რომ ამჟამად მოქმედი სასამართლო სისტემა არ გამოორიცხავს მოსამართლის რამდენიმე ვადით არჩევას. ამიტომ მოსამართლეები გადარჩევის ვადის მოახლოებისას ცდილობენ ისე წარმართონ თავიანთი საქმიანობა, რომ გაინაღდონ ახალი ვადით არჩევა. იყო შემთხვევა, როცა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე სიკვდილის განაჩენი გამოიტანა იმ დროს, როცა მოსამართლეს ის-ის იყო გადარჩევა ელოდა. ეტყობა, მან, იფიქრა, რომ განზრახი მკვლელობისათვის სიკვდილის განაჩენს მოწონებით შეხვდებოდნენ ის ძალები, რომლებსაც მისი ახლად არჩევის საკითხი შეეძლოთ გადაეწყვიტათ. სასამართლომ უხეშად დაარღვია კანონიერების პრინციპი. საბედნიეროდ, განაჩენი გააპროტესტეს და ადამიანი სიკვდილს გადარჩა. ამიტომ არის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეს ირჩევენ მხოლოდ ერთი ვადით.

სასამართლოში ადამიანის უფლებების დაცვა შეუძლებელია დამოუკიდებელი და მძლავრი ადვოკატთა კორპორაციის გარეშე. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც ადვოკატთა კორპორაცია სახელმწიფო დიქტატის ქვეშ იმყოფება. იუსტიციის

სამინისტროს გააჩნია საგანგებო ქვედანაყოფი, რომელიც კონტროლს უწევს ადვოკატურას, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან ყოვლად შეუთავსებელია. ამიტომაც არის, რომ ადვოკატი ჩვენში სუსტია და დაუცველი, ხოლო ადვოკატს, რომელიც თვითონ არის დაუცველი, როგორ შეუძლია განხორციელოს განსასჯელის წარმატებით დაცვა! ალბათ ამით უნდა აიხსნას ის შემთხვევები, როცა განსასჯელი ზოგჯერ უნდობლობას უცხადებს მთელ რესპუბლიკას და ადვოკატი რუსეთიდან (ძირითადად მოსკოვიდან) ჩამოყავს, რაც, ცხადია, აძვირებს დაცვას და მას ბევრისათვის ხელმიუწვდომელს ხდის. სწორედ ამ უუფლებობით უნდა აიხსნას ის, რომ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ძლიერ ეძალებიან საგამოძიებო ორგანოებს და უარს ამბობენ ადვოკატურაში წასვლაზე.

ყველაზე სავალალო მაინც ის გახლავთ, რომ საქართველოს ადვოკატთა კორპორაცია ბოლო ხანებში თანდათანობით დაიცალა კვალიფიციური, პროფესიული კადრისაგან. ბევრი სახელგანთქმული ადვოკატი გარდაიცვალა, ზოგიც პენსიაში გაუშვეს... ამჟამად ადვოკატთა კორპორაციის შევსება ძირითადად შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, პროკურატურიდან და სასამართლოდან გამოშვებული ხალხით ხდება. არის შემთხვევები, როცა ყოფილ მოსამართლეს, რომელსაც ჯერ პენსია არ უწევს, სთავაზობენ ადვოკატურას, მაგრამ იგი ამ წინადადებით შეუტარაცხოფილად გრძნობს თავს და დაყინებით მოითხოვს პროკურატურის სისტემაში გამწესებას. ვინც ამ შემთხვევებს დაკვირვებია, ადვილად მიხვდება, თუ რა სავალალო მდგომარეობაშია დღეისათვის ადვოკატთა კორპორაცია. გამოდის, რომ ამ კორპორაციას აგდებულად უყურებს არა მარტო ის, ვინც იქ მუშაობას სთავაზობს ყოფილ მოსამართლეს თუ მილიციელს, არამედ ისიც, ვისაც ამ ადგილს სთავაზობენ. პირველი ცდილობს პროკურატურას მოუფრთხილდეს და ადვოკატურა თუნდაც წყალსაც წაუღია, მთავარია პროკურატურაში იყოს ნორმალური კადრი, ადვოკატურამ კი თუნდაც თავში ქვა იხალოს. მეორე კი, გრძნობს, რომ ადვოკატურა უუფლებო და უპრესტიჟო დაწესებულებაა. ამიტომ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა როგორმე მოხვდეს პროკურატურის სისტემაში. მაგრამ ეს უკანასკნელნი ყოველთვის ვერ აღწევენ საწადელს და ასე ნელ-ნელა ივსება ადვოკატთა კოლეგია ყოფილი მოსამართლეებით, პროკურორებით, მილიციელებით და ა. შ. და ა. შ. ამიტომ არის, რომ დღეისათვის ადვოკატთა კორპორაცია აღარ არის ის, რაც უნდა იყოს. ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სახელმწიფოში ადამიანის ბრალდებაზე უფრო მეტად ზრუნავენ, ხოლო დაცვა არავის არ აინტერესებს.

სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო (და სხვა ორგანოებიც) დამოუკიდებელი უნდა გახდეს, რაც შესაძლებლობას მისცემს მას დაიბრუნოს თავისი ნამდვილი ფუნქცია — მართლმსაჯულების განხორციელება. სასამართლო ცალმხრივად კი არ უნდა მოქმედებდეს, მან უნდა განსაჯოს, ვინ არის მართალი და ვინ არის მტყუანი. მხოლოდ ასეთ პირობებში შეძლებს ის თავისუფლად გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, თუკი, რასაკვირველია, ამის სამართლებრივი საფუძველი ექნება.

მაგრამ იმისათვის, რომ სასამართლო ნამდვილად იქცეს მართლმსაჯულების განმანხორციელებელ ორგანოდ, საჭიროა მას შეეუქმნათ მუშაობის ელემენტარული პირობები. კეთდება თუ არა ამისათვის რაიმე საბჭოთა კავშირში

თუ ყველაფერი, რაც ამ ბოლო წლებში ითქვა, რჩება „ხმად მლაღადებლობის უდაბნოსა შინა?“ რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ჯერ არაფერი გაკეთებულა. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში სასამართლოს რეზოლუციებს პირობები ერთგვარად გამოუკეთდათ. მაგალითად, მოსამართლეებს და სასამართლოს სხვა მომსახურე პერსონალს საგრძნობლად მოემატათ ხელფასები. მოსამართლეებს და სახალხო მსაჯულებს, 1989 წ. 4 აგვისტოს სსრ კავშირში მოსამართლის სტატუსის კანონით თუ ვიმსჯელებთ, სხვაგვარადაც გაუუმჯობესდათ მუშაობის პირობები.

სხენებული კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია ტრადიციული კონსტიტუციური პრინციპი, რომ მოსამართლე და სახალხო მსაჯული დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება (1). მაგრამ ამ პრინციპს ახლა თან ახლავს მისი უზრუნველყოფის გარანტიებიც, სადაც ზოგადად არის ნათქვამი მოსამართლის „მატერიალურ და სოციალურ უზრუნველყოფაზე“ (2), რაც, როგორც ვთქვით, პრაქტიკულად ნაწილობრივ უკვე განხორციელდა.

მე-4 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სასამართლოს უპატივეცემულობისათვის, რაც კონკრეტულად უნდა განისაზღვროს შესაბამისი კანონმდებლობით (ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის). თუ რამდენად ეფექტური იქნება ასეთი პასუხისმგებლობის დაწესება, ამას ალბათ მომავალი გვიჩვენებს. ახლა მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს პრესტიჟი ბუნებრივად უნდა ამალდდეს. ეს მაშინ მოხდება, როცა ხალხი დარწმუნდება, რომ ეს ორგანო სხვისგან დამოუკიდებლად და სამართლიანად მოქმედებს.

თავისი სიახლით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მე-5 მუხლი მოსამართლის სტატუსის კანონისა. ამ მუხლის თანახმად, აკრძალულია „მართლმსაჯულების განხორციელების“ საქმიანობაში ჩარევა (1), ხოლო სასამართლოზე ზემოქმედება იმისათვის, რათა მიღწეული იქნეს უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა, რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს ეს ზემოქმედება, გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (2).

თავისთავად ასეთი ცდა სასამართლოს საქმიანობის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად უთუოდ მისასაღებელია. მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად ეფექტური იქნება იგი და ხომ არ დარჩება ასეთი ნორმა მკვდარ ნორმად სისხლის სამართლის კოდექსში. „სატელეფონო სამართალი“ ჩვენში დიდი სიფრთხილით ხორციელდება და იმის დამტკიცება, რომ მოსამართლეზე ახდენდნენ ან ნამდვილად მოხდა ზემოქმედება, ძალზე ძნელია. უმთავრესი წყარო ამ ფაქტის მტკიცებისა მაინც თვითონ მოსამართლეა, რომელზეც ზემოქმედება ხდებოდა ან მოხდა. ის მოსამართლე, რომელსაც ეყოფა ვაჟკაცობა განაცხადოს, რომ მასზე ხდება ზემოქმედება, სხვისგან დამოუკიდებლადაც ადვილად შეძლებს ამ ზეგავლენისაგან თავის დაღწევას და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. გამოთქმა „ეყოფა ვაჟკაცობა“ მე აქ იმიტომ ვიხმარებ, რომ ასეთი რამის განცხადება თვითონ მოსამართლისათვის არის დიდ რისკთან დაკავშირებული. ჯერ ერთი, თუკი ზეგავლენა უკვე მომხდარია და გადაწყვეტილება მოსამართლემ ამ ზეგავლენის შედეგად მიიღო, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიეცემა (იხ. საქართველოს სსრ სსკ-ის 192 მ.). იმიტომ მოსამართლე, ცხადია, ამ ამბავს არ გაამხელს. მეორეც, თუ მხოლოდ ცდა იყო ზემოქმედებისა და მოსამართლეს (სასამართლოს) ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია, მას მაინც

გაუჭირდება ამ ამბის გამო ხმაურის ატეხა. რადგან ძნელია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა შედეგი მოჰყვება მის განცხადებას. ამიტომ მოსამართლე ასეთ რისკზე არ წავა. მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი აქ ის არის, რომ საქმეს, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტით დაინტერესებულია ესა თუ ის ფუნქციონერი, ნებისმიერ მოსამართლეს როდი ანდობენ განსახილველად. ამისათვის საგანგებოდ ყავთ შერჩეული „ერთგული კაცი“ და იმას ენდობიან. ასე, რომ ზემოქმედება ძალზე ფრთხილად და ფაქიზად ხდება. რაც კვალს თითქმის არ ტოვებს.

მეტად საგულისხმოა მე-5 მუხლით გათვალისწინებული ნორმა, რომლის მიხედვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება არა აქვთ თავიანთი შეტყობინების დროს წინასწარ განსაზღვრონ სასამართლო განხილვის შედეგები კონკრეტული საქმის გამო ან სხვა გზით მოახდინონ ზემოქმედება სასამართლოზე გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე (3).

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას ის, რომ ასეთი ნორმა პირველად შემოვიდა საბჭოთა კავშირის კანონმდებლობაში. ასე, რომ დღეს უკვე დაკანონებულია ის დებულება, რომელსაც აქამდე დაუწერელი ნორმის სახით ვაღიარებდით და ისე ვაკრიტიკებდით პრესას და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს.

მეორეც ის, რომ რახან კანონი ლაპარაკობს ზემოქმედებაზე გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ლოგიკურად კანონმდებელი უშვებს პრესის ფურცლებზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობას გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ეს დებულება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ პრაქტიკოს იურისტთა შორის გავრცელებულია შეხედულება, თითქოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ირგვლივ კრიტიკული აზრის გამოთქმა არ უნდა იყოს სწორი. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან გადაწყვეტილების კრიტიკა ისევე ნებადართული უნდა იყოს, როგორც ნებადართულია კანონის კრიტიკა, თუკი რასაკვირველია, ეს კრიტიკა საქმიანი და დასაბუთებულია.

მესამეც ის, რომ ამ ნორმას არ ახლავს მისი დაცვის უზრუნველყოფის რაიმე გარანტია. ამიტომ იგი ჯერ-ჯერობით ჰაერში გამოკიდებულია და უბრალო აკრძალვად რჩება. როგორც ჩანს, სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის აკრძალვამ რომ თავის მიზანს მიაღწიოს, საჭირო იქნება პრესის კანონმდებლობის გამოცემა, რომელიც, რამდენადაც ცნობილია, უკვე მზადდება.* ვფიქრობთ, იქ გათვალისწინებული იქნება დიდი ფულადი ჯარიმების დაკისრება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის სასამართლო საქმიანობაში უკანონო ჩარევის გამო. შესაძლებელია გამოინახოს სხვა გზაც ამ ნორმის დაცვის უზრუნველყოფისათვის. ამისათვის აუცილებელი იქნება საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილების გაზიარებაც.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ სასამართლომ ნამდვილი დამოუკიდებლობა მოიპოვოს და იქცეს იმ ორგანოდ, რომელიც ჭეშმარიტ მართლმსაჯულებას განახორციელებს. მართო ხელფასების მომატება ვერ მოსპობს. ჩვენს სასამართლოებში ტრადიციულად დამკვიდრებულ კორუფციასა და მექრთამეობას. ამისათვის აუცილებელი იქნება მკაცრი ზნეობრივი ცენზის შემოღება მოსამართლეთა კანდიდატურების შერჩევის დროს, რაც ჩვენში რეალურად არასოდეს არ ხდებოდა. ერთი სიტყვით, საჭიროა არა

* ეს კანონი უკვე მიღებულია (რედ.).

სანახევრო, არამედ სრულყოფილი, ნამდვილი სასამართლო რეფორმის გატარება. ასეთი რეფორმის გატარების აუცილებლობა კარგა ხანია იგრძნობა. თუმცა ამის ხელსაყრელი პირობები დიდი ხანი არ არის რაც დადგა. როგორც კი ეს პირობები შეიქმნა, მაშინვე ვაისმა ნანატრი ხმა, რომ შემოდებულყოფილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი. მაგრამ რეალურად ჯერ არაფერი ამის მსგავსი არ ჩანს. ალახან (10.4.90) საბჭოთა კავშირის სასამართლო წყობილების კანონში შეტანილმა ცვლილებამ მხოლოდ ფორმალურად მოიხსენია „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“, არსებითად კი მოქმედ სასამართლო სისტემაში მას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. ხსენებული კანონის მე-9 მუხლის თანახმად, იმ დასაშაულის საქმე, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათ წელზე მეტი ვადით ან სიკვდილით დასჯას. უნდა განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, ესე იგი სახალხო მსაჯულთა გაფართოებულმა კოლეგიამ. როგორც ვხედავთ, კანონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტს მსაჯულთა რაოდენობის მიხედვით განსაზღვრავს. სინამდვილეში ეს ინსტიტუტი სულ სხვა რამეს აღნიშნავს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაწესება ნიშნავს იმას, რომ ნაფიცი მსაჯულები სხვა საკითხს წყვეტენ, ხოლო მოსამართლე სხვას. მსაჯულები არ არიან პროფესიონალი იურისტები. ამიტომ ისინი არ წყვეტენ იურიდიულ საკითხს, მათ გამოაქვთ ვერდიქტი მომხდარი ფაქტის გამო. ხოლო მოსამართლე, თუკი ვერდიქტი, ესე იგი გადაწყვეტილება განსასჯელის საწინააღმდეგოა, განსაზღვრავს სასჯელის სახესა და ზომას. ამყამად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხვადასხვა სისტემა მოქმედებს. მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისეთი სისტემა უნდა დავამკვიდროთ, რომელიც ქართველი ხალხის ბუნებას, მის ფსიქოლოგიას ყველაზე მეტად შეეფერება.

სასამართლოს და საგამოძიებო ორგანოთა რეფორმაზე როცა ვმსჯელობთ, ყურადღებას იქცევს დამცველის დაშვების საკითხი წინასწარი გამოძიების სტადიაზე. ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრამდე დაცვა საერთოდ არ დაიშვებოდა წინასწარი გამოძიების დროს. 1958 წლის კანონით ეს საკითხი მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდა და დაცვა დაუშვეს იმ მომენტიდან. როცა გამოძიება დამთავრდება და ბრალდებულს წარუდგენენ მასალებს გასაცნობად, ხოლო ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში დამცველის აყვანის უფლება მიეცა ადამიანს ბრალდების წაყენების მომენტიდან (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 43). პროგრესული იურიდიული აზრი საბჭოთა კავშირში დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა იმისათვის, რომ დაცვა დაშვებული ყოფილიყო ბრალდების წაყენების მომენტიდან ან უფრო ადრეულ სტადიაზეც. ამას წინათ საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს სესიამ განიხილა კანონპროექტი დამცველის დაშვების საკითხზე. თუმცა ზოგიერთი დეპუტატი უარყოფითად იყო განწყობილი, სესიამ მაინც მაილო კანონი, რომლის ძალითაც დაცვა დაიშვება ბრალდების წაყენების მომენტიდან, ხოლო წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში ექვმიტანილი დაცვით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაპატიმრების მომენტიდან ოცდაათი საათის განმავლობაში.

სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო დამოუკიდებელი რომ უნდა იყოს და მართლმსაჯულებას თავისუფლად ახორციელებდეს ეს, რასაკვირველია, ელემენტარული ჭეშმარიტებაა. მაგრამ პრაქტიკულად ამის მიღ-

წევა ძალიან ძნელია და მოითხოვს დიდ დროსა და ენერგიას, დიდ მონღომე-
ბასაც მთელი საზოგადოების, მთელი ხალხის მხრივ. ზოგიერთ მოწინავე ქვე-
ყანაში, რომლებსაც სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის დიდი ტრა-
დიციები აქვთ, მოსამართლეთა კასტა სახელმწიფო ხელისუფლებისაგან და-
მოუკიდებლად არსებობს. გამოჩენილი ფრანგი იურისტი რენე დავიდი თავის
განთქმულ წიგნში „ძირითადი სამართლებრივი სისტემები თანამედროვეო-
ბისა“ საბჭოთა სამართალს რომ ეხება, წერს: საბჭოთა კავშირში არ არსებობს
„მოსამართლეთა კასტა, რომელსაც, თუ უფრო მეტი არა, პრეტენზია მაინც
ექნებოდა იმისა, რომ მოეპოვებინა დამოუკიდებლობა სახელმწიფო ხელისუფ-
ლებისაგან, ასეთი კასტა არასდროს არ ყოფილა რუსეთში, სადაც 1864 წლამ-
დე მოსამართლე უბრალო ჩინოვნიკად ითვლებოდა, ხოლო 1864-დან 1917
წლამდე მოსამართლეთა კორპუსმა თუმცა კი იგრძნო ავტონომიის აუცი-
ლებლობა, მაგრამ ვერ შეძლო მისი მოპოვება“. ავტორს, როგორც ჩანს, მხედ-
ველობაში აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი, რომელიც რუ-
სეთში შემოიღეს 1864 წლის სასამართლო რეფორმის შედეგად. გასათვალის-
წინებელია აგრეთვე ა. კონის და სხვა გამოჩენილი იურისტების მოღვაწეობა,
რომლებმაც უთუოდ წინ წასწიეს რუსეთში მართლმსაჯულების განხორციე-
ლების კულტურა (ამისათვის მარტო ვ. ზასულიჩის გახმაურებული სასამართ-
ლო პროცესის გახსენებაც კმარა!). 1917 წ. შემდგომ პერიოდზე, ცხადია, ჩვენ
ამას ვერ ვიტყვით, რადგან დღემდე არავითარი პირობები არ შექმნილა იმი-
სათვის, რომ მოსამართლეთა კასტას „ავტონომიის აუცილებლობა“ ეგრძნოს.

რა უნდა გაკეთდეს ამისათვის? უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას
ისეთი პირობები, რომ გამოირიცხოს მოსამართლედ შემთხვევითი ადამიანის
არჩევა. უნდა შემუშავდეს სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც გან-
საზღვრავს იმ ცენზებს, რასაც კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს. მარტო
იმის აღნიშვნა, რომ მოსამართლედ აირჩევა კაცი, რომელიც ამდენი და ამდე-
ნი წლის არის და იურიდიული განათლება აქვს, ცხადია, არ კმარა.

აუცილებელია აგრეთვე სასამართლო პროცესის მეტი დემოკრატიზაცია.
როგორც ვიცით, კანონით გათვალისწინებული ზოგი გამონაკლისის გარდა,
სასამართლო განხილვა საქმისა ღიად მიმდინარეობს და ყველას შეუძლია
დაესწროს და ნახოს, რა ხდება იქ. მაგრამ ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ
სულ უახლოეს წარსულშიც კი პოლიტიკური მნიშვნელობის პროცესები, ესე
იგი პროცესები, სადაც დისიდენტების, პარტიულ ფუნქციონერთა და სხვა-
თა საქმეები იხილებოდა, კანონით თითქოს ღია იყო, ფაქტიურად კი დახურუ-
ლად მიმდინარეობდა და იქ „საეჭვო პირთა“ დასწრება „სასურველად“ არ
მიიჩნეოდა. უფრო მეტიც, ეს პროცესები შემდეგ პრესის ფურცლებზე და
მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აშკარად ტენდენციურად შექ-
დებოდა ხოლმე და „დაიყვანებოდა“ მოსახლეობის ფართო ფენებამდე.
„დაყვანა“ იმას ნიშნავდა, რომ როგორმე დაერწმუნებინათ ყველა განაჩენის
დასაბუთებულობასა და სისწორეში. მაგრამ მოსახლეობის გაზრდილი მართლ-
შეგნების გამო „დაყვანა“ აშკარად საწინააღმდეგო შედეგს იწვევდა და კიდევ
უფრო უტეხდა სახელს ჩვენს საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანო-
ებს. სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთი რამ, ცხადია, აღარ უნდა განმეორ-
დეს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ შეიქმნას ოფიციალური პრესის
ორგანო, სადაც გახმაურებული სასამართლო პროცესების სტენოგრამები და-
ბეჭდვება ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ზოგიერთი განსაკუთრებით სა-

ინტერესო სასამართლო პროცესის სტენოგრამა შეიძლება ცალკე ბროშურის სახითაც დაიბეჭდოს. ერთი სიტყვით, უნდა აღსდგეს (თუკი ოდესმე არსებობდა) სასამართლო ქრონიკის ენარი.

სამართლებრივ სახელმწიფოში სრულიად უნდა გაქრეს მართვის ბიუროკრატიული მეთოდი. როგორ შეიძლება ამის მიღწევა? ამ სენს, რასაკვირველია, უბრალო კრიტიკით ვერ განვკურნავთ. ამიტომ აქაც სამართალი უნდა მოგვეშველოს. განვიხილოთ ისეთი საკითხი, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო (პარტიული) აპარატის ხელმძღვანელი მოხელის მოსვლა ამა თუ იმ დაწესებულების სათავეში და მისი წასვლის წესი ამ ადგილიდან. როგორ ხდება ეს ტრადიციულად ჩვენში? არავითარი საქმიანი თვისებები, არავითარი პროფესიული დაოსტატება ამისათვის საჭირო არ გახლდათ. ახალგაზრდას, რომელიც დიდ ასპარეზზე გასვლისათვის ემზადებოდა, უპირველეს ყოვლისა, პარტიის წევრობაზე უნდა ეზრუნა, რადგანაც მან იცოდა, კარგი პროფესიონალი, მაგრამ უპარტიო, ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვერ მოხვდებოდა. მაგრამ პარტიის წევრი სანამ გახდებოდა, უმჯობესი იყო, ჯერ კომკავშირული სკოლა გაევიღო, ჯერ იქ დაწინაურებულიყო თანამდებობაზე და იქიდან შემდეგ იწყებდა პარტიულ კარიერას. პროფესიას, როგორც ვთქვით, ან საერთოდ არ უწევდნენ ანგარიშს, ანდა მასაც ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, თუკი უნდოდათ, რომ კაცი დაენიშნათ პროკურორად, აუცილებელი იყო მას პარტიის მანდატთან ერთად, იურისტის დიპლომიც ჰქონოდა, პროფესიულ ცოდნას, გამოცდილებას ყურადღება არ ექცეოდა. პირიქით, უკეთესიც კი იყო, რომ ასეთ კაცს დაბალი პროფესიული განათლება ჰქონოდა, რადგანაც მასთან თანამშრომლობა უფრო „ადვილი“ იყო. ვინ არ იცის, რომ რაც უფრო დაბალია კაცის პროფესიული ცოდნა, მით უფრო ძლიერად არის ის დამოკიდებული თავის ხელმძღვანელობაზე. მაინც როგორ ხვდება კაცი ხელმძღვანელ თანამდებობაზე? სასურველობის ნიშნით. უფროსი უნდა დარწმუნდეს, რომ კაცს, რომელსაც ხელქვეითად ნიშნავს, ფორმალურად (პარტიულობა, პროფესია) შეეფერება ამ ადგილს და მისთვისაც სასურველი კანდიდატურაა. დანიშნით მოხდება ეს თუ არჩევით, ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყველაფერს სძლევს ზემდგომი ხელმძღვანელის ნება-სურვილი. ამიტომ იყო, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნა სრული განუკითხაობის პირობებში ხდებოდა და ხდება დღესაც ჯერ-ჯერობით. ნაცნობ-მეგობრობასთან შეერთებული კორუფცია და მექრთამეობა ჯერაც არ არის აღმოფხვრილი.

განსაკუთრებით გავრცელებულია ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნა ასე ვთქვათ, თანამგზავრობის პრინციპით ანუ ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანის გზით. საქმე ის არის, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნა საგანგებო ნომენკლატურას შეადგენდა ტრადიციულად. ამიტომ კაცი ცდილობდა, როგორმე ამ ნომენკლატურის მუშაკი გამხდარიყო. თუკი ის ამას შეძლებდა და ერთხელ მაინც მოხვდებოდა ამგვარ თანამდებობაზე, მერე ყველაფერი მასზე იყო დამოკიდებული. ბიუროკრატიული აპარატის ასე თუ ისე მაღალ ეშელონებში მოხვედრის შემდეგ, ის იწყებდა ამ აპარატში მუშაობის დაუწერელ წეს-ჩვეულებების ათვისებას. რაც უფრო კარგად ათვისებდა იგი ამ დაუწერელ „სამართალს“, მით უფრო მეტად გაიხანგრძლივებდა აპარატში ყოფნას და მით უფრო დაწინაურდებოდა. ამის შემდეგ იგი იქცევა თანამგზავრად და როგორც ციური სხეული ბრუნავს რომელიმე უფრო

ძლიერი სხეულის გარშემო. ისიც ამ ბიუროკრატიული აპარატის გარშემო იწყებს ბრუნვას. თანამდებობისთვის შეუფერებლობა, დაბალი პროფესიული დონე არაფერს ნიშნავს. მთავარია, რომ მან არ უნდა უღალატოს ბიუროკრატიულ აპარატში დადგენილ წეს-ჩვეულებებს. თუკი ერთ თანამდებობაზე ვერ გამოიჩენს თავს და სახელი გაუტყდება, მას მეორე თანამდებობაზე გადაიყვანენ. გადაყვანა ხდება მაშინაც, როცა თანამდებობა ვინმესათვის სჭირდებათ და სხვ. ერთი სიტყვით, იქმნება ადამიანთა კასტა, რომლებმაც აუცილებლად ხელმძღვანელ თანამდებობაზე უნდა იმუშაონ. მაშინ საქმეს ვინღა აკეთებს, რაღაც მაინც ხომ კეთდება დაწესებულებაში? საქმეს აკეთებს მოადგილე ან უფრო დაბალი რგოლის მუშაკი ანუ მუშაკები, რომლებიც ასე თუ ისე პროფესიონალებად ითვლებიან. ერთი სიტყვით, მთელი ტრაგედია ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა ის არის, რომ საქმის მკოდნე კარგი პროფესიონალი ტრადიციულად დაბეჩავებული, დაჩაჩანაკებულია, მას გასაქანი არა აქვს. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენში ტრადიციულად ასე დაეცა პროფესიონალიზმი და ცოდნა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, პოპულარული აღარ არის. ახალგაზრდა არ ცდილობს ცოდნის შეძენას. იგი უფრო იმას ფიქრობს, როგორ მოიპოვოს კარიერა, რისთვისაც საქმიანი უვისებები, ცოდნა აუცილებელი არ გახლავთ. ეს, რასაკვირველია, როდი ეხება მთელ ახალგაზრდობას, რომლის შეგნებული ნაწილი ყოველნაირად ცდილობდა და დღესაც ცდილობს მიღწიოს პროფესიულ დაოსტატებას. სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანები, ცხადია, თავიანთი საქმიანი თვისებების გამო უნდა წინაურდებოდნენ. პროფესიონალიზმი, საქმის ცოდნა განმსაზღვრელი უნდა იყოს.

ქართულ ენაში არსებობს ერთი გამოთქმა, რომელიც ამ მნიშვნელობით ვგონებ მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში უნდა იხმარებოდეს — „ნეტავ როდის გააგდებენ ამ კაცს?“ — ვამბობთ ხოლმე ჩვენ მავანისა და მავანის მიმართ. ეს დამამცირებელი გამოთქმა გამოიყენება იმ მაღალი მოხელის მიმართ, რომელმაც თავი მოაბეზრა ხალხს ერთი და იმავე თანამდებობაზე დიდი ხნის განმავლობაში ყოფნით. თუმცა ასეთი გამოთქმა მართო ქართულ ენაში არ იხმარება. რუსები ამბობენ: «Когда его будут выгонять?» და ამ ფრაზასაც იმავე მნიშვნელობით იყენებენ. რატომ შეიქმნა ეს გამოთქმა ამ მნიშვნელობით, რატომ ნატრულობს ზოგჯერ ხალხი ამა თუ იმ დიდმოხელის „გაგდებას?“ განა მართო იმიტომ, რომ ეს მოხელე არაფრის გამკეთებელია და ხალხს თავი მოაბეზრა? რასაკვირველია, არა. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლშევიზმის ბატონობის ეპოქაში არ არსებობდა ამა თუ იმ ხელმძღვანელი მოხელის მიერ თანამდებობის დატოვების იურიდიულად მყარად დადგენილი წესი, რომელიც წესრიგს შეიტანდა სახელმწიფო აპარატის მუშაობის სისტემაში. იქაც კი, სადაც მოხელის არჩევა გარკვეული ვადით ხდება, ამ არჩევას არავითარი მნიშვნელობა არ ეძლევა, რადგან არ არის დადგენილი, რამდენი ვადით აირჩევა ის. დიქტატურის დროს, ცხადია, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. დიქტატორი თანამდებობაზე თავის ყოფნის ვადას, ბუნებრივია, არ განსაზღვრავს. ასევე ეძლეოდათ ეს შეღავათი დაბალი რანგის მოხელეებსაც, რომლებიც დიქტატურის განმტკიცებას ემსახურებოდნენ. ამიტომ იყო, რომ ტრადიციულად ჩვენში თანამდებობის დატოვების ორი გზა არსებობდა: ან მიქელ-გაბრიელმა უნდა მოაკითხოს მოხელეს და წაიყვანოს, ანდა ის უნდა „გააგდოს“ ზემდგომმა მოხელემ. თუკი ამ უკანასკნელისათვის მიზეზთა და მიზეზთა გამო ხელქვეითი ზედმეტი აღმოჩნდება, და მისი ახალ

პრესტიჟულ თანამდებობაზე გადაყვანა მიზანშეწონილად არ მიაჩნია. მას ეს „გაგდება“ ხშირად ადვილი როდია, რადგან ქვემდგომი გრძნობს უფროსის მოქმედების უსამართლობას და „გამგდებელს“ ადვილად არ ემორჩილება. ასეთ დროს ხშირად ტრაგიკული ორთაბრძოლა იმართება ხოლმე, სადაც ყოველგვარ შანტაჟს, პროვოკაციას თუ სხვა უზნეობას დიდი გასავალი აქვს. უკანასკნელ წლებში ჩვენ რამდენიმე ასეთი ტრაგიკული ორთაბრძოლის მოწმენი გავხდით, სადაც ზოგჯერ საქმე სასამართლომდეც კი მივიდა. არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის მოხელე, რომელიც თავისი ხელქვეითის ამ წესით „გაგდებას“ გამართლებულად თვლის, სულ მალე თვითონ აღმოჩნდება ხოლმე იმავე მდგომარეობაში მისი უფროსის უსაფუძვლო ახირების გამო. ეს იწვევს პიროვნების გაორებას, რის გამოც ადამიანი უნებლიედ ტრაგიკომიკურ ვითარებაში აღმოჩნდება. სამართლებრივ სახელმწიფოში არ უნდა მოხდეს ასეთი გაუმართლებელი ტრაგედიები და ენერჯის უსაფუძვლო ხარჯვა, რისთვისაც საჭიროა განისაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც ადამიანს შეუძლია დაიკავოს ესა თუ ის თანამდებობა. როცა კაცს ეცოდინება, რომ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მან უნდა დატოვოს თანამდებობა, მაშინ ასეთ ტრაგედიასაც აუცილებლად თავიდან ავიცილებთ. ის საკითხი, თუ როგორ უნდა თანამდებობას უნდა შეეხოს ეს წესი, ეს ცალკე მსჯელობის საგანია და ამიტომ მასზე აქ აღარაფერს ვიტყვით.

სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, რადგან დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომლის საფუძველზეც აგებულია რესპუბლიკისა და ცენტრის ურთიერთობა, შეუთავსებელია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი არის *Contradictio in adiecto* ესე იგი ის წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა, თუკი ურთიერთობა ცენტრსა და რესპუბლიკას შორის ცენტრალიზმის პრინციპზეა აგებული, მაშინ როგორღაა ეს ურთიერთობა დემოკრატიული, ხოლო თუ დემოკრატიულია, მაშინ რაღა ადვილი აქვს აქ ცენტრალიზმს? ერთი სიტყვით, „დემოკრატიული“ და „ცენტრალიზმი“ ურთიერთსაპირისპირო ცნებებია, რომელთა შეთავსება შეუძლებელია. სინამდვილეში სიტყვა „დემოკრატიული“ აქ მხოლოდ მოსართაყად, ხალხის თვალის ასახვევად არის შემოტანილი, არსებითად აქ მხოლოდ ცენტრალიზმის პრინციპია გამოხატული, რაც მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში ასეთი თანმიმდევრობით ხორციელდებოდა კიდევ. ერთი სიტყვით, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა შეუთავსებელია ჩვენში ამჟამად არსებულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურასთან.

პირველი სავანელი

სამართლის აზრის წვდომის პრობლემა

საბჭოთა პერიოდის იურიდიულ მეცნიერებაში, მათ შორის ქართველ ავტორთა მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში, უდავოდ არის მიჩნეული, რომ სამართალი განპირობებულია საზოგადოებრივი (მათ შორის მატერიალური) ურთიერთობებით¹. ეს დებულება მისაღებია მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც შეზღუდულ ფარგლებში.

სამართლის განპირობებულობა საზოგადოებრივი ურთიერთობებით, ჩვენი აზრით, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეული ნაწილი ობიექტურად ითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას. სხვა სიტყვებით, გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების შესახებ აზრის წარმოშობა ყოველთვის მიზეზობრივად არის განპირობებული სამართლებრივი მოწესრიგების საზოგადოებრივი მოთხოვნებით. ამით ამოიწურება სამართლის სოციალური განპირობებულობა. ამის შემდეგ იწყება სამართალშემოქმედება ანუ სამართლებრივი რეგულირების აზრის ძიება. სამართლის აზრის წვდომა სამართლებრივი ნორმის ზოგადი მოდელის შემუშავების გზით, ამ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეებისათვის ქცევის ზოგადი სამართლებრივი წესების ანუ პოზიტიური სამართლის დადგენა.

საზოგადოებრივი ურთიერთობები — ფაქტური ურთიერთობებია, ფაქტური კი ყოველთვის მომხდარია, და ამიტომ ის, რაც უკვე მოხდა არის აბსოლუტურად ისტორიული, ხოლო სამართლის აზრის წვდომა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად ყოველთვის მიმართულია მომავლისაკენ.

მაგრამ სამართლის აზრის წვდომა არ ამოიწურება მხოლოდ ზოგადი სამართლებრივი ნორმების, ქცევის, ზოგადი სამართლებრივი წესების გამომუშავებით. სამართლის აზრის წვდომის ამ საფეხურზე ადგილი აქვს სამართლის აზრის ნაწილობრივ წვდომას.

სამართლის აზრის წვდომის პროცესი პრინციპში ორი ეტაპისაგან შედგება: პირველ ეტაპზე (როგორც აღინიშნა) წარმოებს სამართლის ზოგადი ნორმების ანუ ე. წ. პოზიტიური სამართლის დადგენა, მეორე ეტაპზე კი —

¹ მხედველობაში არ გვყავს 20-იანი წლების ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, სახელდობრ, პროფესორები გ. ნანეიშვილი, ა. ვაჩიშვილი და ირ. სურგულაძე, რომელთა ნაშრომები უაფუძვლოდ იქნა დაგმოხილ, რამაც ათეული წლებით შეაჩერა სამართლის მეცნიერების განვითარება საქართველოში. იხ. ჩვენი წერილი „დისკუსია თუ ავანტიურა ანუ როგორ დადებოდა 30-იანი წლების რეპრესიები ქართველ მეცნიერთა მიმართ“. „საბჭოთა სამართალი“, № 5 და № 6, 1982.

კონკრეტული ნორმების, სამართლებრივი ქცევის კონკრეტული წესების შემუშავება ინდივიდუალურად განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად (პირობითად მას შეიძლება ეწოდოს სამართლის შეფარდების აქტი). ასეთი კონკრეტული ნორმების, ქცევის წესების შემუშავება არის სამართლის აზრის წვდომის საბოლოო, დამამთავრებელი ეტაპი.

ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ნორმების შემუშავება ანუ სამართლის აზრის წვდომის ეს ორი ეტაპი განსხვავებულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

განვიხილოთ სამართლის აზრის წვდომის პირველი ეტაპის თავისებურება. ის, რომ სამართლის ზოგადი ნორმების ანუ მოქმედი (პოზიტიური) სამართლის მეოხებით წარმოებს სამართლის იდეის წვდომა, უფრო ზუსტად ის, რომ მოქმედ (პოზიტიურ) სამართალში განხორციელებულია სამართლის აზრი და არა სხვა რამ, საკმარისი მეცნიერული სიღრმით დასაბუთებული აქვს პროფ. გ. ნანეიშვილს.

„ჩვენ ხშირად ვამბობთ, — წერს პროფ. გ. ნანეიშვილი, რომ ეკონომიკური პირობებისა და საწარმოო ძალების ხასიათი განსაზღვრავენ სამართლის ნორმებს. ეს უდაო ფაქტია. ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ სამართლის ისეთი სისტემა, რომელიც შექმნილია აბსოლუტურად თავისუფალი და ავტონომიური ნებით. ბედნიერებაა, რომ ეს ასეა. საწინააღმდეგო შემთხვევაში შეუზღუდავი ნების მიერ შექმნილი ნორმების სისტემა იმდენად დაშორებული იქნებოდა რეალური ცხოვრებისეული პირობებიდან, რომ ნორმის განხორციელება კი არ იქნებოდა თავისუფალი აღიარების (ფსიქოლოგიური აზრით) შედეგი, არამედ უხეში მექანიკური წნევის პროდუქტი. მსოფლიოსათვის უცნობია სამართალი, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა ადგილის, სოციალური გარემოს, დროის და გარეშე პირობებისაგან... მაგრამ როდესაც ამბობენ, რომ სამართალი არის ისტორიისა და კულტურული განვითარების პროდუქტი და რომ სამართალი არ არის კანონმდებლის თვითნებობის შედეგი, ეს სულაც არ ამტკიცებს იმას, რომ ისტორიულ და სხვა პირობების გავლენით შექმნილ სამართალს იგივე სტრუქტურა და კანონზომიერება აქვს, რაც ემპირიულად ხილულ სამყაროს. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ნორმის ობიექტი არსებობს, ე. ი. დავუშვებთ, რომ რაც უნდა იყოს — უკვე არის, მაშინ ნორმა როგორც ასეთი ჰკარგავს აზრს... ჯერარსი არ შეიძლება იყოს მოცემული, მისი არსებობა მოსპობდა იმას, რაც უნდა იყოს. თუ კი ადამიანი თავისი არსით არის ის, რაც ის უნდა იყოს ეთიური თვალსაზრისით, მაშინ ის არ შეიძლება იყოს ისეთი, როგორიც უნდა იყოს, რადგანაც ის უბრალოდ არის ის, რაც არის...

ფაქტისა და სამართლის განსხვავება სახეზეა. მართლაც ის, რაც არის — არის უკვე რაღაც კონკრეტულ-ინდივიდუალური, როგორც რაღაც მომხდარი, და ამ მიმართებით ფაქტის დადგომის შესაძლებლობა ან მისი აუცილებლობა თავისთავად მოხსნილია. ფაქტი და ფაქტიური თვით სპობენ თავის შეუძლებლობას, ე. ი. მათი წარმოშობის შეუძლებლობას აუცილებლობის ძალით... ასეთი მნიშვნელობით აუცილებლობა და შესაძლებლობა იფარება ფაქტით. ფაქტიური ყველა შემთხვევაში თავიდანვე გულისხმობს თავისი არსებობის შესაძლებლობას. საწინააღმდეგოდ ამისა, ნორმაში მოცემული ჯერარსისობა თავიდანვე უდაოდ სპობს იმის ფაქტიურობას, რაც უნდა იყოს. ამიტომ ნორმაში ჩადებული აზრი არ შეიძლება იყოს ფაქტი... თუ ჩვენ ავიღებთ

სამართლის ნორმას და განვიხილავთ მას როგორც განსაზღვრულ ჯერარსობას. რომელიც გამოხატავს გარკვეულ აზრს, მაშინ ამ აზრის როგორც განხორციელებულობა ისე განუხორციელებლობა გამომჟღავნდება ისტორიულად. ე. ი. ჯერ ნორმა და მით გამოხატული აზრი (ჯერარსობა) შემდეგ კი მისი განხორციელების ან განუხორციელებლობის შესაძლებლობა...

ამრიგად, სამართლის ნორმაში მოქმედებს არა ფაქტი ან ფაქტიური, არამედ სამართლის განსაზღვრული აზრი. ისევე როგორც ყოველ ესთეტიურ ნაწარმოებში მოქმედია არა სურათი როგორც ფიზიკური სხეული, არამედ მასში გამოხატული აზრი. თუ კი სამართალს აქვს ისტორიად ქცევის ტენდენცია, ფაქტი და ფაქტიური ასეთ ტენდენციას მოკლებული არიან. ფაქტს არ შეუძლია წარმოშვას თავისი განხორციელების შესაძლებლობა ან აუცილებლობა, რადგან ფაქტი უკვე განხორციელებულია, მაშინ როდესაც სამართალი შეიცავს განხორციელების მუდმივ პრეტენზიას დამოუკიდებლად იმისა ხორციელდება თუ არა ის სინამდვილეში. აქედან დასკვნა იმის შესახებ, რომ პოზიტიური სამართალი არის ის, რაც ასაგნობრივებს სამართლის აზრს... არსებითად, სამართლის პოზიტიურობა არის სიმართლის აზრის პოზიტიურობა...

სამართლის აზრის პოზიტიურობის მეოხებით შეიძლება დასაბუთდეს სამართლის სავალდებულო ძალა. სამართლის სავალდებულო ძალა ჩვენ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სამართალი ყოველთვის იწვევდეს იმ ეფექტს, რომელსაც ის გულისხმობს. პოზიტიური სამართლის სავალდებულო ძალა, უფრო ზუსტად მასში ჩადებული სამართლის აზრი, მდგომარეობს ამ ეფექტის დადგომის აუცილებლობის წარმოდგენაში. ის რაც ჯერარსია — უნდა მოხდეს, ის, რაც აუცილებელია — წარმოდგენილი უნდა იქნას როგორც აუცილებლობა. და სწორედ იმაში, რომ ჩვენ რაიმეს წარმოვადგენთ როგორც ჯერარსს, მაშინაც კი როდესაც იგი არ გვსურს, მდგომარეობს სამართლის სავალდებულო ძალა².

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პოზიტიური სამართლის მეოხებით სწარმოებს სამართლის აზრის ნაწილობრივი წვდომა, რადგანაც პოზიტიურ სამართალს უნარი შესწევს მოახდინოს მხოლოდ შესაძლო საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგება ზოგადი სამართლებრივი ნორმების შემუშავების გზით. შემდგომი, სამართლის აზრის წვდომის უფრო მაღალი და დამამთავრებელი ეტაპი არის ინდივიდუალური სამართლებრივი ნორმის შემუშავება ანუ არა შესაძლო, არამედ ფაქტიური საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგება კონკრეტული ნორმის დადგენის გზით.

კონკრეტული სამართლებრივი ნორმის შემუშავებას როგორც სამართლის აზრის წვდომის უმთავრეს ეტაპს საბჭოთა პერიოდის იურიდიულ მეცნიერებაში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. საბჭოთა პერიოდის იურიდიული მეცნიერება ძირითადადში შემოიფარგლა კანონის ტექსტისა და კანონის ტექნიკურ-სამართლებრივი შეფარდების მექანიზმის დადგენით, რის გამოც სამართლებრივი ცხოვრება ე. ი. მართლწესრიგი დარჩა მეცნიერული კვლევის მიღმა. სრულიად უგულვებელყოფილია ის გარემოება, რომ მართლწესრიგის ფორმირებაში მონაწილეობს არა მარტო კანონი (პოზიტიური სამართალი), არამედ, აგრეთვე, თვითმოქმედი (თვითმართვითი) სოციალური ძალები და

² გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა. თბ., 1928 წ. გვ. 21-40.

ნორმატიული ფაქტორები. „იმისათვის, რომ მიღწეული იქნას სიცხადე, მიუთითებდა ე. ერლიჩი, თითოეულმა თეორიამ გულდასმით უნდა გამოიჩინოს მართლწესრიგის წარმოქმნის საკითხები სამართლებრივი ნორმების წარმოქმნის საკითხებისაგან“³, რადგან „საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სამართალი არ არის სამართლის სოციოლოგიის კვლევის საგანი, არამედ არის იურიდიული პოზიტივიზმის პრობლემა. სამართალშემოქმედების პრობლემა“⁴.

იურიდიული პოზიტივიზმის იდეა მომქმედი სამართლის „უხარვეზობისა“ და „ლოგიკური დასრულებულობის“ შესახებ ილუზიაა. „ჩვენ, აღნიშნავდა ე. ერლიჩი, ბოლოს და ბოლოს უნდა მივეჩვიოთ იმ აზრს, რომ მოქმედი სამართლის შეფარდების არავითარ თეორიას არ შეუძლია უგულვებელყოფის ის ფაქტი, რომ ზოგადი სამართლებრივი წესების მტკიცედ დადგენილ ყოველგვარ სისტემას აქვს ხარვეზი და რომ არსებითად ის მოძველებულია მისი დადგენისთანავე, ასე რომ მას არ ძალუძს მთლიანად ფლობდეს აწმყოს და არავითარ შემთხვევაში — მომავალს“⁵.

სამართლის ანალოგიას და სამართლის ნორმის განვრცობით ახსნა-განმარტებას არ შეუძლიათ იხსნან იურიდიული პოზიტივიზმი, რადგან პოზიტიური სამართლის შეფარდების ყველა შემთხვევაში სამართალშემფარდებელი რჩება მომქმედი სამართლის ფარგლებში და მას არ შეუძლია მოხსნას დაძაბულობა სამართლის უძრაობასა და საზოგადოებრივი პროცესების დინამიურობას შორის.

სამართლის ჩაკეტილი სისტემის შესახებ მოძღვრების (პოზიტივიზმის) ამოსავალი პოზიცია ე. ერლიჩის აზრით, არის XVIII საუკუნის ტიპის პოლიციური სახელმწიფოს მოსამართლის ერთსახოვანი დამოკიდებულება საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან⁶. მოსამართლის მონური მორჩილება საკანონმდებლო დებულებებისა და იურიდიულ ცნებათა სისტემის მიმართ ბადებს ბუნებრივ უნდობლობას ჩინოვნიკი მოსამართლისადმი, რომელიც პოლიციური სახელმწიფოს პირობებში რიგით მოხელესთანაა გათანაბრებული და რის გამოც იგი ვალდებულია თავისი სამართლებრივი მრწამსი დაუქვემდებაროს კანონის ასო-ანბანს⁷.

სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა უკუვავადოთ მოსამართლე — მონის ტიპი, რომელიც ცალმხრივ და ტლანქ შემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ პროცესებზე, ბოჭავს მათ გაქვავებული დოგმებით, ჩანასახშივე სპობს პროგრესულ ტენდენციებს. კანონმდებლის ნების მოძიება, ახსნა და დადგენა უფრო მეტ საშიშროებას შეიცავს, ვიდრე საუკუნეებით გამომუშავებული სამართლის ჰუმანისტური პრინციპების გამოყენება.

სამართლის „ხარვეზულობის“ თეორიული და საკანონმდებლო გამართლების პირობებში სამართალშემფარდებელს შეუძლია ისე განმარტოს კანონმდებლის ნება როგორც ეს მას სურს. ამიტომ, საბოლოო ჯამში სამარ-

³ E. Ehrlich. Die Tatsachen des Gewohnheits. 1907, s. 41.

⁴ E. Ehrlich. Grundlegung der Soziologie des Rechts. 1913, s. 352. E. Ehrlich. Soziologie des Rechts, in die Geisteswissenschaften, 1914, s. 202.

⁵ E. Ehrlich. Freie Rechtsfindung und freie Rechtswissenschaft. 1903, s. 17.

⁶ E. Ehrlich. Die Neuordnung der Gerichtsverfassung, in DRIZ., 1912, s. 436.

⁷ E. Ehrlich. Recht und Geben, 1967, s. 147.

თლის ნორმის ნებისმიერ ახსნა-განმარტებას, თუკი ამით ამოიწურება საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრება, უსათუოდ მივყავართ განუკითხავობასთან. პოლიციური სახელმწიფოს პირობებში სამართალშემფარდებელი თავის საქმიანობას ყოველთვის ასაბუთებს მომქმედი სამართლის ნორმით როგორც საკითხის ერთადერთი და სამართლიანი გადაწყვეტის საშუალებას. „კემმარიტ ნორმასთან პოზიტიური სამართლის ნორმას — წერდა ე. ერლიხი, — გარდა სახელისა არაფერი საერთო არა აქვს. იგი საერთოდ არ არის ნორმა, არამედ მხოლოდ „ტექნიკა“, „ტექნიკა“, რომელიც განსაკუთრებით საშიშია იმის გამო, რომ მოსამართლის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ყოველ ფაქტს მუდმივად ეძლევა ფართო იურიდიული დასაბუთება“⁸.

ვისაც თუნდაც ხუთ წელზე მეტი უმუშავია მოსამართლედ უთუოდ დამეთანხმება, რომ მოსამართლე საქმის არსებითი გადაწყვეტისას სცდება შიშველი იურიდიული კონსტრუქციის ფარგლებს და თავის გადაწყვეტილებას აფუძნებს უპირატესად შთაგონებაზე და ინტუიციასზე, რადგანაც იგი ბუნებრივად და მართლზომიერად არის დამოკიდებული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის განუმეორებელ თავისებურებაზე. განა უდარ არ არის, რომ პოზიტიური სამართლის ნორმა იძლევა საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ აბსტრაქტულ სქემას, ზოგად ორიენტირს? ასევე დამეთანხმებიან თუ რამდენად მტკივნეულია მოსამართლისათვის, როდესაც გადაწყვეტილება გამოდის ფაქტიური ურთიერთობის თავისებურების გაუთვალისწინებლად. საუბედუროდ პოლიციურ სახელმწიფოში „სიცოცხლისუნარიანი“ არიან ის მოსამართლენი, რომლებიც სინდისის ოდნავი ქენჯნის გარეშე განუკითხავად სწყვეტენ ადამიანის ბედს. ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში, გ. რადბრუხის აზრით, დევნილნი არიან სამართლიანობის ამაცი გრძნობის მქონე ადამიანები⁹.

დღეს უკვე აღარავინ არ ხდის სადაოდ აზრს იმის შესახებ, რომ არავითარ თუნდაც ყველაზე სრულყოფილ კოდიფიცირებულ სისტემას არ ძალუძს მოიცვას მთელი სამართლებრივი ცხოვრება. „ხარვეზებულობა“ სამართლის იმანენტური თვისებაა და ამაში კანონმდებელს ვერ დავადანაშაულებთ, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება მოვლენათა და გარემოებათა განუმეორებელი შეთანაწყობით ბუნებრივად ბადებს სამართლის „ხარვეზულობას“. ამიტომ ნისაღებია ე. ერლიხის მოწოდება იმის შესახებ, რომ „იურისტი“ უნდა გავანთავისუფლოთ კანონის ტექსტისადმი მონური მორჩილებისაგან. მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფლად ეწეოდეს შემოქმედებით მოღვაწეობას და თავის გადაწყვეტილებას არ მალავდეს პოზიტიური სამართლის გარისის უკან“¹⁰.

დასავლეთის მეცნიერების მიერ დიდი ხანია უარყოფილია სამართალშემოქმედებითი გადაწყვეტილების სილოგისტური გავება, რომლის თანახმადაც, ასეთი გადაწყვეტილება თითქოს ავტომატურად გამომდინარეობს პოზიტიური სამართლის ნორმის, როგორც პირველი წინამძღვრის, და საქმის ფაქტიური გარემოებების, როგორც მეორე წინამძღვრის, თანაფარდობიდან.

სამართლის მეცნიერებაში რეალისტური მიმდინარეობის 'ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა მოსამართლე გ. ხატჩისონმა ფართო სოციოლო-

⁸ E. Ehrlich. Die juristische Zogik. 1918, s. 304.

⁹ Радбрух Г. Введение в науку права. М., 1915, с. 130.

¹⁰ E. Ehrlich. Grundlegung der Soziologie des Rechts, s. 260.

გიური კვლევისა და დიდ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ „თითოეული ქვეყის წესი, ფუძემდებლური პრინციპი ან ცნება მნიშვნელოვანნი არიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც, ისინი, ასაბუთებენ რაიმე გადაწყვეტილებას, მოსაზრებას ან დასკვნას.“¹¹

ჩვენ არ უარვყოფთ სამართალშემფარდებლის¹² ვალდებულებას იხელმძღვანელოს პოზიტიური სამართლის ნორმით, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა სამართლის აზრის თავისუფალი წვდომისათვის. სამართლის აზრის თავისუფალი წვდომის უმთავრესი საშუალებებია ფაქტიური ურთიერთობიდან ნორმის გამოყვანა (ფაქტიურში ნორმატიულის მოძიება) და იურიდიულ პრაქტიკაში პრეცედენტის დადგენა (პრეცედენტული ნორმის მოძიება). სამართლის აზრის თავისუფალი წვდომა სამართალშემფარდებლის მიერ ამ სამი საშუალების შეთანაწყობის შედეგია.

სამართლის აზრის თავისუფალი წვდომის პრინციპი დიდი ხანია ფიქსირებულია ბევრი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში. ასე მაგალითად, ავსტრიის სამოქალაქო დებულება პირდაპირ ავალებს მოსამართლეს გადაწყვეტოს საქმე ბუნებითი სამართლის საწყისებზე, ხოლო შვეიცარიის სამოქალაქო დებულება კანონში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში უფლებას ანიჭებს მოსამართლეს საკითხი გადაწყვეტოს ჩვეულებითი სამართლით, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში იმ წესით, როგორსაც ის დაადგენდა კანონმდებლის მაგიერ. ამასთან, ყველა შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია იხელმძღვანელოს „კეთილი“ მეცნიერული თეორიით და იურიდიული პრაქტიკით. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი კი ადგენს, რომ მოსამართლე რომელიც უარს იტყვის განსაჯოს კანონის ღუმელის, ბუნდოვნების ან უკმარისობის საბაბით, ექვემდებარება დევნას მართლმსაჯულების განხორციელებისაგან თავის არიდების ბრალდებით.

პოზიტიური სამართლის გარეთ გასვლასა და სამართლის იდეის წვდომის აუცილებლობას ნაწილობრივ აღიარებს თვით საბჭოთა კანონმდებლობაც კი.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის ძალით: „სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა იმ საფუძვლებისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის კანონმდებლობით, აგრეთვე, მოქალაქეთა, ორგანიზაციათა მოქმედებისაგან, რომელნიც თუმცა არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ სამოქალაქო კანონმდებლობის **ზოგადი საწყისებისა და აზრის გამო** სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობენ“ (ხაზგასმა ჩვენია — გ. ს.).

საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის ძალით: „თუ არ არის კანონი, რომელიც აწესრიგებს სადავო ურთიერთობას, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს

¹¹ D. Hutcheson. The judgement intuitive, Coruell Zaw Review. 1928—1929, p. 274.

¹² ტერმინები „სამართალშემფარდებელი“, „სამართლის შემფარდება“ პირობითად იხმარება ნაშრომში, რადგან ჩვენი კონცეფციის თანახმად, არა მარტო კანონმდებელი ეწევა სამართალშემოქმედებას, არამედ ყველა პირი ვინც ცნობილია უფლებუნარიანად ანუ სამართლის სუბიექტად. ამ ტერმინებს ჩვენ ვხმარობთ მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით, სახელდობრ იმიტომ, რომ გაემიჯნოთ კანონმდებლის და სამართლის სხვა სუბიექტების სამართალშემოქმედებითი საქმიანობა.

მსგავს ურთიერთობებს. ზოლო თუ ასეთი კანონი არ არსებობს სასამართლო
ემყარება საბჭოთა კანონმდებლის **ზოგად საწყისებსა და აზრს**“ (ხაზგასმა
ჩვენია — გ. ს.).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის
ძალით: „მოსამართლენი და სახალხო მსაჯულები სისხლის სამართლის საქმე-
ებს წყვეტენ კანონის საფუძველზე და სოციალისტური მართლშეგნების შე-
საბამისად“ (ხაზგასმა ჩვენია — გ. ს.).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის
თანახმად: „სასამართლოს, პროკურორს, აგრეთვე პროკურორის თანხმობით
გამომძიებელს და მოკვლევის ორგანოს უფლება აქვთ შეწყვიტონ სისხლის
სამართლის საქმე, თუ მიიჩნევენ, რომ მოკვლევის წინასწარი გამოძიების
წარმოების ან სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე საქმის განხილვის
დროისათვის ვითარების შეცვლის გამო პირის მიერ ჩადენილმა ქმედობამ
დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან ეს პირი აღარ არის საზოგა-
დოებრივად საშიში“ (ხაზგასმა ჩვენია — გ. ს.).

თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის მეო-
რე ნაწილისა: „სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ხელმძღვანელობს
რა სოციალისტური მართლშეგნებით, მხედველობაში იღებს ჩადენილი დანა-
შაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დამნაშავეს
პიროვნებას და საქმის გარემოებებს. რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ
პასუხისმგებლობას“ (ხაზგასმა ჩვენია — გ. ს.).

ზემოაღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში სამართალშემფარდებ-
ლის გადაწყვეტილება (კონკრეტული ნორმა) პრაქტიკულად არ დაემთხვევა
პოზიტიური სამართლის ნორმის შინაარსს, გადაწყვეტილება ყოველთვის მი-
ახლოებით იქნება მისდაგებული პოზიტიური სამართლის ნორმასთან. პოზიტი-
ური სამართლის ნორმისა და სამართალშემფარდებითი აქტის კონკრეტული
ნორმის ასეთი განსხვავება-დაპირისპირებულობა სრულიად ბუნებრივი მოვ-
ლენაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მუდმივი დინამიკის პირობებში, უფ-
რო მეტი, სრულიად ნორმალურია კონკრეტული, არსებითად განუმეორებელი
ფაქტიური ურთიერთობის ობიექტური და სამართლიანი მოწესრიგების თვალ-
საზრისით. სწორედ ამას ეფუძნება ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონცეფცია
სამართლისა და მართლწესრიგის განსხვავება-დაპირისპირებულობის შესა-
ხებ¹³.

რა ფაქტორები მონაწილეობენ პოზიტიური სამართლის ნორმისა და სა-
მართალშემფარდებითი აქტის (კონკრეტული ნორმის) განსხვავება-დაპირისპი-
რებულობის ჩამოყალიბებაში, უფრო ზუსტად, სამართლის აზრის წვდომის
პროცესში?

უპირველეს ყოვლისა, საკითხი ეხება სამართალშემფარდებლის დისკრე-
ციულ ხელისუფლებას და არა პოზიტიური სამართლის ნორმების ახსნა-გან-
მარტებას. ახსნა-განმარტების დროს ადგილი აქვს პოზიტიური სამართლის
ნორმის ანუ კანონმდებლის ნების თეორიულ ანალიზს, მაშინ როდესაც დის-
კრეტული ხელისუფლების რეალიზაციისას სამართალშემფარდებელი ახორცი-
ელებს თავის მიდგომას, თავის პოზიციას, რაც ემყარება ე. წ. „თავისუფალ
მიხედულებას“. „თავისუფალი მიხედულების“ ფორმირებისას სამართალშე-
მფარდებელი თვითნებურად არ აყალიბებს თავის მიდგომას, თავის პოზიცი-

¹³ Саванели В. Правопорядок и юридическая практика. Тбилиси, 1981 г.

ას, ზემოაღნიშნული გარემოებების გარდა იგი ანგარიშს უწევს კანონით ვალისწინებულ ფსიქოსოციალურ ფაქტორებსაც. სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი იძლევა საფუძველს ასეთ ფაქტორებად მივიჩნიოთ, მაგალითად, დანაშაულის ხასიათი, განსასჯელის წარსული, კონკრეტული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი (მათ შორის სამართალ დარღვევის საზოგადოებრივი რეზონანსი), მსხვერპლის მოქმედების ვიქტიმურობის ხარისხი, დაზარალებულის სოციალური სტატუსი და ა. შ.

არანაკლები მნიშვნელობა აქვთ ორგანიზაციულ-სტრუქტურული ხასიათის ფაქტორებს, რადგან სამართალშეფარდება თითოეულ შემთხვევაში ხორციელდება გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ იერარქიაში, რომელშიც სამართლის თითოეული სუბიექტი გარკვეული ფუნქციის მატარებელია.

ჩვენს მიერ შეთავაზებული თეორიული კონცეფცია ეჭვის ქვეშ აყენებს „მხოლოდ კანონისადმი მოსამართლის დამოკიდებულების“ კონსტიტუციური ნორმის მართლზომიერებას. და ჭეშმარიტად, თუ კი მოსამართლეს შევბოქავთ კანონით, მაშინ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვის თვალსაზრისით, კარგავს ყოველგვარ აზრს: სამართალი რჩება სახელმწიფოს მხრივ შეზღუდული და არა პირიქით, რადგან თვით კანონს გამოსცემს სახელმწიფო და არ არსებობს იმის საიმედო გარანტია, რომ სახელმწიფო გამოსცემს თავის შემზღუდავ კანონს. ფორმულა „მოსამართლე მხოლოდ კანონს ემორჩილება“ — ეს არსებითად დაბრუნებაა ისტორიის მიერ უარყოფილ პოზიტივიზმისაკენ. სოციალურ პრაქტიკაში ამ პრინციპის განხორციელება არაარაობად აქცევს ხელისუფლების დანაწილების იდეას, მაშინ, როდესაც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა სწორედ რომ გულისხმობს „მესამე ხელისუფლების“ — სასამართლოს პრესტიჟის ამაღლებას, როგორც იმ ძალისა, რომელსაც უნარი შესწევს წონასწორობაში მოიყვანოს დანარჩენი ორი ხელისუფლების ფუნქციონირება ურთიერთკონტროლის პრინციპით.

გამომდინარე ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური წანამძღვრიდან მიგვაჩნია, რომ პოზიტიურ სამართალს როგორც ხელოვნურ მოდელს, როგორც განუსაზღვრელი რაოდენობის პირთა წრის მიმართ გათვალისწინებულ მოქმედების ზოგად სქემას არ ძალუძს უშუალოდ შეაღწიოს სოციალური სტრუქტურების ქსოვილში. საზოგადოებას, კერძოდ, სახელმწიფოს (მისი ქვედანაყოფების სახით) უზღდება ანგარიში გაუწიოს საზოგადოებაში არსებულ ბუნებრივ, თვითგანვითარებად, თვითმართვით სოციალურ სტრუქტურებს. სამართლის სფეროში ასეთ სოციალურ სტრუქტურებს განეკუთვნებიან ნორმატიული ფაქტები და პრეცედენტული ნორმები.

ჩვენ არ ვუარყოფთ კანონის მნიშვნელობას სამართლის აზრის წვდომის პროცესში. პირიქით ხაზს ვუსვამთ მას, რადგან საწინააღმდეგო შემთხვევაში ადამიანში ჩაკლავდით ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისაკენ ღწვის ბუნებრივ მიდრეკილებას, მუდმივი თვითსრულყოფისაკენ მის სწრაფვას. მაგრამ ადამიანი ბედნიერი უნდა იყოს დედამიწაზეც, ამისათვის კი საჭიროა კანონის „გაადამიანურება“ მისი ადამიანის ყოფის ელემენტად ქცევა. ეს კი შეუძლებელია ადამიანის ყოფიერებაში ბუნებრივად ჩაქსოვილი სპონტანური ნორმატიული სტრუქტურების — ნორმატიული ფაქტების და იურიდიული პრაქ-

ტიკის მიერ გამოქვეყნებული სამართლებრივი დაბულებების (პრეცედენტული ნორმების) გათვალისწინების გარეშე. სამართლის აზრის წვდომა შესაძლებელია ამ ორი საწყისის შეთანაწყობის საფუძველზე.

ჩვენთვის მიუღებელია როგორც იურიდიული პოზიტივიზმის თეორია, ისე ბუნებრივი სამართლის კონცეფცია, მათ შორის კანონისა და მორალის დაპირისპირებულობის ასპექტში. რა თქმა უნდა კანონი არ უნდა იყოს ამორალური, მაგრამ რამდენადაც ის მიღებულია როგორც პოზიტიური სამართლის ნორმა, იმდენად იგი სავალდებულოა. ხოლო მისი მორალურობა თუ ამორალობა გამოაშკარავდება სამართლის აზრის წვდომის პროცესში. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სამართლებრივი ცხოვრება აუცილებლად უკუვადებს ამორალურ კანონს. ამორალური კანონის უკუმგდები ძალები ბუნებრივად ჩაქსოვილია თვით სამართლებრივ ცხოვრებაში — ესენი არიან ნორმატიული ფაქტები და პრეცედენტული ნორმები. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ასაბუთებს იმას, რომ კანონი არ არის კონკრეტული გადაწყვეტილების საკმარისი წყარო, მით უმეტეს სამართლის აზრის წვდომის საბოლოო ინსტანცია, ისევე როგორც ნორმატიული ფაქტები და პრეცედენტული ნორმები იზოლირებულად ვერ ამოსწურავენ სამართლებრივ ცხოვრებას პოზიტიური სამართლის ნორმებთან ურთიერთმოქმედების გარეშე.¹⁴

უკანასკნელ წლებში სულ უფრო ხშირად მიუთითებენ სამართლიანობის რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ პრინციპებზე, რომლებიც ისტორიული განვითარების პროცესში ეტაპობრივად ხორციელდებიან პოზიტიურ სამართალში და სამართლის აზრის წვდომის „ზოგადი მნიშვნელის“ როლს თამაშობენ. აღნიშნულ შეხედულებას არსებითად ბუნებითი სამართლის თეორიის დასაბუთების ერთ-ერთ არგუმენტად იყენებენ. აღნიშნული შეხედულება ჩვენის აზრით მიუღებელია.

ის, რომ პირი წვდება გარკვეულ იდეას, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს იდეა არსებობდა მის წვდომამდე როგორც აბსტრაქცია ან ფუქიმდებლური პრინციპი, თუნდაც როგორც რელიგიური ფანტაზმა. სამართლის აზრის წვდომა ემყარება ადამიანის უნარს მუდმივად ხსნას სამყარო. სამართლის სფეროში ეს სამყარო წარმოდგენილია სამართლებრივი ღირებულებების სახით, რომელთა აღმოჩენისაკენ, წვდომისაკენ არის მიმართული სამართლის სუბიექტის (კანონმდებლის, სამართლის შემფარდებლის თუ მართლურთიერთობის მონაწილის) მოღვაწეობა. ეს მოღვაწეობა კი მოიცავს პოზიტიური სამართლის ნორმების ახსნა-განმარტებას, ნორმატიული ფაქტების ანალიზს და პრეცედენტის (გამოცდილების) გამოყენებას.

სამართლის აზრი არ არის სამართლებრივი ღირებულებების და მორალური პრინციპების პროექცია. არამედ პოზიტიური სამართლის ნორმების, ნორმატიული ფაქტების და პრეცედენტული ნორმების ურთიერთმოქმედების შედეგი, ანუ სამართლებრივი ლოგიკის, ფსიქიკის და გამოცდილების დალექტიკური ურთიერთმოქმედების შედეგი.

ფილოსოფიის ენაზე ეს ნიშნავს, რომ სამართლის აზრის (ჩვენი გაგებით) წვდომა წარმოებს ინდუქციურ-თეორიული საშუალებით პოზიტიური სამართლის ნორმების, ნორმატიული ფაქტებისა და პრეცედენტური ნორმების

¹⁴ იურიდიული პოზიტივიზმისა და ბუნებითი სამართლის თეორიის კონცეფტუალური დაპირისპირებულობა ნათლად არის ჩამოყალიბებული ნაშრომში: N. Bowy. The „war“ between natural law philosophy and legal positivism. Hague, 1974.

(გამოცდილების) ემპირიულ-აღწერილობითი და ანალიტიკური აღქმა-შეფასების საფუძველზე. ბუნებითი სამართლის თეორიის თვალსაზრისით კი სამართლის აზრი გამოიყვანება აბსტრაქციებიდან და ზოგადი პრინციპებიდან დედექტიურ-თეორიული გზით. ამრიგად, ბუნებითი სამართლის თეორიას, ჩვენს მიერ შეთავაზებული კონცეფციისაგან განსხვავებით, აქვს თავისი გნოსეოლოგიური წინამძღვრები, სახელდობრ, სამართლებრივი ცხოვრების მთლიანი პროცესის ხელოვნური გათიშვა, კონკრეტული იურიდიული ემპირიიდან სამართლებრივ აბსტრაქციამდე ზეალსვლის პროცესის ერთიანობის უარყოფა, კონკრეტულ სოციალურ-ნორმატიული ფაქტების გაუფასურება და მათი ავტონომიურობის უგულვებელყოფა.

სამართლის აზრი არ გამოიყვანება ე. წ. ბუნებითი სამართლის ნორმიდან. რამდენადაც, ჩვენი აზრით, არ არსებობენ სამართლის მზა იდეები. სამართლის აზრი იბადება ინდივიდუალური ნორმის ყოველი გამომუშავების შედეგად პოზიტიური სამართლის ნორმის, ნორმატიული ფაქტის და პრეცედენტური ნორმის შეჯერების პროცესში. ლოგიკური თვალსაზრისით, სამართლის აზრს აქვს „ბლანკეტური“ შინაარსი და იგი ივსება კონკრეტული აზრით ინდივიდუალური ნორმის დადგენის შედეგად.

მაგრამ ბუნებრივად იბადება სამართლის სუბიექტების თვითნებური სამართალშემოქმედების საშიშროება. ერთი შეხედვით თუ კი სამართლის სუბიექტს არ გააჩნია ქცევის ერთიანი, ფუნდამენტური ორიენტირი, მას შეუძლია თვითნებურად „თხზას“ სამართალი. წინამდებარე წერილში ჩვენ ვეცადეთ დაგვესაბუთებია აზრი იმის შესახებ, რომ „მართალი სამართლის ქმნა“ არ შეუძლია არც პოზიტიური სამართლის ნორმას (ფაშისტური გერმანიის მაგალითი), არც ნორმატულ ფაქტებს (სტალინის ტოტალიტარული რეჟიმი) და არც პრეცედენტურ სამართალს (დაკანონებული უკანონობა აღმოსავლურ დესპოტიებში).

კვლევის შედეგად ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სამართლის სუბიექტი სამართლის სფეროში უნდა ხელმძღვანელობდეს სამი ორიენტირით: პოზიტიური სამართლის ნორმით, ნორმატიული ფაქტით და პრეცედენტური ნორმით. უფრო სწორად, უნდა აჯერებდეს ამ სამ ფაქტორს ერთმანეთთან. ამრიგად, სამართლის აზრის წვდომა არ შეიძლება გაგებული იქნას როგორც ანარქიული თვითნებობა. პოზიტიური სამართალი, ნორმატიული ფაქტები და პრეცედენტური ნორმები მხოლოდ მათი ურთიერთმოქმედების პროცესში ბუნებრივი გზით უზრუნველყოფენ სამართლის აზრის ნორმალურ წვდომას. გზას უღობავენ თვითნებობას.

სამართლის იდეის წვდომის პროცესი ობიექტურადაც შემოსაზღვრულია. სამართლის იმ იდეების წვდომაა შესაძლებელი, რომლებიც შეესაბამებიან მოცემული საზოგადოების წევრების მიერ თავიანთი არსის შემეცნების დონეს, ე. ი. სამართლის წვდომის ფარგლები განისაზღვრება მოცემული საზოგადოების მიერ მიღწეული თავისუფლების დონით.

სამართლის სუბიექტების მიერ სამართლის აზრის წვდომის შედეგად მოცემულ საზოგადოებაში საბოლოო ჯამში მყარდება განსაზღვრული მართლწესრიგი.

იაკობ ფუტყარაძე

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფო სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის

საქართველოში მიმდინარეობს მკვეთრად გამოხატული ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა, რომელმაც მწვავედ წამოჭრა რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის საკითხი. იგი სსრ კავშირის საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის საფუძველზე დაიწყო და იმთავითვე მკიდროდ დაუკავშირდა. გადაეჩაჭვა გარდაქმნას. აშკარაა, რომ ეროვნული მოძრაობის ბედი დამოკიდებულია მთელი ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესის შემდგომ განვითარებაზე.

ეროვნული მოძრაობა საქართველოში იზოლირებულად კი არა, არამედ მსოფლიო მოვლენების კრილში წაჩიმართება. საყოველთაო დეკოლონიზაციამ, რომელიც სამოციან წლებში დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. გამოადვიდა ეროვნული ძალები და გამოიწვია განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. ბუნებრივია, რომ გლობალური მასშტაბის მოვლენები საბჭოთა კავშირსაც შეეხო და, ამდენად, საქართველოს ამბებიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამოვლინებაა.

ეროვნული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისათვის საქართველოში, ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ სხვა ხალხებისა და ქვეყნების, მეტადრე კი ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოცდილება. ამასთანავე, ისიც უდავოა, რომ ბრმა მიმბაძველობა და წამხედურობა სასიკეთო შედეგებამდე ვერ მიგვიყვანს. ჩვენ გვჭირდება საკუთარი, ადგილობრივი პირობების შესატყვისი ეროვნული პოლიტიკა, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ჩვენივე ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავდება. განვითარების თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკის მიზანდანიშნულება უნდა იყოს ისეთი სრულყოფილი ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოკალიბება, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის გარდაქმნილი სტატუსის ფარგლებში უზრუნველყოფს ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფო სუვერენიტეტს. ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების საიმედოდ დაცვას და მტკიცე საფუძველს შეუქმნის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

საქართველოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფის პრობლემაზე მსჯელობისას გამოიკვეთება ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულება: დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უკომპრომისო მოთხოვნა, ანდა სუვერენიტეტის უზრუნველყოფის გზებისა და საშუალებების ძიება მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის შენარჩუნების, ე. ი. სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პირობებში.

ალბათ, გონივრული და უფრო მიზანშეწონილი იქნება ამ თითქოსდა შეურიგებელი პოზიციების ერთმანეთთან შეხამება და კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება.

ყოველ შემთხვევაში, ეს სასიცოცხლო ეროვნული საკითხი, უეჭველია, რეალურ ვითარებაზე დაყრდნობითა და რისკის ფაქტორის მაქსიმალურად გამორიცხვით უნდა გადაწყდეს. ადამიანმა შეიძლება თავისი სიცოცხლის რისკი გასწიოს, ერის ბედ-იღბლის სასწორზე დადება კი ყოველად დაუშვებელია. გაუჯღმარებელი ფედერალიზმის შეუქცევი რღვევა დაწყებულია, დრო თავისას იზამს და ასეთ ვითარებაში დიდი უგუნურება იქნება, რომ აგონიის თანამდევ მძვინვარებას უმწიფარი, ზომიერებას მოკლებული პოლიტიკის გამო მაინცდამაინც საქართველო ემსხვერპლოს.

დამღუპველია ემოციებზე დამყარებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. უფრო მეტიც, პოლიტიკაში სამართლიანობის პრინციპზე ჯიუტად დგომაც გაუმართლებელია. დიახაც არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ დიდ პოლიტიკას მართავს არა სამართლიანობა, არამედ რეალობა. სამართლიანობის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ყოველგვარ ეჭვს გარეშე იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადება. ასეთი აქტის სამართლიანობის დამადასტურებელია საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა თუნდაც 1918-1921 წლებში და მისი ეროვნულ-სახელმწიფო სუვერენიტეტის დამცრობა-დაკნინება ნაძალადევ გასაბჭოებასთან დაკავშირებული მოვლენების საფუძველზე. მაგრამ რეალურად სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მაინც მეტ-ნაკლებად სამომავლო საქმედ გამოიყურება.

ერთი სიტყვით, კვლავაც მართებული ჩანს ადრევე გამოთქმული შემდეგი დასკვნითი დებულება: „ბოლო ხანს ეროვნებათშორისი ურთიერთობის სახით სსრ კავშირში განვითარებული მოვლენებისა და მათ მიმართ საკავშირო ორგანოების პოზიციის, აგრეთვე საზღვარგარეთის განსაზღვრული წრეების სათანადო რეაგირების გათვალისწინებით მართებული იქნება, თუკი საქართველოს დღეს და ახლო მომავალში წარმოვიდგინოთ, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების ნამდვილად უზრუნველმყოფი რეალური სუვერენული უფლებებით აღჭურვილ თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკას რადიკალურად გარდაქმნილი საბჭოთა ფედერაციის შემადგენლობაში“ („საბჭოთა სამართალი“, 1989, № 7, გვ. 11). ასეთი პოზიციის მიზანშეწონილობა თვალსაჩინოდ დაადასტურა ლიტვის საკითხთან დაკავშირებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა.

ამასთან, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა სრულიადაც არ მოასწავებს დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებრიობაზე ხელის აღებას და ყველა ქართველის ამ სანუკვარი მიზნის დასამარებას. პირიქით, სწორედ ეს იქნება პირველი დიდი ნაბიჯი საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენის რეალურ გზაზე, რომელიც ეტაპობრივად შემდეგი სახით წარმოგვიდგება: „დღეისათვის ძირითადი ამოცანაა მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის სრულყოფა და კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებამოსილებათა რეალურად განხორციელება. შემდგომი ეტაპი იქნება კონფედერაციულ საწყისებზე მოწყობილ ურთიერთობებზე გადასვლა და, ბოლოს, სრული დამოუკიდებლობის მოპოვება“ („საბჭოთა სამართალი“, 1989, № 10, გვ. 57).

ის, რაც აქ სადღეისო ამოცანად არის დასახული, საქართველოს სრული

დამოუკიდებლობისაკენ სავალი გზის პირველ მონაკვეთად მიიჩნევა. ამ საწყის ეტაპზე ჩვენი რესპუბლიკა ამჟამად იმყოფება (ეს პერიოდი ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციისა და გარდაქმნასთან ერთად დაიწყო).

მეორე — გარდამავალი ეტაპის შესახებ უნდა ითქვას, რომ მისი განხორციელებისათვის აუცილებელი როდია მთელი სსრ კავშირის პირწმინდად გარდაქმნა კონფედერაციულ გაერთიანებად: ჩვენთვის საცვებით საქმარისი და მისაღები იქნება საკუთრივ საქართველოს რესპუბლიკის კონფედერაციული სტატუსი, თუნდაც ფედერაციული სსრ კავშირის შემადგენლობაში; სხვა მოკავშირე რესპუბლიკები, ცხადია, თვითონ განსაზღვრავენ საკავშირო სახელმწიფოსთან თავიანთი მიმართების რაობას (ეს მოსაზრება საქართველოს რეალური სუვერენიტეტის კონცეფციაში შესატანი დებულების სახით გამოითქვა 1990 წლის აპრილის პირველ ნახევარში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული მოკავშირე რესპუბლიკების, როგორც სუვერენული სახელმწიფოების, მრავალვარიანტული კავშირის შექმნის პრეზიდენტისეული მოდელი, რომელსაც ქვემოთ შევეხებით).

ასეთი პოზიციის პერსპექტიულობასა და, საერთოდ, სრული დამოუკიდებლობის ეტაპობრივად მოპოვების რეალურობას ადასტურებს ბოლოდროინდელი სიახლეები საკავშირო სახელმწიფოებრივი მშენებლობის პოლიტიკაში. საზოგადოების კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის უპირველეს ღონისძიებად სსრ კავშირის პრეზიდენტის ინიციატივით მიმდინარე წლის ივნისში დაისახა და სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო დებულებად გამოცხადდა მოკავშირე რესპუბლიკების, როგორც სუვერენული სახელმწიფოების, კავშირის შექმნა. ჩანაფიქრის მიხედვით მას საფუძვლად დაედება სრული ნებაყოფლობითობა, ურთიერთსარგებლიანობა, თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევა და თითოეული მოკავშირის სპეციფიკური მდგომარეობის, მათი ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური ხასიათის თავისებურებათა სრული გათვალისწინება. სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირის შექმნის პრეზიდენტისეული კონცეფცია გულისხმობს პოლიტიკურ და სამართლებრივ მრავალვარიანტულობას. ასეთი წარმონაქმნის ფარგლებში მოკავშირე რესპუბლიკების კავშირი ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეიძლება ვარიირობდეს ფედერაციულიდან კონფედერაციულამდე — იმის გათვალისწინებით, თუ რა რეალური ურთიერთობა ექნება ამა თუ იმ რესპუბლიკას ცენტრთან და კავშირის სხვა მონაწილეებთან (იგულისხმება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს ერთმანეთთანაც ექნებათ სახელმწიფოებრივი ურთიერთობანი). ეს კონცეფცია უთუოდ წინ წადგმული ნაბიჯია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თანდათანობითი დამკვიდრების გზაზე.

აქ ისიც სათქმელია, რომ თვით ლენინიც იმთავითვე, ჩვენი საკავშირო სახელმწიფოს დაფუძნების პირველი დღეებიდანვე არ გამორიცხავდა ამ ახლად შექმნილი ფედერაციის კონფედერაციად გარდაქმნის შესაძლებლობას (ამაზე ქართულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილდა ჯერ კიდევ უძრავობის პერიოდში, ამ 30 წლის წინათ გამოცემულ ნაშრომში: ი. ფუტყარაძე, საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება, თბ., 1969, გვ. 61). სახელდობრ, სსრ კავშირის შექმნის მეორე დღეს, 1922 წლის 31 დეკემბერს, ლენინი ამბობდა, რომ „საჭიროა დაგტოვოთ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დიპლომატიური აპარატის მხრივ“. მისი აზრით, კომუნისტებს წინასწარ არასვჯით არ უნდა ეთქვათ უარი

იმაზე, რომ საბჭოების შემდგომ ყრილობაზე უკან დაბრუნებულიყვნენ, ე. ი. დაეტოვათ სსრ კავშირი „მხოლოდ სამხედრო და დიპლომატიური მხრივ, ყველა სხვა მხრივ კი“ აღედგინათ „ცალკეული სახალხო კომისარიატების სრული დამოუკიდებლობა“. ლენინის ეს მოსაზრება გამოითქვა ქართველი კომუნისტების (ე. წ. ნაციონალ-უკლონისტების) იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ საქართველო გაერთიანებულიყო სსრ კავშირში „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“. ამაში კი არსებითად იგულისხმებოდა კონფედერაციის საწყისებზე აგებული ურთიერთობა.

მაშასადამე, გამოდის, რომ ლენინი მხარს უჭერდა საქართველოს კონფედერაციულ კავშირს რუსეთის ფედერაციასა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან. ეს გარემოება უთუოდ საყურადღებო არგუმენტია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის პარლამენტური ბრძოლის გზაზე.

ჩვეულებრივ, კონფედერაცია ფედერაციად გადაიზრდება ხოლმე. მაგრამ ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ეს პროცესი ვითარდება მაშინ, როდესაც კონფედერაციულ კავშირში ერთიანდებიან მანამდე დამოუკიდებლად არსებული სახელმწიფოები. სსრ კავშირთან საქართველოს მომავალი კონფედერაციული ურთიერთობა კი უკუპროცესის, ე. ი. თვით ფედერაციის რეორგანიზაციის გამოხატულება იქნება, რაც გამორიცხავს ფედერალიზაციის რეანიმაციული ტენდენციის წარმოშობა-განვითარებას. ამგვარად, კონფედერაცია არ იქნება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის სახიფათო სახელმწიფოებრივი კავშირ-ურთიერთობის ფორმა.

დღესდღეობით საქართველო კონსტიტუციურად არის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა — სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად გაერთიანებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. საქართველოს ასეთი სამართლებრივი სტატუსი ამჟამად განმტკიცებულია სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 71-ე და 76-ე მუხლებითა და საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის 68-ე მუხლით.

საქართველოს ახლანდელი სამართლებრივი მდგომარეობა დამოუკიდებლობის მიღწევის მნიშვნელოვანი მშვიდობიანი საშუალებაა. მართალია, რომ საქართველოს სამართლებრივ სტატუსს არ შეესაბამება მისი ფაქტობრივი მდგომარეობა (ამას დღეს ოფიციალურ დონეზედაც აღიარებენ). მიუხედავად ამისა, მაინც უმართებულოა მოკავშირე რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსის უგულვებლყოფა და ანექსირებულ ქვეყნად მიჩნევისათვის ბრძოლის გაჩაღება. ასეთ პოზიციაზე დგომა ნიშნავს ნებაყოფლობით ხელის აღებას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოპოვების მძლავრ იურიდიულ იარაღზე. საქმე ისაა, რომ საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების მიხედვით სუვერენობა და კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება მართოდენ მოკავშირე რესპუბლიკას გააჩნია. ეს გარემოება უთუოდ ანგარიშგასაწევი საყრდენია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ ძნელად სავალ გზაზე. მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკები უნდა იყვნენ განახლებული თუ ახლად დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების სრულუფლებიანი სუბიექტები. ამის გამო მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსს ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ მისი მეშვეობით შეიძლება იქცეს საქართველო კონფედერატის სტატუსის მქონე სუვერენულ სახელმწიფოდ.

მიჩნეულია, რომ საქართველოსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამართლებრივ სტატუსს საქავშირო სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებითად სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუცია განსაზღვრავს. ეს დებულება ასეთი სახით მიუღებელია. იგი კრიტიკულ განხილვასა და დაზუსტებას მოითხოვს.

სსრ კავშირი თავისებური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია და მისი სუბიექტების სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ ფუძემდებელ აქტად არ შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუცია. საქმე ისაა, რომ სსრ კავშირი სუვერენულ რესპუბლიკებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ერთეულია და არსებითად სწორედ ამ აქტმა, ე. ი. ხელშეკრულებამ და არა კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს რესპუბლიკების სამართლებრივი მდგომარეობა საქავშირო წარმონაქმნის შემადგენლობაში. კონსტიტუცია არ წარმოადგენს სახელშეკრულებო აქტს. საქავშირო კონსტიტუცია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მაგრამ ფუძემდებელი აქტი მაინც ხელშეკრულებაა და სახელმწიფოს ძირითადი თუ ყველა არაძირითადი კანონი მისგან უნდა გამომდინარეობდეს და მასვე უნდა შეესაბამებოდეს. დაუშვებელია, რომ კონსტიტუციის რომელიმე ნორმა ეწინააღმდეგებოდეს ხელშეკრულების დებულებებს. ასეთ შემთხვევაში ძალამოსილად უნდა ჩაითვალოს არა კონსტიტუციის ნორმა, არამედ ხელშეკრულების სათანადო დებულება.

საკითხისადმი ასეთ მიდგომას განაპირობებს ხელშეკრულებისა და კონსტიტუციის სხვადასხვაგვარი იურიდიული ბუნება, მათი მიღება-დამტკიცებისა და შეცვლის წესების სხვადასხვაობა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღება და შეცვლა ზდება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელსაც მიიღებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედის უმრავლესობა. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე კი შედარებით პატარა მოკავშირე რესპუბლიკები და, მათ შორის საქართველოც, დეპუტატთა უმნიშვნელო რაოდენობით არიან წარმოდგენილი. მათ არ შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღებაზე. ამდენად, ადვილი შესაძლებელია, რომ ყრილობამ ხმების უმრავლესობით მიიღოს ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. ამის მაგალითები ბლომად მოიპოვება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, საქავშირო უზენაესი საბჭოს მუშაობის პრაქტიკაში.

რაც შეეხება ხელშეკრულებას, იგი დაიდება თანასწორუფლებიან მხარეთა მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე და ჩვეულებრივ ასეთივე წესით იცვლება. აქ ერთნაირი უფლებები და გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედების თანაბარი შესაძლებლობები აქვს როგორც დიდ, ისე პატარა მოკავშირე რესპუბლიკას.

მამასადამე, ხელშეკრულება მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენული უფლებების უზრუნველყოფის უფრო მეტ გარანტიას იძლევა, ვიდრე კონსტიტუცია.

აქ ის გარემოებაც გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტია, კონსტიტუცია კი შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტია. ამიტომ უპირატესობა პირველ მათგანს ეძლევა და კოლიზიის შემთხვევაში მოქმედადაც მისი ნორმა ჩაითვლება.

1922 წლის საკავშირო ხელშეკრულების იურიდიული ძალა და მნიშვნელობა ამჟამად, შეიძლება ირქვას, მიჩქმალულია. იგი აღარც კი იხსენება სსრ კავშირის მოქმედ კონსტიტუციაში. ასეთი ტრადიცია დაამკვიდრა სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციამ და ამ მხრივ იგი დაუპირისპირდა 1924 წლის საკავშირო ძირითად კანონს, რომელმაც ხელშეკრულება თავის შემადგენელ ნაწილადაც კი აქტა.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ 1922 წლის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ დღესაც მოქმედი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტია და სწორედ იგი უნდა ჩაითვალოს მოკავშირე რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ ძირითად იურიდიულ დოკუმენტად.

ახლა ვნახოთ, ვრცელდება თუ არა საქართველოზე 1922 წლის ხელშეკრულების მოქმედება. საქმე ისაა, რომ იმ დროს საქართველო არ იყო მოკავშირე რესპუბლიკა. ხელშეკრულება დადო რუსეთის ფედერაციამ, უკრაინამ, ბელორუსიამ და ამიერკავკასიის ფედერაციამ. მიუხედავად ამისა, საქართველო მაინც სახელდებითაა მოხსენიებული ხელშეკრულებაში ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენელი ერთ-ერთი რესპუბლიკის სახით. ამგვარად, საქართველო სსრ კავშირის დამფუძნებელ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება და 1922 წლის საკავშირო ხელშეკრულების მოქმედება მასზედაც ვრცელდება. იგი ამ ხელშეკრულების სუბიექტია და ეს გარემოება კიდევ უფრო განამტკიცებს მის უფლებას, რომ სხვებთან ერთად დააფუძნოს ამჟამად უკვე მოკავშირე რესპუბლიკების, როგორც სუვერენული სახელმწიფოების. თვისებრივად ახალი კავშირი.

1922 წლის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას ასახავს და აღარ შეესაბამება დღევანდელ მდგომარეობას. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. სსრ კავშირი მტკიცედ ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს კი შინაარსი გამოეცალა და იგი მარტოოდენ დეკლარაციულ დებულებად გადაიქცა. ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ბიუროკრატიულმა მეთოდებმა და სტერეოტიპულმა აზროვნებამ გააუქულმართა ეროვნული ურთიერთობანი სსრ კავშირში. დემოკრატიზაციის პროცესმა სააშკარაოზე გამოიტანა ეროვნული ურთიერთობის მტკივნეული საკითხები. ეროვნული სფეროს ბოლოდროინდელი მოვლენები ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში კრიზისული ვითარების აშკარა გამოხატულებაა. მოკავშირე რესპუბლიკებში გაიშალა მძლავრი ეროვნული მოძრაობა და მათი უუფლებო მდგომარეობის უცვლელად შენარჩუნება უკვე შეუძლებელია.

ერთი სიტყვით, აუცილებელია შემუშავდეს ახალი საკავშირო ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის დაცვა და განმტკიცება. იგულისხმება, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობანი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის დამყარდება. ჩვენი მიდგომა ამ პრობლემისადმი, ცხადია, საქართველოს ინტერესების თვალთახედვით განისაზღვრება. პრობლემა მრავალმხრივია, ძალზე რთულია და ამჟამად მის ცალკეულ საკითხებს თუ შევხებით.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას თუ რას გულისხმობს „ახალი საკავშირო ხელშეკრულება“. წესით, მოკავშირე რესპუბლიკების ახლანდელ მდგომარეობაში, ალბათ მართებული იქნებოდა ლაპარაკი 1922 წლის შემოხსენებული აქტის არსებით განახლებაზე, სხვაგვარი ვითარება. ე. ი. სრულიად

ახალი ხელშეკრულების დადება საკავშირო სახელმწიფოში შესვლის შესახებ მთლად დაუსაბუთებელი თუ არა, ძნელად დასასაბუთებელი მაინც ჩანს მანამ, სანამ მოკავშირე რესპუბლიკა არ გამოსულა სსრ კავშირიდან და კვლავაც მის შემადგენლობაში იმყოფება.

მაგრამ პრაქტიკა ყოველთვის როდი მიესადაგება თეორიას. ცხოვრებისეულმა სინამდვილემ მოითხოვა და უკვე დაიწყო მოსამზადებელი საქმიანობა თვისებრივად ახალი საკავშირო ხელშეკრულების შესამუშავებლად. ამ მიზნით კრემლში, ფედერაციის საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მოეწყო მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა (იხ. გაზეთ „იზვესტიის“ ყოველკვირეული დანართი „სოიუზ“, 1990 წლის ივლისი, № 28, გვ. 6-7). ეტყობა, სხვა გამოსავალი არ არის. რა გაეწყობა! მოკავშირე რესპუბლიკების სამართალსუბიექტობის ახსნა და გამართლება ამ შემთხვევაშიც შეიძლება — ისევ და ისევ მათი სუვერენობის საფუძველზე.

სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადებაში („კუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ“) საკავშირო ხელშეკრულების მომზადების ზუსტი დროც კია განსაზღვრული. ხსენებული განცხადების იმ ადგილას, სადაც დასახულია კრიზისიდან გამოსვლის სასწრაფო ღონისძიებანი, აღნიშნულია, რომ ახალი ხელშეკრულება მიმდინარე წელს უნდა იქნეს შემუშავებული (გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წლის 17 ივლისი).

ასეთი აჩქარება ამ მეტად სერიოზულ საქმეში ყოვლად გაუმართლებელი და დაუშვებელია. განა მოესწრება წლის ბოლომდე დარჩენილ 5-6 თვეში გადაწყდეს რთული საორგანიზაციო და პროცედურული საკითხები, განისზღვროს ამდენი სუვერენული სახელმწიფოს შეკავშირების თვისებრივად ახალი პრინციპები, შემუშავდეს და ხელშეკრულების სახით ჩამოყალიბდეს როგორც მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, ისე ახალი საკავშირო წარმონაქმნისათვის მისაღები პირობები? დღესდღეობით საზოგადოებრიობისათვის ისიც კი უცნობია, თუ საქართველოდან ვინ და რა საფუძველზე მონაწილეობდა (ან საერთოდ მონაწილეობდა თუ არა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი) ზემოთ უკვე ხსენებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში.

დაახლოებით მაინც რომ წარმოვიდგინოთ ხელშეკრულების მოსამზადებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, დავიმოწმებთ რსფსრ-ის უზენაესი საბჭოს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარის ვ. ისაკოვის გამოსვლას კრემლში გამართულ ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე.

ახალი საკავშირო ხელშეკრულების შექმნის პროცესს ვ. ისაკოვი რამდენიმე ეტაპად ყოფს. პირველია ორგანიზაციული. ამ ეტაპზე სახელმწიფოებო პროცესის სუბიექტები სახალხო დეპუტატებისა და ყველაზე უფრო ავტორიტეტული, რესპუბლიკაში ცნობილი საზოგადო მოღვაწეების რიცხვიდან ქმნიან საკავშირო ხელშეკრულების დამდებ კომისიებს. მეორე ეტაპს შეადგენს საზოგადოებრივი დისკუსია. საკავშირო ხელშეკრულების დადება, ვ. ისაკოვის სიტყვით, არ შეიძლება წარმართოს სამთავრობო სტრუქტურების წიაღში. ეს უნდა იყოს დემოკრატიული პროცესი. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება ხელშეკრულების შექმნას არა მარტო იურიდიული მნიშვნელობა, არამედ აგრეთვე პოლიტიკური და ზნეობრივი ძალა. მესამე ეტაპი, ვ. ისაკოვის მოსაზრებით, იქნება პოზიციების შეთანხმება. აქ მოეწყობა შეხვედრები ექსპერტების, უზენაესი საბჭოების კომიტეტების, კომისიების ღონეზე... რესპუბლი-

კებში შემუშავებული წინადადებანი შეთანხმებული უნდა იყოს ხელისუფლების როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ორგანოებში. ბოლო ეტაპზე გაფორმდება მიღწეული შეთანხმებანი. შეთანხმებულ და აღიარებულ ზოგად დებულებებზე დაყრდნობით შეიძლება დაზუსტდეს დეტალები და კერძო საკითხები. არც ისაა გამორიცხული, რომ დეტალებსა და კერძო საკითხებზე დაყრდნობით შემუშავდეს ყველაზე უფრო სასურველი ზოგადი პრინციპები. ვ. ისაკოვის აზრით, საკავშირო ხელშეკრულება არ უნდა იყოს ერთიანი დოკუმენტი. მას გაცილებით უფრო რეალურ საქმედ მიაჩნია შემუშავდეს შეთანხმებათა კომპლექსი, რომელიც მოიცავს მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობის სხვადასხვა მხარის მომწესრიგებელ როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ ხელშეკრულებათა სისტემას.

როგორც ვხედავთ, მოსალოდნელია მეტად შრომატევადი სამუშაოები, რისთვისაც საჭირო იქნება სათანადო სპეციალისტების ხანგრძლივი ძალისხმევა.

საკავშირო ხელშეკრულების განახლება ანდა თუნდაც მისი სრულიად ახალი აქტით შეცვლა არ ნიშნავს საქართველოს დაკაბალებას და ფედერაციისა თუ კონფედერაციის შემადგენლობაში სამუდამოდ ყოფნის დაკანონებას. იგულისხმება, რომ განახლებული ან ახლად დადებული ხელშეკრულება მხარეთა სრული თანასწორობის საფუძველზე შემუშავდება და განუსაზღვრელი ვადისა იქნება. ასეთი ხელშეკრულების დამდები კი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს წამოჭრას საკითხი თავის სახელშეკრულებო ურთიერთობათა მოშლის შესახებ.

ხელშეკრულებაში მკაფიოდ განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილებათა ურთიერთმიმართება, მათი კომპეტენციების თანაფარდობა. ამასთან, ამ საქმეში სახელმძღვანელოდ არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება 1990 წლის 26 აპრილის საკავშირო კანონი „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ (მასში სსრ კავშირის სასარგებლოდ უზურპირებულია მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებები). თანამედროვე ვითარება მოითხოვს, რომ კომპეტენციის ახლანდელი სამწვეროვანი სისტემა ორწევრიანი დაყოფით შეიცვალოს. ეს იმას ნიშნავს, რომ აღარ იქნება სსრ კავშირის განსაკუთრებული გამგებლობის საკითხები. ხელშეკრულებით განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივი გამგებლობის სფერო. ყველა დანარჩენი საკითხი შევა საკუთრივ მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციაში. ამასთან, ერთობლივი კომპეტენციის საკითხებს სსრ კავშირი და მოკავშირე რესპუბლიკები განაგებენ პარტეტულ საწყისებზე.

სრულიად ახლებური, ძველისაგან პრინციპულად განსხვავებული უნდა იყოს ამოსავალი დებულება, რომელიც რესპუბლიკური და საკავშირო ინტერესების ურთიერთმიმართებას შეეხება. ხალხები კავშირში ერთიანდებიან იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მათი ეროვნული ინტერესები. ქართველობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გაერთიანება საფრთხეს არ შეუქმნის მისი საკუთარი ეროვნების შენარჩუნებასა და განვითარებას. ასეთი სწრაფვა დამახასიათებელია არა მარტო ქართველებისათვის, არამედ ყველა ხალხისათვის, დასაბამიდან არის ჩადებული მათ ბუნებაში. ინტერნაციონალიზმი ამგვარ „კერძო“, ეროვნულ ინტერესებს ემყარება. როგორც წესი, ინტერნაციონალური მოწოდებანი იმდენად აღძრავს და ენერგება ერის, ხალხის სულს, რამდენადაც მის ეროვნულ მისწრაფებებს ეხმარება. აქედან გამომდინარეობს

იმის აუცილებლობა, რომ საკავშირო და ეროვნულ სახელმწიფო-სამართლებრივ მშენებლობაში უნარიანად იყოს შეხამებული კავშირში გაერთიანებული ხალხების ეროვნული და საერთო ინტერესები. სახელდობრ, ქართველ ერთან მიმართებით საჭიროა შემუშავდეს და განმტკიცდეს ეროვნული თვითმყოფობის, მისი ყველა ატრიბუტის დაცვის, შენარჩუნებისა და პროგრესულად წარმართვის უზრუნველყოფი მყარი სამართლებრივი გარანტიები და ამის საფუძველზე განვითარდეს ინტერნაციონალიზმი, ინტერნაციონალური კავშირ-ურთიერთობანი. სწორედ ასე და არა პირიქით.

ამგვარად, თანამედროვე პირობებში; აღრინდელისაგან განსხვავებით, საქართველოსა და კავშირის ინტერესების ურთიერთმიმართების განსაზღვრისას უპირატესობა უნდა მიეცეს ნაციონალურს ინტერნაციონალურთან შედარებით. მომეტებული ყურადღება უნდა მიექცეს რესპუბლიკის ინტერესებს და ამ ეროვნულ პრიზმაში გატარებით დაკმაყოფილდეს საერთო-საკავშირო მოთხოვნილებანი.

ახლებურად მოწყობილი კავშირი კვლავაც დაფუძნებული იქნება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრინციპზე. კავშირში გაერთიანებული მოკავშირე, რესპუბლიკები ეროვნული სახელმწიფოებია. ეს გარემოება უნდა აისახოს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, აგრეთვე საკავშირო ხელშეკრულებასა და კონსტიტუციაში. საჭიროა ამ აქტებში იყოს ნათქვამი, რომ მოკავშირე რესპუბლიკა არის ეროვნული სახელმწიფო. ანალოგიურ დებულებას შეიცავს კონსტიტუციური კანონი ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის შესახებ (ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საფუძველს შეადგენს „ჩეხი და სლოვაკი ერების ეროვნული სახელმწიფოების“ კავშირი). ასეთი კონსტიტუციური ნორმა გამოკვეთილად გამოხატავს და განამტკიცებს საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფო სუვერენიტეტს.

სუვერენიტეტის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების საკითხი. თანამედროვე ვითარებისა და იმის გათვალისწინებით, რომ 1936 და 1977 წლების კონსტიტუციების განხილვისას გამოითქვა წინადადებანი — საკავშირო ძირითადი კანონიდან ამოღებულიყო მუხლი სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის უფლების შესახებ, 1989 წლის დასაწყისში ერთ-ერთ საყურნალო სტატიაში ჩვენ წამოვაცენეთ შემდეგი საკანონმდებლო წინადადება: „იმისათვის, რომ ამგვარ არაკეთილმოსურნე ცდებს ბოლო მოელოს ერთხელ და სამუდამოდ და მტკიცედ იქნეს დაცული მოკავშირე რესპუბლიკის ძირითადი სუვერენული უფლების ხელშეუვალობა, მიზანშეწონილია სათანადო კონსტიტუციური ნორმის შემუშავება. კერძოდ... დაკანონდეს, რომ არ შეიძლება სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების შეცვლა, შეზღუდვა ან გაუქმება“ (იხ. „საქართველოს კომუნისტი“, 1989, № 3 ქართულ და რუსულ ენებზე, შესაბამისად — გვ. 59 და 57-58). 1989 წლის ბოლოს, სახელდობრ კი 18 ნოემბერს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა რესპუბლიკის კონსტიტუციის 69-ე მუხლი, სადაც, კერძოდ, აღინიშნა: „დაუშვებელია სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმადლესი ორგანოს აქტით ან სხვა გზით სსრ კავშირიდან საქართველოს სს რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების გაუქმება ან შეზღუდვა“.

სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლე-

ბას ახალი სერობოზული საფრთხე შეუქმნა 1990 წლის 3 აპრილის კანონმა „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“. ამ ახალი გარემოებისა და საერთო ვითარების გათვალისწინებით აუცილებელია, რომ ზემოთ შემოთავაზებული საკანონმდებლო დებულება აისახოს მოკავშირე რესპუბლიკების ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში. სახელდობრ, ამ აქტში უნდა ჩაიწეროს, რომ არ შეიძლება სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების შეცვლა, შეზღუდვა ან გაუქმება.

საქართველოს სრული სუვერენიტეტის დასამკვიდრებლად საჭირო და აუცილებელიცაა ჩვენს ახლანდელ ძირითად კანონში წარსულის კონსტიტუციური გამოცდილების გათვალისწინებით აისახოს ის დებულება, რომ „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 1, ნაწილი I).

საქართველოს სუვერენიტეტის თვალსაზრისით ასევე ყურადსადები და ჩვენს მოქმედ ძირითად კანონში უთუოდ ასახავია ადრინდელი კონსტიტუციური დანაწესი, რომ „სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია“ (იქვე, მე-6 მუხლის პირველი ნაწილი).

მოსახლეობის იმ ეროვნული ჯგუფების განვითარება, რომელთაც არა აქვთ ტერიტორიული ავტონომია საქართველოში, უნდა წარმართოს არა ახალი ავტონომიური წარმონაქმნების ჩამოყალიბების გზით, არამედ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის გამოყენების მიმართულებით. ავტონომიის შექმნა არ უნდა იყოს თვითმიზანი. მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ საქართველო შედარებით პატარა რესპუბლიკაა. ტერიტორიის სიდიდით იგი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მე-10 ადგილზეა. ავტონომიური წარმონაქმნების რაოდენობის მიხედვით კი მას მე-2 ადგილი უჭირავს: უზარმაზარი რუსეთის ფედერაციის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს სსრ რიცხოვრივად ყველაზე მეტ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულს მიიცავს. რაღა თქმა უნდა, მიზანშეუწონელი და დაუშვებელიცაა ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული ტერიტორიის შემდგომი დაქუცმაცება და მისი ერთიანობის შეგნების დაკნინება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და საჭიროებისას სხვასაც თამამად შევახსენოთ, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილება მთლიანად აგებულია შინაგანი ფედერირების პრინციპზე: მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულები შექმნილია საკუთრივ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში (რაც შეეხება, ვთქვათ, რუსეთის ფედერაციას, აქ ტერიტორიის ნახევარზე მეტი მისი სუბიექტების მიწა-წყალს წარმოადგენს). ამ გარემოებისა და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო სუვერენული მოკავშირე სახელმწიფოა, საკავშირო ორგანოებს უნდა აეკრძალოთ რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა. საქართველოსთან მიმართებით ჩვენ პრინციპულად და ხელაღებით უნდა უარვყოთ დებულება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებსა და მათ შემადგენლობაში შემავალ ავტონომიებს შორის სადავო საკითხები თუ მათ გამო არ იქნება მიღწეული მორიგებანი ადგილებზე, განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცეს სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს (თუნდაც იმ შემთხვევაში თუ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკა ან ოლქი ამ საკითხზე მიმართავს საკავშირო ორგანოებს). ასეთი საკითხები თვითონ

საქართველომ უნდა გადაწყვიტოს დამოუკიდებლად, საკავშირო ორგანოების ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

გადაჭრით ვაცხადებთ: ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია უმართბულო დანაწესი 1990 წლის 3 აპრილის საკავშირო კანონისა „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“: „მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ოკრუგები, რეფერენდუმი ეწყობა ცალკე თითოეულ ავტონომიაში. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს უნარჩუნდებათ სსრ კავშირში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებელი გადაჭრის, აგრეთვე თავისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება. მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის ტერიტორიაზე არის ეროვნული ჯგუფების კომპაქტური ბინადრობის ადგილები, რომლებიც შეადგენენ მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობას, რეფერენდუმის შედეგების განსაზღვრისას ამ ადგილებში კენჭისყრის შედეგები აღირიცხება ცალკე“. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გამწვავებულ ეროვნულ ურთიერთობათა კვანძის გახსნას როდი ემსახურება. პირიქით, იგი ამ ისედაც აწეწილ სფეროში დაძაბულობის ახალი საშიში კერების გაჩენის მომასწავებელია. საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფა არც ერთ ძეხორციელს არ ხელეწიფება. ქართველ ხალხს აქვს თავისი ეროვნული ტერიტორიის ტერიტორიული მთლიანობის განუყოფელი უფლება.

საზოგადოების დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში საქართველოში წამოიჭრა და განიხილება მის შემადგენლობაში არსებული ავტონომიების შექმნის გარემოებათა და სამართლებრივი სტატუსის ობიექტურად შეფასების საკითხი. იგი საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფო მოწყობის პრობლემის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს სსრ სუვერენიტეტი გულისხმობს ამ პრობლემის სრული მოცულობით დამოუკიდებლად და საბოლოოდ გადაწყვეტის უფლებასა და რეალურ შესაძლებლობას.

აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელიც სსრ კავშირის შექმნის ფუძემდებელი პრინციპის ხელყოფად და თვით საკავშირო სახელმწიფოს არსებობის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრად აღიქმება. საქმე შეეხება, სახელდობრ, მოკავშირე რესპუბლიკების როგორც სსრ კავშირის დამფუძნებელი და არსებითი ნიშან-თვისებების განმსაზღვრელი სუვერენული სახელმწიფოების სტატუსის ნიველირებას ავტონომიებთან მიმართებით. ავტონომიური ერთეულების ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის საბაბით ბოლო ხანს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობაში თანდათანობით ფეხს იკიდებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების გათანაბრების უმართებულო ტენდენცია. იგი მკაფიოდ გამოვლინდა და განმტკიცდა კიდევ კანონში „სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“, რომელიც მიიღო საკავშირო უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 26 აპრილს. ჩვენთვის გასაგებია, კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულების წარმომადგენელთა წუხილი თავიანთი ხალხების მომავლის გამო. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ზემოთ უკვე მითითებული ფაქტორების გათვალისწინებით შეუძლებელია

რუსეთისა და საქართველოს ავტონომიების საკითხის ერთ სიბრტყეში განხილვა და ერთნაირი საზომით გადაწყვეტა.

საკავშირო პრესაში ითქვა, რომ „ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში“ საზღვარი მხოლოდ და მხოლოდ „რუკაზე გავლებული პირობითი ხაზია“ და „ყოველგვარი ისტორიული დასაბუთება იმისა, რომ მიწა ამა თუ იმ ხალხის საუკუნეობრივი კუთვნილებაა — აბსოლუტურად უსაფუძვლოა“. ამგვარი აზრების გამართლება არაფრით არ შეიძლება, მით უფრო ისეთი „გადასარევი“ საბუთით, რომ „მრავალი საუკუნის განმავლობაში ხალხები მომთაბარეობდნენ, ერთმანეთს უცვლიდნენ ტერიტორიებს“ და „კულტურის ერთი შრე მეორეს ეფინებოდა“. საკითხის ასე დაყენება სრულიად მიუღებელია იმ ერებისათვის, და, მათ შორის, ქართველებისთვისაც, რომელთა ძველისძველი მიწები ამა თუ იმ გარემოების გამო სხვა ხალხთა წარმომადგენლებითა დასახლებული. საზღვრების უგულვებელყოფა სსრ კავშირის შიგნით ხელს არ უწყობს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას და მას არაფერი საერთო არ აქვს ქეშმარიტ ინტერნაციონალიზმთან. ასეთ ვითარებაში უნებურად იბადება აზრი, რომ საჭიროა შემუშავდეს სპეციალური აქტი საქართველოს სსრ სახელმწიფო საზღვრისა და მისი დაცვის შესახებ.

ნამდვილად თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების კავშირი და მართლა რადიკალურად გარდაქმნილი ფედერაცია გულისხმობს მოკავშირე რესპუბლიკების პარიტეტულ, თანაბარ წარმომადგენლობას სათანადო საკავშირო ორგანოებში. ზოგიერთ ასეთ ორგანოში კი საერთოდ უგულვებელყოფილია მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობა. ასეთია თუნდაც სულ ბოლო დროს შექმნილი უაღრესად მნიშვნელოვანი ორგანო — სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭო, რომლის წევრებს პრეზიდენტი ნიშნავს. კანონი არ ითვალისწინებს მის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა შესვლას, მაშინ, როდესაც ამ ორგანოს ამოცანაა სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციის, ქვეყნის უშიშროების ღონისძიებათა შემუშავება! ლაპარაკობენ ხოლმე „ლენინური პრინციპების აღდგენაზე მისი ნამდვილი მნიშვნელობით“. მაშ, რატომ არ უნდა გავითვალისწინოთ დღეს, მაგალითად, ლენინის დაყენებითი მოთხოვნა, რომ კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ რუსი, უკრაინელი, ქართველი და სხვ. დამოწმებული დებულების მიხედვით ხომ ისე გამოდის, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეებად რიგ-რიგად იყენენ სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლები. აი, ეს იქნება ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების ნამდვილი აღდგენა.

მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის ფიქციურობა არსებითად განსაზღვრა მტკიცედ ცენტრალიზებული მმართველი პარტიის არსებობამ ჩვენს უზარმაზარ ფედერაციაში და რესპუბლიკური კომპარტიების ჩაჭედვამ ამ ერთიანი სისტემის ვიწრო ყალიბში. პრაქტიკულად ხომ წარმოუდგენელია 16 სუვერენული სახელმწიფო (სსრ კავშირი და 15 მოკავშირე რესპუბლიკა) ერთი მონოლითური პარტიის მმართველობის პირობებში. ახლა მდგომარეობა იცვლება, ახლებურად გაიზარება პარტიული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ურთიერთმიმართება. ჭერ კიდევ გასულ წელს აღინიშნა და განვილიშა დრომაც, ვფიქრობთ, დაგვიდასტურა იმის მიზანშეწონილობა, რომ კომპარტიის ორგანიზაციული წყობა მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს ჩვენს სა-

ხელმწიფო-სამართლებრივ სისტემას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას (იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1989, № 7, გვ. 10-11). მართლაც, ლოგიკური იქნება, თუ ფედერაციულ სახელმწიფოსა და შემდეგ კონფედერაციულ კავშირში პარტიაც შესაბამისად ფედერაციულ და კონფედერაციულ საწყისებზე მოეწყობა. უკვე დადგა დრო, რომ პარტიის ხელმძღვანელი საკავშირო ორგანოები დაკომპლექტდნენ მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებით თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სკკპ XXVIII ყრილობაზე.

პარტიის ახალმა წესდებამ, რომელიც ყრილობამ მიიღო, დააწესა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნების შეყვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროში. ეს გარემოება და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების თუნდაც ფორმალური დამოუკიდებლობის აღიარება პარტიული ფედერალიზმის მომასწავებელი ნოვლებია.

სახელმწიფო ხელისუფლების ახალი უმაღლესი საკავშირო ორგანოების სტრუქტურა არ ასახავს და ვერ უზრუნველყოფს მოკავშირე რესპუბლიკების სპეციფიკურ ეროვნულ ინტერესებს. შევადაროთ სახელმწიფო ხელისუფლების ახალი და ძველი უმაღლესი ორგანოები ეროვნული სტრუქტურის თვალსაზრისით. ადრე უმაღლესი ორგანო იყო ორპალატიანი უზენაესი საბჭო. მისი ერთი პალატა — ეროვნებათა საბჭო — მოწოდებული იყო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დონეზე გამოეხატა და დაეცვა ეროვნებათა სპეციფიკური ინტერესები. ახლანდელ უმაღლეს ორგანოში — სახალხო დეპუტატთა ყრილობის სტრუქტურაში კი მოკავშირე რესპუბლიკის ეროვნული ინტერესების ასახვის სპეციალური მექანიზმი არ არის. ადრინდელი ეროვნებათა საბჭოს (ისევე როგორც მთლიანად უზენაესი საბჭოს) არჩევნები პირდაპირი იყო — საბჭოს წევრებს უშუალოდ ხალხი ირჩევდა. ახლა კი ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ირჩევს და, მაშასადამე, იგი არაპირდაპირი არჩევნების გზით ყალიბდება. ახლანდელი ეროვნებათა საბჭო ძველთან შედარებით რიცხობრივად მცირეა და აღარც მარტო ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში არჩეული დეპუტატებისაგან შედგება (მათ ემატება აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან წარგზავნილი დეპუტატები). მაშასადამე, ახლად შექმნილი ორგანოები ეროვნული სტრუქტურის თვალსაზრისით ერთგვარი უკან გადადგმული ნაბიჯია ძველთან შედარებით.

ეროვნული ინტერესების დაცვას ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა მიღების წესიც, რომელიც დამკვიდრებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და უზენაეს საბჭოში. მაგალითისათვის ავიღოთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭო — სპეციალური ორგანო, რომლის უშუალო დანიშნულებაა ეროვნული ინტერესების დაცვა. აქაც კი არაა გამორიცხული ერთი ან რამდენიმე მოკავშირე ერისათვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა (რასაც თვალნათლივ ადასტურებს ბოლოდროინდელი საკანონმდებლო აქტები, თუნდაც კანონი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთან გადაწყვეტის წესის შესახებ“). საკუთრივ მოკავშირე რესპუბლიკა აქ წარმოდგენილია დეპუტატთა მცირე რაოდენობით. გადაწყვეტილება კი მიიღება სა-

ერთო კენჭისყრის საფუძველზე. მაშ, როგორღა გავამტყუნოთ ის რესპუბლიკები, რომლებიც მოითხოვენ საკავშირო კანონის სარეგისტრაციო წესის შემოღებას? საჭიროა მოიძებნოს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი: 1) ან უნდა დავეთანხმოთ სარეგისტრაციო წესის შემოღებას და მაშინ შეიცვლება საკავშირო კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა; 2) ან ეროვნებათა საბჭოში, მთლიანად უზენაეს საბჭოში და სახალხო დემუტატთა ყრილობაზეც ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებულ და სხვა უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ჯგუფობრივად — მოკავშირე რესპუბლიკებში არჩეულ დემუტატთა ჯგუფების მიხედვით (კენჭისყრის ასეთი წესის დროს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იქნება შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკებში არჩეულ დემუტატთა ყოველი ჯგუფის სულ ცოტა, ვთქვათ, ორი მესამედის უმრავლესობა); 3) ანდა მკვეთრად უნდა გაძლიერდეს მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესების დაცვის გარანტიები პროექტების მომზადების სტადიაზე. კერძოდ, დაკანონდეს მოკავშირე რესპუბლიკის ქმედითი მონაწილეობა კანონპროექტების შემუშავებაში, მისი წინასწარი თანხმობა საკანონმდებლო აქტების მიღებაზე, ეს პროცედურა ჩვენ ასე წარმოგვიდგება: სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი დაამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების აქტიური მონაწილეობით შემუშავებულ აქტებს კანონპროექტის სახით და დაუგზავნის მას რესპუბლიკურ უზენაეს საბჭოებს. ეს უკანასკნელნი ან მოიწონებენ კანონპროექტს (მაშინ მას მიეცემა შემდგომი მსვლელობა), ანდა უარყოფენ მას (ამ დროს კანონპროექტს მსვლელობა არ მიეცემა და მისმა მესვეურებმა უნდა იზრუნონ წინააღმდეგობათა შეთანხმებაზე).

მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის უზრუნველყოფა შეუძლებელია საკავშირო სახელმწიფო ორგანოებში პარიტეტული წარმომადგენლობისა და გადაწყვეტილებათა მიღების ოპტიმალური წესის გარეშე.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფო სუვერენიტეტის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება რესპუბლიკის ახალ, მრავალპარტიულ საწყისებზე შექმნილ უზენაეს საბჭოს. მრავალპარტიული პარლამენტი საღი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების წინაპირობაა.

ეტყობა, ახალი უზენაესი საბჭოსთვის იოლი როდი იქნება დაძლიოს დღევანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებით ნაკარნახევი ცდუნება, რომ უცბად, ერთი ხელის მოსმით აღასრულოს ქართველი კაცის საუკუნოვანი ოცნება. საქართველოს საშინაო ვითარების, საკავშირო შესახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისა და პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის, აგრეთვე, დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ სრული დამოუკიდებლობა ნაბიჯ-ნაბიჯ, უდიდესი გონებრივი და ფიზიკური ძალისხმევით მიიღწევა. სიცეტე არ გვარგებს (განა სამგლეთი დაიქცა?!). ნუ დავიფიქვებთ ბრძნულ შეგონებას: ვინც ზომაზე არა ყლაპავს, სიმწრით დაახველებს.

ახლა თავიდათავი საქმეა ის რომ, უზენაესი საბჭო ჩამოყალიბდეს თვითმყოფ, ჯგუფობრივი ინტერესების არსებითი ზემოქმედებისაგან დაცულ, ნამდვილად დამოუკიდებელ და მთელი ერის ნება-სურვილის გამომხატველ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ. იგი უნდა იყოს ერის ინტელექტის, გონიერულობისა და სიბრძნის განსახიერება, სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობის საუკეთესო ეროვნული ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე.

ბოლო ხანებამდე უზენაესი საბჭო შაბლონურად შტამბავდა ხოლმე პარტიულ გადაწყვეტილებებს. ახლა ნათელია, რომ იგი უთუოდ განიკურნება ამ სენისაგან. ამავე დროს ახალმა უზენაესმა საბჭომ არამც და არამც არ უნდა დაუშვას მეორე უკიდურესობა, იგი არ უნდა იქცეს, ვთქვათ, მიტინგის პირდაპირ ამყოლ-დამყოლ ორგანოდ. მიტინგის დანიშნულებაა უზენაესი ხელისუფლების სტიმულირება და არა მისი ნების წარმართვა, რეგულირება. უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებანი უნდა იყოს სხვადასხვაგვარი პოზიციების ურთიერთშეჯერებისა და საკუთარი განსჯის შედეგი.

საქართველოს სუვერენიტეტის მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფა და ეროვნული მოძრაობის სიერთო წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, შეძლებს თუ არა უზენაესი საბჭო თავიდანვე დაამკვიდროს აწონილ-დაწონილი, რეალური ვითარების შესატყვისი გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა.

სასამართლო პრაქტიკა

ზურაბ კოთუა

გაუპატიურების მძიმე შედეგების კვალიშეჩანიხ

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ამ დანაშაულის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა ისეთი გაუპატიურება, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა.

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დღემდე არ არის აზრთა ერთიანობა, თუ რა უნდა ჩაითვალოს გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგად. ამ ცნების არასწორად გაგებამ პრაქტიკაში, შეიძლება საბედისწერო შეცდომა გამოიწვიოს, რადგან 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილის სანქცია სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებს. ამიტომ, მიმაჩნია, რომ გაუპატიურების შემადგენლობის ზემოთაღნიშნული შეფასებითი ნიშანი აღწერილობითი ნიშნებით უნდა შეიცვალოს, სახელდობრ, სიტყვები „...ან რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა“. უნდა შეიცვალოს სიტყვებით: „...ან რასაც შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, ან თვითმკვლელობა, ან სხეულის მძიმე დაზიანება, ან შიღის ვირუსის შეყრა, ან შიღისთ დაავადება“.

გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგთა თითოეული ეს საბე-
გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

დაზარალებულის სიკვდილს შეიძლება ადგილი ჰქონდეს განზრახი ან
გაუფრთხილებელი მკვლელობის, ან თვითმკვლელობისას, ან დაზარალებუ-
ლის მიერ სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით მოძალადისაგან თავის
დაღწევის მცდელობის დროს. სიკვდილის ფაქტის მიმართ დამნაშავეს შეიძ-
ლება ჰქონდეს განზრახვა (პირდაპირი ან არაპირდაპირი) ან გაუფრთხილებ-
ლობა.

თუ დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია გაუფრთხილებლობით ჩადე-
ნილმა მკვლელობამ, როცა დამნაშავეს არ სურდა და იგი არც უშვებდა გა-
უპატიურებისას (ან მცდელობისას) ქალის სიკვდილს, თუმცა შეეძლო და
უნდა გაეთვალისწინება კიდევ ასეთი შედეგის დადგომა, დამნაშავეს მოქ-
მედების დანაშაულთა ერთობლიობის წესით დაკვალიფიცირება საჭირო არ
არის, რადგან გაუპატიურებისას გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელო-
ბა მთლიანად არის მოცული საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის მეოთხე
ნაწილით.

„განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის
დადგენილებაში ნათქვამია, რომ განზრახ მკვლელობა, დაკავშირებული გა-
უპატიურებასთან, გულისხმობს მკვლელობის ჩადენას გაუპატიურების პრო-
ცესში, ან მისი დაფარვის მიზნით, აგრეთვე მკვლელობას, ჩადენილს მაგა-
ლითად, გაუპატიურებისას გაწეული წინააღმდეგობისათვის შურისძიების
მოტივით. ამასთან ადგილი აქვს ორი დამოუკიდებელი დანაშაულის ჩადენას,
რისთვისაც ქმედობათა კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ერთობლიობით: რსფსრ
სსკ 102-ე მუხლის „ე“ პუნქტით და 117-ე მუხლით (საქართველოს სსრ სსკ
104-ე მუხლის მე-7 პუნქტით და 117-ე მუხლით).

მართალია, გაუპატიურებისა და მასთან დაკავშირებული განზრახი
მკვლელობის ჩადენისათვის დამნაშავეს მოქმედების კვალიფიკაცია უნდა
მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, მაგრამ ამასთან ერთად აუცი-
ლებელია ვიცოდეთ, როდის არის საჭირო 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილის
გამოყენება (104-ე მუხლის მე-7 პუნქტთან ერთად) და როდის კიდევ 117-ე
მუხლის სხვა ნაწილის გამოყენება (104-ე მუხლის მე-7 პუნქტთან ერთად).
პლენუმის ზემოთაღნიშნულ დადგენილებაში კი, როგორც ვხედავთ, მითითე-
ბული არ არის 117-ე მუხლის რომელი ნაწილი უნდა იქნეს გამოყენებული.

ჩემი აზრით, თუ დაზარალებულის განზრახი მკვლელობა შედეგად მოჰ-
ყვა გაუპატიურების (ან მისი მცდელობის) ობიექტურ მხარეში შემავალ
მოქმედებას (ფიზიკურ ძალადობას, მუქარას, ან სქესობრივ კავშირს), დამნა-
შავეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 117-ე
მუხლის მეოთხე ნაწილით და 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით. თუ დაზარალებ-
ულის განზრახი მკვლელობა შედეგად მოჰყვა გაუპატიურების (ან მცდელო-
ბის) დამთავრების შემდეგ ჩადენილ რაიმე მოქმედებას, ასეთ შემთხვევაში
კვალიფიკაცია უნდა მოხდეს 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით და 104-ე
მუხლის მე-7 პუნქტით.

ამასთან დაკავშირებით, არასწორად უნდა ჩაითვალოს იმ ავტორთა მო-
საზრება, რომლებიც თვლიან, რომ თუ განზრახი მკვლელობა ჩადენილია უშუ-
ალოდ გაუპატიურების დამთავრების შემდეგ, დამნაშავეს მოქმედების კვალი-

ფიკაცია უნდა მოხდეს საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით. ამ შემთხვევაში, გამოთქმა „უშუალოდ გაუპატიურების დამთავრების შემდეგ“ აღარ იძლევა საფუძველს 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილის გამოსაყენებლად. რადგან დაზარალებულის სიკვდილი გაუპატიურების ობიექტურ მხარეში შემავალ რაიმე მოქმედებას კი არა, არამედ სულ სხვა დანაშაულს მოჰყვა შედეგად (განზრახ მკვლელობას), რომელიც თუნდაც უშუალოდ გაუპატიურების დამთავრების შემდეგ იყოს ჩადენილი.

ამიტომ, სავსებით სწორად მიმაჩნია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენი ყ-ს და ქ-ს მიმართ 117-ე მუხლის მესამე ნაწილის შეფარდების შესახებ. მსჯავრდებულებმა განიზარხეს ე-ს გაუპატიურება. ამ მიზნით წაიყვანეს ე. უკაცრიელ ადგილას, სადაც ორივემ გამოიყენა მის წინააღმდეგ ფიზიკური ძალადობა და ჯგუფურად გაუპატიურეს იგი. ამ დანაშაულის დამთავრების შემდეგ დაზარალებული ე. დაემუქრა მათ, რომ მომხდარის შესახებ მილიციაში განაცხადებდა. ყ-მ და ქ-მ, რათა დაეფარათ გაუპატიურების ფაქტი, განიზარხეს დაზარალებულის მოკვლა: ე. ძალით გადაათრეს იქვე ახლოს მდებრე ხევში, სადაც ქ-მ მას ხელ-ფეხი გაუკავა, ხოლო ყ-მ დანით მუცლის ღრუში შემავალი, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიაყენა. ამის შემდეგ ქ-მ ხელით დაახრჩო მომაკვდავი ე¹.

სასამართლო სწორად მოიქცა, როცა დამნაშავეთა მოქმედება დააკვალიფიცირა 117-ე მუხლის მესამე ნაწილით (და არ მეოთხე ნაწილით), ხოლო 104-ე მუხლის მეშვიდე პუნქტი გამოიყენა არა იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა სხვა დანაშაულის დაფარვას, არამედ იმის გამო, რომ მკვლელობა დაკავშირებული იყო გაუპატიურებასთან.

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს დამნაშავის მოქმედება ისეთ შემთხვევაში, როცა გაუპატიურებისას იგი ცდილობდა მოეკლა დაზარალებული, მაგრამ ეს დანაშაულებრივი განზრახვა მან ბოლომდე ვერ მიიყვანა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო?

ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ თუ მკვლელობის მცდელობას შედეგად არ მოჰყოლია 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე შედეგი, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 17, 104 მუხლის მე-7 პუნქტითა და 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

ჩემი აზრით, ამ პოზიციის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ აქ უგულვებელყოფილია პირდაპირი განზრახვის არსებობა გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგის, ამ შემთხვევაში განზრახ მკვლელობის, მიმართ. მიმაჩნია, რომ მსგავს შემთხვევაში დამნაშავის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17, 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილითა და 17, 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით.

ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს ადგილი აქვს ფაქტობრივად ჩადენილი გაუპატიურების კვალიფიკაციას მცდელობის მუხლის გამოყენებით, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი აქ იგულისხმება გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგის დადგომის მცდელობა, რაც შეეხება საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებულ დამთავრებულ გაუპატიურებას, ასეთ შემთხვე-

¹ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 1. 47. 1988.

ვაში, კვალიფიკაციისას მათი ცალკე მითითება საჭირო აღარ არის, რადგან ამას მოიცავს უფრო მძიმე გაუპატიურების მცდელობა (17, 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).

ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ გაუპატიურებასთან დაკავშირებული განზრახვი მკვლელობის ცნება გულისხმობს ისეთ შემთხვევასაც, როცა დამნაშავე სიცოცხლეს უსპობს არა უშუალოდ გაუპატიურებით დაზარალებულ პირს, არამედ სხვა პირსაც (მაგალითად, ნაცნობს, ახლობელს და ა. შ.), რათა ამით გაიადვილოს გაუპატიურების ჩადენა, ან დაფაროს მისი კვალი.

ფიქრობ, ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. მოცემულ შემთხვევაში დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით (და არა იმ ნიშნით, რომ გაუპატიურებას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა) და 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით, როგორც მკვლელობა, ჩადენილი „სხვა დანაშაულის დაფარვის“, ან „მისი ჩადენის გაადვილების“ მიზნით.

ზოგჯერ დამნაშავე დაზარალებულს ჰკლავს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით (სქესობრივი გარყვნილების ერთ-ერთი სახე — ნეკროფილია). ცხადია, ასეთი შემთხვევის მიმართ არ შეიძლება სსკ 117-ე მუხლის გამოყენება, რადგან მიცვალებულთან სქესობრივი კავშირის დამყარება გაუპატიურებად არ განიხილება. შესაბამისად, არც ასეთი მკვლელობა ჩაითვლება გაუპატიურებასთან დაკავშირებით ჩადენილ მკვლელობად.

ამასთან დაკავშირებით, სწორი იურიდიული კვალიფიკაციისათვის საჭიროდ მიმაჩნია, საქართველოს სსრ სსკ 104-ე მუხლის მე-7 პუნქტს დაემატოს სიტყვები: „...ან დაკავშირებული ნეკროფილიასთან“.

დაზარალებულის სიკვდილი, გარდა განზრახვი ან გაუფრთხილებელი მკვლელობისა, შეიძლება შედეგად მოჰყვეს აგრეთვე თვითმკვლელობას, ან გაუპატიურებასთან უშუალოდ დაკავშირებულ უბედურ შემთხვევას, რაც ორივე შემთხვევაში გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგად ჩაითვლება.

დაზარალებულის თვითმკვლელობა, სხვა განსაკუთრებით მძიმე შედეგის მსგავსად, აუცილებლად უნდა იყოს გაუპატიურებასთან მიზეზობრივ კავშირში, ამასთან სავალდებულოა დადგინდეს დამნაშავეს ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა) დაზარალებულის თვითმკვლელობის ფაქტის მიმართ. დამნაშავეს მოქმედების 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით კვალიფიკაციისათვის, მნიშვნელობა არა აქვს თუ რა დრო გავიდა გაუპატიურებიდან თვითმკვლელობის ფაქტამდე (რასაკვირველია, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადების ფარგლებში).

თუ გაუპატიურებასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა დაზარალებულის თვითმკვლელობის მცდელობას, დამნაშავეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ფაქტობრივად დამდგარი შედეგის მიხედვით, ე. ი. თუ თვითმკვლელობის მცდელობისას დაზარალებულმა მიიღო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება, დამნაშავეს მოქმედება დაკვალიფიცირდება 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, ხოლო თუ თვითმკვლელობის მცდელობას მოჰყვა რომელიმე სხვა სახის დაზიანება, ან ასეთი შედეგები საერთოდ არ დამდგარა, დამნაშავეს მოქმედება დაკვალიფიცირდება არა 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, არამედ ამ მუხლის სხვა ნაწილით საქმის გარემოებათა შესაბამისად.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა ზ-ს

მოქმედება საქართველოს სსრ სსკ 17, 117-ე მუხლის პირველი ნაწილით ზ-მ გაუპატიურების მიზნით შეიტყუა დაზარალებული ც. მესამე სართულზე მდებარე ბინაში, სადაც მიმართა ფიზიკურ ძალადობას, მაგრამ სქესობრივი კავშირის დამყარება ვერ შეძლო, რადგან შეურაცხყოფილი ც. თავის მოკვლის მიზნით გადახტა მესამე სართულის ფანჯრიდან, რის შედეგადაც მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება².

თუ გაუპატიურებას შედეგად მოჰყვება არა უშუალოდ დაზარალებულის, არამედ სხვა პირის თვითმკვლელობა (მაგალითად, დედის, ახლობლის და ა. შ.), იგი არ განიხილება გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგად.

თვითმკვლელობის ანალოგიურად უნდა გადაწყდეს კვალიფიკაციის საკითხი გაუპატიურებასთან დაკავშირებით უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში, მაგრამ, თვითმკვლელობისაგან განსხვავებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაუპატიურებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც, უბედური შემთხვევა, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, უნდა მოხდეს ან მოძალადისათვის გაწეული წინააღმდეგობის პროცესში ან როცა დაზარალებული ცდილობდა განსაცდელისათვის თავი დაეღწია და ამის გამო უბედური შემთხვევის მსხვერპლი ღდება. თუ ასეთი უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული გარდაიცვლება, ან სხეული მძიმედ დაუზიანდება, დამნაშავეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, სხვა შემთხვევაში კი 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

„გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილებების თანახმად, გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგად ჩაითვლება დაზარალებულის სიკვდილი ან თვითმკვლელობა, ან სულიერი მოქმედების მოშლილობა, აგრეთვე გაუპატიურების დროს ან მისი მცდელობისას დაზარალებულისათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება, ე. ი. ისეთი დაზიანებისა, რასაც მოჰყვა მხედველობის, სმენის დაკარგვა, ორსულობის შეწყვეტა ან სხვა შედეგი, რაც გათვლისწინებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლით).

როგორც ვხედავთ, პლენუმის ზემოთაღნიშნული დადგენილება საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გაუპატიურების კვალიფიკაციისათვის მოითხოვს განსაკუთრებით მძიმე შედეგების რეალურ განხორციელებას. აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, სასამართლოები გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგად არ განიხილავენ ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებას, თუ მას რეალურად არ მოჰყვება მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს დაკარგვა ან მისი ფუნქციის დარღვევა, სულით ავადმყოფობა ან საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა რეალური შედეგი.

ჩემი აზრით, გაუპატიურებისას (ან მისი მცდელობისას) დამნაშავეს მიერ დაზარალებულისათვის ისეთი დაზიანების მიყენება, რომელსაც რეალურად მძიმე შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ რომელიც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სიცოცხლისათვის სახიფათოა, განსაკუთრებით მძიმე შედეგად უნდა ჩაითვალოს და დამნაშავეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით.

² თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი. საქმე № 02-691. 1986.

შევეცდები დავასაბუთო ამ მოსაზრების მართებულობა. სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე 1979 წლის პირველი აპრილიდან მოქმედებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1978 წლის 11 დეკემბრის № 1208 ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი საკავშირო „სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის სასამართლო-სამედიცინო განსაზღვრის წესები“.

აღნიშნული წესების თანახმად, სიცოცხლისათვის სახიფათოდ მიიჩნევიან არა მარტო ის დაზიანებები, რომლებიც სიცოცხლეს ემუქრებოდნენ მიყენების მომენტში (სწორედ ასე იყო ეს საკითხი გადაწყვეტილი წინათ მოქმედი წესებით), არამედ ის დაზიანებებიც, რომლებიც სიკვდილით მთავრდებიან მათი ჩვეულებრივი მიმდინარეობის პირობებში.

1978 წლს წესების თანახმად, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანების განსაზღვრას საფუძვლად უდევს სამედიცინო თვალსაზრისით ორი, ერთმანეთის ტოლფასი კრიტერიუმი: 1. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და 2. დაზიანებით გამოწვეული, რეალურად დამდგარი შედეგი.

საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლში ჩამოთვლილია სხეულის მძიმე დაზიანების შემდეგი სახეები: 1. ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება; 2. დაზიანება, რომელსაც შედეგად მოჰყვა მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა. 3. სულით ავადმყოფობა; 4. ორსულობის შეწყვეტა; 5. დაზიანება, რომელმაც გამოიწვია შრომის უნარის მყარი დაკარგვა. სულ ცოტა ერთი მესამედით; 6. დაზიანება, რომელმაც გამოიწვია სახის წარუშლელი დამახინჯება.

როგორც ვხედავთ, სამედიცინო ლიტერატურასა და კანონმდებლობაში ერთმანეთის ტოლფასად არის მიჩნეული სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები და რეალურად დამდგარი მძიმე შედეგები, ამიტომ, არ არსებობს არავითარი საფუძველი, რომ გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგების ცნების განმარტებისას, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგად არ ჩავთვალოთ.

თუ გაუპატიურებისას დამნაშავეს განზრახული ჰქონდა დაზარალებულის სხეულის მძიმე დაზიანება, მაგრამ სინამდვილეში დაზარალებულს სხეული ნაკლებად მძიმედ ან მსუბუქად დაუზიანა, დამნაშავეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 17, 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმას, გაუპატიურება დამთავრდა თუ მხოლოდ მის მცდელობას ჰქონდა ადგილი. გაუპატიურებასთან დაკავშირებული მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციის მსგავსად, 117-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებულ დამთავრებულ გაუპატიურებას მოიცავს აგრეთვე 17, 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

გაუპატიურებისას (ან გაუპატიურების მცდელობისას) დაზარალებულისათვის შიდსის ვირუსის შეყრა ან დაზარალებულის შიდსით დაავადება, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ორივე შემთხვევაში მეტად მძიმე შედეგები ღებება. ჭერჭერობით ვერც ერთი ქვეყნის მეცნიერებმა ვერ მიაგნეს ეფექტურ მეთოდს, რომელიც საესებით განკურნავდა შიდსით დაავადებულ ან შიდსის ვირუსის მატარებელს ადამიანს. შექმნილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდსი) არის დაავადება, რომელსაც იწვევს იმუნოდეფიციტის ვირუსი. ამ დროს ზიანდება იმუნური სისტემა და ადამიანი უძლურია სხვადასხვა ინფექციური და სიმსივნური დაავადებების

წინაშე. ინფიცირებული პიროვნებისაგან ვირუსი გადადის სქესობრივი კავშირით. გენით (დედიდან ნაყოფზე) და სისხლით.

ინფექციის ძირითად წყაროს წარმოადგენენ შიდსით დაავადებული ადამიანები და ე. წ. უსიმპტომო ვირუსმატარებლები, ანუ ის პირები, რომელთა ორგანიზმში შეაღწია შიდსის ვირუსმა, მაგრამ ჯერ არ დაავადებულან. შიდსის ვირუსის მატარებელ ადამიანს ნებისმიერ მომენტში შეუძლია დაავადდოს სხვა პირი სქესობრივი კავშირით, ან სისხლის გადასხმით, ამასთანავე, ნებისმიერ დროს შესაძლებელია თავადაც დაავადდნენ შიდსით.³

ინფექციის წყარო შეიძლება აღმოჩნდნენ აგრეთვე საგნები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონტაქტში შიდსით დაავადებულ სისხლთან. გაუპატიურებისას დაზარალებულს შიდსის ვირუსი შეიძლება შეეყაროს, ან იგი შიდსით დაავადდეს როგორც სქესობრივი კავშირისას, ისე ფიზიკური ძალადობის შედეგად, როცა დამნაშავე შიდსის ვირუსით ინფიცირებული საგნით (დანა, შპრიცი და სხვ.) მიაყენებს დაზარალებულს ჭრილობას, ჩხვლეტას და ა. შ.

საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით კვალიფიკაციისათვის სავალდებულოა დამნაშავემ იცოდეს, რომ იგი შიდსით არის დაავადებული, ან შიდსის ვირუსის მატარებელია, ან ფიზიკური ძალადობისას დაზარალებულზე ზემოქმედებს შიდსის ვირუსით ინფიცირებული საგნებით. ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, სურდა თუ არა დამნაშავეს დაზარალებულისათვის შიდსის ვირუსის შეყრა, ან შიდსით მისი დაავადება. დამნაშავეს მოქმედების 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით კვალიფიკაციისათვის სავალდებულოა დადგინდეს დამნაშავეს განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალი გაუპატიურებისას დაზარალებულისათვის შიდსის ვირუსის შეყრის, ან შიდსით დაავადების ფაქტის მიმართ, თუ დამნაშავეს დაზარალებულისათვის ამ დაავადების ვირუსის შეყრის ან შიდსით მისი დაავადების ფაქტის მიმართ ევენტუალური განზრახვა ან გაუფრთხილებელი ბრალი გააჩნდა, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ფაქტობრივად დამდგარი შედეგის მიხედვით, ე. ი. თუ დაზარალებულს შიდსის ვირუსი შეეყარა, ან თუ იგი შიდსით დაავადდა, დამნაშავეს მოქმედება დაკვალიფიცირდება 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, ხოლო, თუ დაზარალებულს შიდსის ვირუსი არ შეეყარა და ამდენად არც დაავადდა, დამნაშავეს მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, კერძოდ, 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით და 122¹ მუხლის პირველი ნაწილით (წინასწარი შეცნობით დაავადება შიდსის შეყრის საფრთხეში სხვა პირის ჩაყენება).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 122¹ მუხლის (დაავადება შიდსის შეყრა) რედაქცია არსებითი ხასიათის უზუსტობებს შეიცავს. ჯერ ერთი, რომ აღნიშნული მუხლის სათაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სხვა პირისათვის შიდსის ვირუსის შეყრა (რაც მედიცინის თანახმად ჯერ კიდევ არ ნიშნავს შიდსით დაავადებას) ამ მუხლით პასუხისმგებლობას არ უნდა იწვევდეს. მეორეც, ამ მუხლის პირველი და მეორე (დაავადება შიდსის შეყრა სხვა პირისათვის იმ პირის მიერ, რომელმაც იცოდა, რომ ეს სენი სჭირდა) ნაწილების სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, დამნაშავე 122¹ მუხლის მეორე ნაწილით მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ მან სხვა პირი შიდსით დაავადდა, ხოლო თუ სხვა პირს შიდსის ვირუსი შეჰყარა, ისე რომ დაზარალებული შიდსით კი არ დაავადდა,

³ Шевелев А. С. Спид — загадка века. — М., 1988. с. 70.

არამედ მხოლოდ ვირუსმატარებელი გახდა, დამნაშავეის მოქმედება დაკვალიფიცირდეს 122¹ მუხლის პირველი ნაწილით. გამოდის, რომ კანონმდებელი საფრთხის შემქმნელ დელიქტად განიხილავს ისეთ დანაშაულს, რომელსაც სინამდვილეში დაზარალებულისათვის შიდსის ვირუსის შეყრის სახით რეალური შედეგი მოჰყვა, თანაც, საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით. ეს შედეგი გათანაბრებულია ისეთ შედეგთან, როგორცაა შიდსით დაავადება. ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია 122¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 122¹. შიდსის ვირუსის შეყრა ან შიდსით დაავადება

წინასწარი შეცნობით შიდსის ვირუსის შეყრის ან შიდსით დაავადების საფრთხეში სხვა პირის ჩაყენება, ისჯება... სხვა პირისათვის შიდსის ვირუსის შეყრა, ან სხვა პირის შიდსით დაავადება იმ პირის მიერ, რომელმაც იცოდა, რომ შიდსის ვირუსის მატარებელი იყო, ან შიდსით იყო დაავადებული, ისჯება...

წინა

მუხ



ალექსანდრე ანკვაბი

უკანონო შემოსავლის ნაკომოშობის მიზეზები და პირობები

იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე არ არის აზრთა ერთიანობა თუ რა უნდა მივიჩნიოთ უკანონო შემოსავლის მიზეზებად და პირობებად, სიცხადეს ამ საკითხში მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა როდი გააჩნია. მოცემული პრობლემის გადაწყვეტა კარგ სამსახურს გაუწევდა სამართალდამცავი ორგანოების ბრძოლის გაუმჯობესებას ანგარებით სამართალდარღვევებთან და აგრეთვე უკანონო შემოსავლის პროფილაქტიკის სრულყოფას.

ჩვენი აზრით, უკანონო შემოსავლის გავრცელების მიზეზები და პირობები სპეციალურ ანალიზს მოითხოვს, მაგრამ ასეთი ანალიზი ჭერჭერობით არ ჩატარებულა. საუბარი ძირითადად ეხებოდა სამართალდარღვევათა ან დანაშაულის მიზეზებს, ანდა ამა თუ იმ დანაშაულის, მათ შორის, ანგარებითი დანაშაულის მიზეზებს.

უწინარესად უნდა განისაზღვროს „უკანონო შემოსავლის მიზეზებისა“ და „უკანონო შემოსავლის პირობების“ ცნება. შევეცდები ჩამოვყალიბო აღნიშნული განსაზღვრებები.

ვფიქრობთ, უკანონო შემოსავლის მიზეზებია ის მოვლენები, რომლებიც გლობალური მნიშვნელობისაა, ობიექტურია, განაპირობებენ არა რომელიმე

მის ფორმას, არამედ მის ერთობლიობას. ასეთ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება: საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამორჩენა საზოგადოებრივ ყოფიერებისაგან და სხვ. მათგან უნდა განვასხვაოთ უკანონო შემოსავლის პირობები, ე. ი. კერძო ხასიათის ფაქტორები, ცალკეული შეცდომები დაგეგმარებაში, უყაირათობა, ნაკლოვანებანი საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობაში, სამართალდამზრდელობითი მუშაობის დაბალი დონე და სხვ. აღნიშნულმა ფაქტორებმა გარკვეულ ვითარებაში შესაძლოა შეუწყოს ხელი უკანონო შემოსავლის გავრცელებას, თუმცაღა თავისთავად არ წარმოქმნიან დატაცებას, მექრთამეობას და ა. შ.

ჩვენ, ბუნებრივია, შორსა ვართ უკანონო შემოსავლის მიზეზებისა და პირობებისადმი ამგვარი მიდგომის უტყუარობის პრეტენზიისაგან, მაგრამ დისკუსია აღნიშნულ საკითხზე დიდი ხანია რაც მიმდინარეობს, და ბოლოც არ უჩანს, რაც უარყოფითად მოქმედებს ამგვარი სამართალდარღვევების პროფილაქტიკაზე.

არ არის აზრთა ერთიანობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზეც, როგორცაა ამა თუ იმ მიზეზის არსის, ბუნებისა და გავრცელებულობის ანალიზი.

ყველაზე გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დანაშაულობის მიზეზები, საზოგადოდ, და უკანონო შემოსავლისა, კერძოდ — უცხოა სოციალიზმისათვის, არ არიან კანონზომიერი სოციალიზმისათვის, რადგან სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები სამართლიანობის, კოლექტივიზმის, ამხანაგობითობის, ურთიერთდახმარების პრინციპებზეა აგებული და თავისთავად არ ძალუძთ წარმოშვან ინდივიდუალისტური, მომხვეჭებლური, პარაზიტული განწყობილებები, ჩვევები და მისწრაფებები.

საერთო, რაც მათ აერთიანებს, არის ის, რომ ყველა ავტორი ამა თუ იმ ზომით თვლის, რომ თავად სოციალიზმი არ წარმოქმნის სამართალდარღვევებს. არ ქმნის ვთქვათ სპეკულაციის, ქურდობის, კორუფციის და სხვათა მიზეზებსა და პირობებს. ეს მიზეზები უნდა ვეძიოთ წინა ფორმაციებიდან შემორჩენილ მემკვიდრეობაში. მოყვანილი საზრისის არსებით ლოგიკურ წინააღმდეგობაზე სწორად უთითებს ნ. მალინინი: „როცა სამართალდარღვევებს სოციალიზმისათვის უცხო მოვლენებს, ხოლო მათ წარმომშობ მიზეზებსა და პირობებს — სოციალისტური საზოგადოებისათვის „იმქვეყნიურს“ უწოდებენ, იგივე ავტორები შესაძლებლად თვლიან განიხილონ სამართალდარღვევები, როგორც ჩვენი საზოგადოებისათვის კანონზომიერი და გარდაუვალი მოვლენები. ხოლო თუ ვცნობთ დანაშაულობას და სხვა სამართალდარღვევებს კომუნისტების პირველი ფაზის გარდუვალ კანონზომიერ ფაქტორად, მაშინ შესაძლებელია, უარყოფით სამართალდარღვევათა წარმომშობი მიზეზების და პირობების კანონზომიერი ხასიათი. თუ კანონზომიერია შედეგი — დანაშაულობა, ესე იგი, კანონზომიერია მისი მიზეზ-პირობებიც“¹.

პრაქტიკა მკვლევარისაგან ითხოვს უკანონო შემოსავლის არსსა და მისი წარმოქმნის მიზეზებს, მეცნიერულ, დიალექტიკურ მიდგომას საზოგადოებრივი ცნობიერების მოვლენებისადმი. ამასთან, დოგმატიზმი და საზოგადო ქეშმარიტებების დაუფიქრებელი განმეორება ყოველთვის არ უზრუნველყოფს წარმატებას. საჭიროა უკანონო შემოსავლის საკითხსაც მიუვდგეთ დიალექტი-

¹ «Коммунист», 1987, № 5, с. 6.

კური მეთოდის მთელი არსენალით. არ შეიძლება უშრომელი ცხოვრების სურვილი მხოლოდ წარსულის გადმონაშთებით აიხსნას.

აქედან გამომდინარე, ისმება კითხვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფაქტორები და სოციალიზმის დროს საწარმოო ურთიერთობების განვითარების თავისებურებანი უკანონო შემოსავლის ბუნებისათვის მათს გენეზისში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე ეხება სოციალიზმის წინააღმდეგობებს და მათს ზეგავლენას განსახილველ მოვლენასთან.

ჩვენი აზრით, უკანონო შემოსავლის მთავარი მიზეზებია წინააღმდეგობათა (ეკონომიკური, სოციალური და სხვ.) მთელი კომპლექსი, რომელიც საკუთრივ სოციალიზმისთვისაა დამახასიათებელი. რასაკვირველია, ეს წინააღმდეგობები სხვადასხვაგვარად ვლინდება სოციალიზმის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე და მათ სხვადასხვანაირი სიმწვავე გააჩნიათ (ყველაფერი ეს სპეციალური კვლევის საგანია.) მაგრამ, რამეთუ ყველაფერი ეს სახეზეა, სწორედ ისინი განაპირობებენ უკანონო შემოსავალს. ამ წინააღმდეგობათა თანდათანობითი გადალახვა უკანონო შემოსავლის ლიკვიდაციის მატერიალური საფუძველია. მაგრამ ეს ერთად-ერთი მიზეზი როდია, როცა მთავარ და ძირითად მიზეზად უარყოფთ წარსულის გადმონაშთებს. მოსახლეობის ნაწილის ფსიქოლოგიასა და ქცევაზე ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენას და სხვ. ჩვენ სავსებით როდი გამოვრიცხავთ მათ სხვა მიზეზთა სახით. არ შეიძლება არ იყოს მიღებული სათვალავში გენეტიკური, ბიოლოგიური ხასიათის ფაქტორები, თუმცა ეს საკითხი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს, განსაკუთრებით კი სწორედ მათი ზემოქმედების ხარისხი უშრომელად ცხოვრების სურვილზე, რათა დაიკმაყოფილონ ანგარებითი ინტერესები სხვათა ხარჯზე. საჭიროა კომპლექსური მიდგომა: სოციალიზმის წინააღმდეგობებს მთავარ მიზეზად რომ ვთვლით და ამას ხაზს ვუსვამთ, უნდა შევისწავლოთ აგრეთვე პრობლემის ფსიქოლოგიური და სხვა მიზეზები.

მრავალი ნეგატიური მოვლენა, მათ შორის უკანონო შემოსავალიც, როგორც კ. მიკულსკი და სხვანი აღნიშნავენ „ჩნდება ადამიანთა ცხოვრების ორი იირითადი სფეროს გადაკვეთაზე — შრომისა და მოხმარებისა. ეკონომიკური-მესაკუთრული განწყობა მატერიალურ კეთილდღეობაზე, როგორც ძირითადი მიზანი და ადამიანთა მისწრაფებების თავშეყრა, არიდებს ადამიანებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში კეთილსინდისიერი მონაწილეობისაგან, უბიძგებს მათ მტაცებლურ დამოკიდებულებებსა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი“². ამგვარ გადახრებს შრომასა და მოხმარებისადმი მივყავართ უშრომელად გამდიდრებისაკენ. უფრო მეტიც, ამ მომენტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ეს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. ბაკატინმა სახალხო დეპუტატთა II ყრილობას მოახსენა, „სადღესოდ ქვეყანაში არ არის ობიექტური პირობები, რომლისგან გამომდინარე სწორედ დანაშაულობის წარმომშობ მიზეზთა აღმოფხვრის რეალური იმედი გვექნებოდა. პირიქით, როცა მრავალყაიდიანი ეკონომისაკენ, ბაზრისაკენ, შემოსავლის დიფერენციისაკენ და სხვა ამგვარისაკენ მივდივართ, ჩვენ არ უნდა მივცეთ თავი ილუზიას, რომ ამ გარდამავალ ეტაპზე დანაშაულობის მიზეზები გაქრებიან“.

² Микულский К. И., Роговин В. В., Шаталин С. С. Социальная политика КПСС, М., Политиздат, 1987, с. 307.

აღნიშნულთან მკიდრო კავშირშია სხვა მიზეზიც — ჩვენს ქვეყანაში ეგრეთ წოდებული „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ არსებობა. დიდი ხნის მანძილზე უარყოფდით ამ მოვლენის არსებობას, გულმოდგინედ ვალამაზებდით სინამდვილეს. დღეს კი, საჯაროობის პერიოდში, როგორც იქნა ვალიარეთ საშიში ტენდენციების არსებობა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ თან ახლავს ყველა ქვეყნის „ოფიციალურ ეკონომიკას“, გვი არ ცნობს არც სახელმწიფო საზღვრებს, არც სხვაობას პოლიტიკურ წყობაში. როგორც სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე აღინიშნა: „უცხოელ სპეციალისტთა შეფასებებით საბჭოთა კავშირი შედის ჩრდილოვანი ეკონომიკის ყველაზე განვითარებულ მსოფლიოს 20 ქვეყანათა რიცხვში, ხოლო თვით ეს ეკონომიკა განვითარდა უყარათობის, კორუფციის, დატაცებების, სპეკულაციის, საფუძველზე“.³ ესე იგი, ხდება უკანონო შემოსავლისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დიალექტიური ურთიერთ-ზემოქმედება. ამ უკანასკნელმა, როგორც უკანონო შემოსავლის წარმონაქმნმა, დღეს ისეთი თვისება შეიძინა, რომ თვითონ წარმოშობს მუდმივ უკანონო შემოსავალს. ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებზე ჩვენ უკვე ვთქვით. ახლა სხვას გვინდა გაუფხვავთ ხაზი: როგორც სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე ითქვა, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და უკანონო შემოსავლის ურთიერთკავშირის საერთო საბრუნავში შედის მიწერები, უშუალოდ დატაცებები, დატაცებული ნედლეულისა და მასალისაგან ჩრდილოვანი წარმოებით დამზადებული პროდუქციის რეალიზაციისაგან მიღებული მოგება, უსაქონლო ოპერაციები, იმპორტული და კონტრაბანდული საქონლით სპეკულაცია, ნარკობიზნესი, სასუიდილიანი მომსახურების ბაზარი და სხვა ამგვარი⁴. ესე იგი, წრე შეიკრა. მძლავრი ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა იწვევს დანაშაულობის, მათ შორის ანგარებითი დანაშაულობის ზრდას, ეს კი თავის მხრივ, იწვევს ჩრდილოვანი ეკონომიკის ბრუნვის ზრდას. ამიტომ ჩრდილოვანი ეკონომიკისთან ბრძოლა, ეს, პირველ ყოვლისა, უკანონო შემოსავალთან ბრძოლაა.

უკანონო შემოსავლის სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვანი მიზეზია ადამიანის საკუთრებისაგან გაუცხოება. ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების ბატონობამ, საკუთრების ობიექტების ზედმეტმა „გასახელმწიფოებრიობამ“ მოსახლეობის ნაწილში სოციალისტური საკუთრების დაცულობისადმი გულგრილობის გრძნობა დაბადა.⁵ შემთხვევითი არ არის, რომ იმ შრომითი კოლექტივის ყოველი მესამე პირი, სადაც მსხვილი დატაცებები ხდებოდა, გულგრილნი იყვნენ ამ საქმისადმი. ასეთი კოლექტივების ხელმძღვანელებიც კი, ვისაც თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ევალეზოდან საზოგადოებრივი დოვლათის მოფრთხილება, თვითონვე სჩადიოდნენ ანგარებით სამართალდარღვევას. სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე ითქვა, რომ ბოლო ხანებში ეკონომიკურ დანაშაულებში მონაწილე ხელმძღვანელთა რიცხვი გაიზარდა თითქმის სამჯერ; მექრთამეობაში მხილებულ კომპარტიის წევრთა — 75 პროცენტი, სპეკულაციის ჩამდენ კომკავშირელთა — ოთხჯერ; მარტო 1986 წლიდან თანამდებობრივ და სამეურნეო დანაშაულში მონაწილეობდა 1,2 მლნ კაცი⁶.

³ II съезд, Стенографический отчет, «Известия», 1989, № 358, 359.

⁴ «Правда», 23.12.89 г.

⁵ См. подробнее: «Советская юстиция», № 1, 1990, с. 2—3.

⁶ «Труд», 24.12.89 г.

ვფიქრობთ, რომ ახალი კანონები საკუთრების, მიწის, იჯარის, საწარმო-კოოპერაციის და სხვათა შესახებ ბევრად შეუწყობს ხელს ამ მიზეზის ნეგატიური გავლენის შერბილებასა და შესუსტებას.

მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ისეთი ტრადიციული მიზეზი, როგორცაა აღმზრდელითი მუშაობის ნაკლოვანებები ოჯახში, სკოლაში, წარმოებაში.

უკანონო შემოსავლის მიზეზთა ანალიზის დასასრულს აღვნიშნავთ, რომ მათი გადალახვა ურთიერთკავშირშია და მჭიდროდაა გადახართული იმ ზომებთან, რასაც ჩვენი საზოგადოება მიმართავს, რათა დააღწიოს თავი ეკონომიკურ, სოციალურ, იდეოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც მოგვიტანა უძრავობის პერიოდმა და მართვის მბრძანებლურმა მეთოდებმა.

უკანონო შემოსავლის წარმომშობ მიზეზებთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ მათი მიღების ხელშემწყობი პირობებიც. ასეთ პირობებს, კერძოდ, მიეკუთვნება უყაირათობა. მომხვეჭელები, მექრთამენი, სპეკულანტები უპირველესად სწორედ უყაირათოდ შენახულ ქონებას ეპოტინებიან. მათ მიაქვთ ის, რაც როგორც იტყვიან „ცუდად დევს“. ხოლო ჩვენი უყაირათობის გასაოცარ მასშტაბებზე პირდაპირ ითქვა სახალხო დეპუტატთა 11 ყრილობაზე. ყოველწლიურად დანაკლისის, დატაცების და სხვათა გამო სახელმწიფო 4 მილიარდ მანეთზე მეტს კარგავს. იკარგება ანდა დაიტაცება წვრილ-წვრილად 20 მილიონი ტონა ხორბალი, დაგროვდა 18 მილიარდი მანეთის დაუდგმელი ხელსაწყო-დანადგარები⁷. ყველაფერი ეს საუკეთესო პირობებს ქმნის უკანონო შემოსავლისათვის.

ამის ხელისშემწყობ პირობად ზოგან შეიძლება ჩაითვალოს დაუბალანსირება მოსახლეობის მზარდი გადამხდელუნარიანობასა და მშრომელთა საქონლით და მოხმარების სფეროში მომსახურებით დაკმაყოფილების დონეთა შორის ბალანსის უქონლობა. ამის ყველაზე მკაფიო გამოვლინება დეფიციტია: ნაწილობრივ ეს საზოგადოების წარმოებით ძალეხსა და მოთხოვნილებებს შორის ობიექტური წინააღმდეგობის შედეგია, რაც ხდება უკანონო შემოსავლის მიზეზი. მაგრამ არსებობს პრობლემის მეორე მხარეც — დეფიციტი ზოგჯერ იქმნება იქ, სადაც ამისათვის ობიექტური მიზეზები არც არსებობენ, რამეთუ წარმოება და მოთხოვნილება შეესაბამებიან ერთმანეთს. აქ თავის როლს სუბიექტური ფაქტორები თამაშობენ: მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, შეცდომები, გადახრები მომარაგებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქონლისა და მომსახურების დეფიციტი შეიძლება ორმხრივი იყოს. არის დეფიციტი, რომელიც გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით, მატერიალური წარმოების შეზღუდული შესაძლებლობებით, რაც დროებითია, მაგრამ არის ხელოვნური დეფიციტიც, რომელიც მდგომარეობის ბოროტად გამოყენებითაა შექმნილი — ასე ხომ უფრო იოლია უკანონო შემოსავლის მიღება. ეს კი უკვე ის პირობაა, რომელიც ანგარებით სამართალდარღვევებს უწყობს ხელს⁸.

უკანონო შემოსავლის ხელშემწყობი მრავალი პირობა საბჭოთა საზოგადოებაში პროგრესულ ცვლილებათა „ჩრდილოვან მხარეებს“ უკავშირდება. მაგალითად, ცხოვრებაში კოოპერაციის, იჯარის დანერგვას, ერთობლივი საწარმოების შექმნას ზოგჯერ თან ახლავს უკანონო შემოსავლის მკვეთრი აღზე-

⁷ «Труд», 24.12.89 г.

⁸ «Советская милиция», 1990, № 2, с. 13—15.

ება. განსაკუთრებით იჩენს ეს თავს მექრთამეობის ზრდაში საბანკო და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სისტემაში. „საიდუმლო“ მარტივია — კოოპერატორები იძულებულნი არიან ქრთამის სახით „გადაუხადონ ხარკი“ ადგილობრივი ბიუროკრატის იმ წრეებს, რომლებმაც უკანონოდ ჩაიგდეს ხელში უფლების მონოპოლია — გასცენ კრედიტი, სათავსოები, გაატარონ თუ არა რეგისტრაციაში წესდება და სხვ. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც გენერალურმა პროკურორმა ა. სუხარევა სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე აღნიშნა, ზოგ რეგიონში ყოველი მეორე ან მესამე კოოპერატივის ხელმძღვანელი ადრე ნასამართლევია როგორც წესი დატაცებისა და მექრთამეობისათვის. უკრაინაში გამოვლენილია 160 ადრე ნასამართლევი კოოპერატივების ხელმძღვანელი, ყაზახეთში — 92, სარატოვის ოლქში — 48 და ა. შ.⁹ გასაგებია, რომ ყველაფერი ეს იწვევს უკანონო შემოსავლის ზრდას.

ამგვარი ზრდის ერთ-ერთ პირობად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, დიდი ჩაყარდნები მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმარებაში. ყველას კარგად გვახსოვს წარმოების გაფართოების, მატერიალური და ფინანსური რესურსებით დაუბალანსირებელი ახალი სიმძლავრეების მშენებლობის არც თუ ისე დიდი ხნის წინანდელი პრაქტიკა. ეს აიძულებდა მეურნეობების ხელმძღვანელებს გამოეძებნათ უკანონო გზები, რათა „ეშოვათ“ რესურსები. ეს კი პირდაპირი გზაა მიწერებისა და დატაცებისაკენ. ასეთი რამ უძრაობის წლებში. სამწუხაროდ, საერთოდ მოვლენა იყო. უფრო სამწუხარო კი ის არის, რომ ეს პრობლემა დღესაც გადაუჭრელია, რაზეც სახალხო დეპუტატთა I და II ყრილობაზეც მრავალგზის ითქვა¹⁰.

ანგარებით სამართალდარღვევათა ჩადენის კარგი ხელშემწყობი პირობაა. აგრეთვე, სახალხო მეურნეობაში უწყებათა ყოვლისმომცველი კონტროლი, რომელიც ვლინდებოდა ათასგვარი ინსტრუქციებით დაწესებულ ნორმებში — ბუნებრივი კლების, ხმობის და სხვ. რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილი ეს „ნორმები“ ხშირად კოლოსალური უკანონო შემოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლეოდნენ. მაგრამ გამოცდილებამ სხვა უკიდურესობის საშიშროებაც დაგვანახა — კერძოდ, სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებში კონკრეტული დამნაშავე პირების მიუთითებლად დანაკლისის ჩამოწერის შესაძლებლობა. ამით ბევრმა საქმოსანმა, როგორც იტყვიან, „ხელი მოითბო“ სახალხო დოვლათზე. გამოსავალი, ვფიქრობთ, ერთია — უნდა შეიქმნას ასეთი ნორმების დამწესებელი საიმედო არასაუწყებო რეგიონალური ცენტრები.

მრავალი პირი, რომელიც 1986-1990 წლებში თანამდებობრივ და სამეურნეო დანაშაულებში მონაწილეობდა (1,2 მლნ. კაცი), მოწმობს, რომ კიდევ ერთი ჯგუფი პირობებისა, რომელიც ხელს უწყობს უკანონო შემოსავალს, არის ნაკლოვანებები კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში.

დარგების, უწყებების და მათზე დაქვემდებარებული დაწესებულებების საქმიანობაში ფეხმოკიდებული ფაქტები გამოძალვის, მექრთამეობის, პროტექციონიზმის, შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის დარღვევის, ზოგჯერ, უბრალოდ უყაირათობის. ბიუროკრატიზმის, მოქალაქეთა კანონიერი

⁹ «Труд», 24.12.89 г.

¹⁰ См. например, I съезд народных депутатов СССР. Стенографический отчет. «Известия». 1989. №№ 155, 160.

ინტერესების იგნორირებისა და სხვა კიდევ ერთი ხელშემწყობი პირობებია რომელიც ქმნის ხელსაყრელ ვითარებას არა პატიოსან მოქალაქეთა მიერ უკანონო შემოსავლის მიღებაში. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები უზვად არის, რასაც ცენტრალური და ადგილობრივი პრესაც მოწმობს.

უკანონო შემოსავლის მიღებისათვის თავისებური პირობების არსებობა სამართალშემოქმედებით და სამართალგამოყენებით სფეროთა საქმიანობაში გვხვდება. თუ გასული წლების მანძილზე სამართალგამოყენებით საქმიანობაში ბრალდებითი გადახრა შეიმჩნეოდა, ამ ბოლო ხანებში ადგილი აქვს ზედმეტ სიფრთხილეს უკანონო შემოსავალთან ბრძოლაში კანონით ყველა გათვალისწინებული ზომების გამოყენების თვალსაზრისით.

რასაკვირველია, აქ დასახელებული მიზეზები და პირობები არ ამოწურავენ უკანონო შემოსავლის გავრცელების წარმომშობ და ხელისშემწყობ ფაქტორთა წრეს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისინი ძირითადი და განმსაზღვრელი უნდა იყვნენ.

ლიანა ბელიძე

დამნაშავეებსა და კანონის მორჩილ მოქალაქეებს შორის უსიმიკური გადასრუბის შესწავლის შედეგები

დამნაშავეების პრობლემა სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს. სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემატიკის მიმართ კრიმინოლოგიის ინტერესის ზრდის სპეციფიკური საფუძველია ძალადობითი და რეციდიული დამნაშავეობის ღრმა ანალიზის აუცილებლობა, აგრეთვე იმის მოთხოვნილება, რომ პრაქტიკული საქმიანობა, რაც მიმართულია დამნაშავეობის თავიდან აცილებისაკენ. მაქსიმალურად იყოს დაკავშირებული დამნაშავეების პრობლემის თავისებურებების გათვალისწინებასთან. ფსიქიკის იმ თავისებურებათა გამოვლენის მიზნით, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ დანაშაულებრივ ქცევაზე, აიოლებენ ან ასტიმულირებენ კრიმინოგენურ პიროვნულ ორიენტაციებს. მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ჩატარდა ზემოთაღნიშნული დანაშაულის (მკვლელობა, გაუპა-

ტიურება, სხეულის დაზიანება) ჩამდენ პირთა ფსიქოემოციური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი. სულ შევისწავლეთ მძიმე დანაშაულის ჩამდენი 18-დან 60 წლამდე ასაკის 200 მამაკაცი და 50 ქალი. ამასთან ერთად, იგივე მეთოდით გამოვიკვლიეთ კანონის მორჩილ მოქალაქეთა ორი ჯგუფი: პირველ ჯგუფში შედის 18-დან 60 წლის ასაკამდე 200 მამაკაცი და 50 ქალი, რომელთაც აქვთ საშუალო ან არასრული საშუალო განათლება და ეწევიან არაკვალიფიციურ ფიზიკურ შრომას. მეორეში კი — უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცი და ქალები.

ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება ხდება ე. წ. მინესოტის მრავალფაზიანი პიროვნულ ტესტის MMPI-ს მეშვეობით, რომელიც პრობლემის ფსიქოლოგიური კვლევის ერთ-ერთ

საუკეთესო მეთოდად გვევლინება. მეთოდია წარმოადგენს კლინიკური ფსიქოლოგების ხატულებისა და მაკინლის მრავალი წლის შრომისა და შემოქმედებითი ძიების შედეგს და დღეისათვის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში პიროვნების კვლევის ერთ-ერთ პოპულარულ მეთოდად ითვლება.

როგორც ცნობილია, MMP I საშუალებას იძლევა შევფასოთ პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობა 10 კლინიკური სკალით. ესენია:


1. იპოქონდრიის ანუ საკუთარ ჩანმრთელობაზე ყურადღების კონცენტრაციის;
2. დეპრესიის;
3. ინტეროიდულობის ანუ კონვერსიული ტიპის ნევროტიული დაცვითი რეაქციებისადმი მიდრეკილების. „მაყურებელზე მუშაობის“ მისწრაფების ხარისხის;
4. ფსიქოპათიის (ამ სკალის მიხედვით შეიძლება სოციალურ ადაპტირებულობაზე მსჯელობა);
5. მამაკაცურობა — ქალურობის (ამ სკალის მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევენ ვიმსჯელოთ პიროვნებაში ისეთი მამაკაცური თუ ქალური ხასიათის ნიშნების მეტ-ნაკლებობაზე, როგორცაა, მაგალითად, ნებისყოფა, სიმტკიცე და ა. შ. ან სინაზე, ესთეტიკური ღირებულებებისადმი მიდრეკილება და სხვა);
6. პარანოიკობის ანუ ზედღირებულებითი დებების ფორმირების, რიგიდულობის, ეჭვიანობის ხარისხის;
7. ფსიქოასთენიის (ამ სკალის მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ხასიათის ისეთი ნიშნების არსებობაზე, როგორცაა ეჭვიანობა, შიში და ა. შ.);
8. შიზოიდურობის ანუ იზოლაციის, „ფსიქოლოგიური დისტანციის“ დაცვის, შინაგან სამყაროში ჩაკეტვის;
9. ჰიპომანიის ანუ ზედმეტი აქტიურობის;
10. ინტრავერსია-ექსტრავერსიის ანუ კომუნიკაბელობა — არაკომუნიკაბელობის.

ყველა სკალის მაჩვენებლები ნორმაში უახლოვდება 50T ბალს (შუა ხაზს). შუა ხაზიდან ნებისმიერ გადახრა გვიჩვენებს ამა თუ იმ ხასიათისმიერ თავისებურებას. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული სკალების მაჩვენებლები, არამედ სხვადასხვა მაჩვენებელთა კომბინაცია (MMP I-ის პროფილი). ხაზები, რომლებიც გადიან 70T ბალზე და 30T ბალზე, წარმოადგენენ ნორმალური მდგომარეობის ზედა და ქვედა ზღვარს (იხ. ნახ. 1).

ზემოთ ჩამოთვლილი კლინიკური სკალების გარდა არსებობს სიცრუის სკალა L; სანდოობის სკალა F და კორექციის სკალა K, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევფასოთ მიღებული შედეგების სანდოობა. აგრეთვე 100

დამატებითი სკალა, მაგალითად, ისეთი, როგორცაა სოციალური გაუცხოება, ამორალურობა, სოციალური პასუხისმგებლობა და ა. შ. ისინი საშუალებას იძლევიან შევფასოთ, თუ კონკრეტულად რა განსაზღვრავს ამა თუ იმ სკალის მაჩვენებლების ზრდას

ინდივიდუალური პროფილებიდან, რომლებიც მივიღებ MMP I-ს მეშვეობით დამნაშავეებისა და კანონის მორჩილი მოქალაქეების პიროვნების ემპირიული კვლევის შედეგად; გამოკვლევის მიზნის შესაბამისად აგებულ იქნა სამი განზოგადებული პროფილი: 1. დამნაშავეების, 2. I ჯგუფის კანონის მორჩილი მოქალაქეების, 3. II ჯგუფის კანონის მორჩილი მოქალაქეების (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1

ეს განზოგადებული პროფილები, რომელთაც პირობითად შეიძლება „განსაზღვრული“ ვუწოდოთ, რასაკვირველია, არ წარმოადგენენ რომელიმე ინდივიდუალური პროფილის გამოვლენას, მაგრამ ასახავენ პიროვნების ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ ჯგუფს.

ორივე სქესის დამნაშავეთა განსაზღვრული ფსიქოლოგიური პროფილი წარმოადგენს „ზემოთგანლაგებულ“ პროფილს, რომელიც ხასიათდება ყველა სკალის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდით, კერძოდ 60-დან 85T ბალამდე. ამასთან, მკვეთრად გამოხატულია პიკები F მე-8 და მე-9 სკალებზე, ხოლო დაქ-



ვეითება აღინიშნება მე-ს სკალაზე (ნახ. I. იხ. მრული 1).

მაღალი მაჩვენებლები მე-რ სკალაზე იმას მეტყველებს, რომ აღქმისა და კვების მოდუსს აშკარად გამოხატული თავისებურებები ახასიათებს. არ შეესაბამება ობიექტური რეალობის საყოველთაოდ მიღებულ შეფასებებს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, რაც უმრავლესობისათვის მცირემნიშვნელოვანია, ამ მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას მოიპოვებს და პირიქით.

ასეთი პირების ქცევაზე სოციალური, მათ შორის სამართლებრივი ნორმები არ ახდენენ სათანადო ზემოქმედებას. ისინი, საზოგადოდ, არასწორად აფასებენ მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. ეს დაკავშირებულია განწყობისა და აღქმის თავისებურებებთან, რის გამოც მსგავსი ადამიანები უფრო ემოციურად რეაგირებენ წარმოსახვით, აბსტრაქტულ სახეებზე, მაგრამ, ამასთან ერთად, ყოველდღიური სიხარული თუ ჭირ-ვარამი მათში არ იწვევს სათანადო ემოციურ გამოძახილს. ხშირად ისინი გულჯრილნი არიან თავისი ახლობლების ინტერესების მიმართ, იოლად ლოზიანდებიან, ამუღავებენ აგრესიულობას, თანაც სიტუაციის შეფასებას ახდენენ არა სოციალური მოთხოვნების პოზიციებიდან, არამედ თავიანთი პირადი, ხშირად წარმოსახვითი და არარეალური განცდებიდან გამომდინარე. მე-რ სკალის მაჩვენებლის ზრდის და მე-ს სკალის მაჩვენებლის დაქვეითების თანადროულობა მეტყველებს გარესამყაროსთან ემოციური კონტაქტის შესუსტებაზე, გამორიცხავს სხვის აზრს, არ ეგუება მას. ყოველივე ეს ამცირებს ადექვატური ორიენტირების უნარს, ხელს უწყობს აფექტურად დატვირთული იდეების აღმოცენებას, რაც დაკავშირებულია გარშემომყოფთა მხრივ მტრული განწყობის არაადეკვატურ აღქმასთან.

მე-ს სკალის მაჩვენებლის ამაღლება აძლიერებს ზემოთჩამოთვლილი თავისებურებები ზნირ შემთხვევაში იწვევენ ირგვლივ მყოფ ადამიანთა მოქმედების არასწორ გაგებას და თვდაცვით აგრესიას, რაც გამოიხატება მუღმივად საფრთხის მოლოდინში და ხელს უწყობს მტრული გარემოს კონცეფციის ჩამოყალიბებას, იმის მშაობას, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს მას. საქუთარი აზრებისა და გრძნობების სხვა ადამიანებისათვის მიწერა იწვევს იმას, რომ ისინი

აღიქმება როგორც მტრული და ამიტომ ახორციელებს ძალადობის აქტს და მკვლელი არც თუ იშვიათად თვლის, რომ მისი მოქმედებით ის იცავს თავის სიცოცხლეს, თავის პატიოსნებას, სიმართლეს და ზოგჯერ სხვების ინტერესებსაც კი.

უურადლებას იქცევს აგრეთვე მონაცემები კანონის მორჩილ მოქალაქეთა ფსიქომოციონალური მდგომარეობის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინდივიდუალური პროფილებისაგან ჩგუფების მიხედვით შედგენილ იქნა განზოგადებული პროფილები.

კანონის მორჩილ მოქალაქეთა I ჩგუფის განსაზღვრული პროფილი გამოსახულია I-ლ ნახაზე მე-2 მრუდით და წარმოადგენს „მოსაზღვრე“ პროფილს. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფილი თავისი უველაზე მაღალი წერტილებით სწვდება 70T ბალს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი რჩება ნორმის ფარგლებში, ზღვრული ხაზის ქვევით, მაგრამ ისე, რომ შეხების წერტილები ზღვრულ ხაზთან მაინც აქვს. საინტერესოა ის, რომ ეს პროფილი იმეორებს ზემოთ აღწერილ დამნაშავეთა პროფილის ფორმას, ანუ გააჩნია აშკარად გამოხატული პიკები მე-რ და მე-ს სკალაზე, რაც ლაპარაკობს პიროვნებაში ხასიათის ისეთ თვისებათა არსებობაზე, როგორებიცაა სოციალური დეზადაპტაცია, მოუსვენრობა, დაბნეულობა, ექვიანობა, დიდი ხნით უურადლების კონცენტრაციის უნარის უქონლობა, ქცევის შედეგების გაუთვალისწინებლობა, მსკელობათა თავისებურებანი, გულჩათხრობილობა, აფექტურობა, არამეგობრული დამოკიდებულება გარშემომყოფთა მიმართ, მორალურ განწყობათა არამდგრადობა და ა. შ.

ასეთი ფსიქიკური ნიშნები აქვეითებენ წინააღმდეგობის უნარს კონფლიქტურ სიტუაციებში, ქმნიან წინააღმდეგობას პიროვნების სოციალურად სასარგებლო თვისებების განვითარებაში, განსაკუთრებით უშლიან ხელს მის ადაპტაციას გარესამყაროსთან, ასუსტებენ შინაგანი კონტროლის მექანიზმს, ხელს უწყობენ შემთხვევით, მათ შორის კანონსაწინააღმდეგო მოქმედების რეალიზაციას.

რაც შეეხება კანონის მორჩილ მოქალაქეთა II ჩგუფს, ამ კატეგორიის პირთა განსაზღვრული პროფილი მოცემულია I-ლ ნახაზე მე-2 მრუდით და არის „ხაზობრივი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოქცეულია ნორმის ფარგლებში და მთლიანობაში ატარებს გაწინასწორებულ ხასიათს. აქ აღინიშნება ხასიათის ზოგიერთი აქცენტუაცია, რომელიც განპირობებულია პროფილის უმნიშვნელო ზრდით დეპრესიის სკალაზე. სანდოობის F სკალის მაჩვენებელი მიგვითითებს სტრესისაგან მეტ-ნაკლებ თავისუფლ-

ბაჭე და ემოციურად დაძაბულობისას თავშეკ-
ვების უნარზე.

მთლიანობაში ამ პრობლემის ინტერპრეტაცია
შეიძლება იმგვარად, რომ ამ შემთხვევაში საქმე
გვაქვს ხასიათის ისეთ თვისებებთან, როგორც
ცაა: თავშეკლება, კარგი თვითკონტროლი,
რთულ სიტუაციებში კონფლიქტის თავიდან
შეიღებინაჲც სწრაფების უნარი.

განხილულ სამ ჩვეულებრივ შინაიდუმლოების, აქ-
ტიურობის სკალაზე მაღალი მონაცემები აქვს
დამნაშავეთა 42 პროცენტს, კანონის მორჩილ
მოქალაქეთა 1 ჩვეულებრივ — 42, ხოლო 11
ჩვეულებრივ — 15 პროცენტს. პარანოიდულობის,
რიგდულობის სკალაზე მაღალი მონაცემები
აქვს დამნაშავეების 48 პროცენტს, 1 ჩვეულებრივ
კანონის მორჩილ მოქალაქეთა — 28 და 11
ჩვეულებრივ — 14 პროცენტს, ფსიქოპათიის, ამ
პულსურობის სკალაზე მაღალი მონაცემები
აქვს დამნაშავეთა 48 პროცენტს, 1 ჩვეულებრივ
კანონის მორჩილ მოქალაქეთა — 15 და 11
ჩვეულებრივს — 18 პროცენტს.

როგორც ვხედავთ, არცერთ ჩვეულებრივ არ არის
გამორიცხული გარკვეული ფსიქიკური გადახ-
რები, მაგრამ დამნაშავეთა ჩვეულებრივ, საკონტ-
როლო ჩვეულებრივთან შედარებით, აღინიშნება იმ
პირთა ხვედრითი წილის ზრდა, რომელთაც
აქვთ ფსიქიკური გადახრა.

დამნაშავეთა განაოღებინა და კულტურის
დონის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმრავ-
ლესობა დაბალი ინტელექტით ხასიათდება და
წევრა არაკვალიფიციურ ფიზიკურ შრომას.
ეს იმას ნიშნავს, რომ ნერვიულ-ფსიქიკური გა-
დახრები კრიმინოგენურ ფაქტორად გადაიქ-
ცნენ პიროვნების ფორმირების არახელსაყრელ
პირობებთან ურთიერთქმედების შედეგად.

კანონის მორჩილ მოქალაქეთა 1 ჩვეულებრივსაც
საკმაოდ მაღალია პროცენტი იმ პირებისა, რომ-
ელთაც ახასიათებთ ფსიქიკური ანომალიები.
რაც ხშირად წარმოადგენს ცხოვრებისა და აღ-
სრდის არახაზარბიელი პირობების მოქმედე-
ბის შედეგს. ფსიქიკური გადახრები, როცა
ისინი კავშირში არიან უზნებობასა და უხელო-
ბასთან, ქმნიან ნაყოფიერ ნიადაგს დანაშა-
ულებრივი ქცევისათვის. ამის გამო ეს ჩვეულებრივ
მაღალი რისკის“ ჩვეულებრივ წარმოადგენს.

კანონის მორჩილ მოქალაქეთა 11 ჩვეულებრივსაც
საკმაოდ დაბალია იმ პირთა პროცენტი, რომ-
ელთაც ახასიათებთ ფსიქიკური გადახრები.
მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ის,
რომ ეს გადახრა ქმნის ფონს, რომელიც უკ-
მოქმედებს ახდენს პიროვნების ამა თუ იმ
თვისების ჩამოყალიბებაზე და განსაზღვრავს
დენსივობას, სიხშირეს, სიძლიერეს, რომელიც
კიდებულება იმ სიტუაციებში, რომლებშიც
ტორებზე, რომლებიც ახდენენ ანტიპათურ
მოზოგენილებებს, ღირებულებათა სისტემების
ფორმირებას.

ამიტომ ანალოგიური ფსიქიკური გადახრების
დროს, იმისდამხედვეთ, თუ როგორცა ის წინ-
ობრტეპრინციპები, რომლებიც პიროვნებისა
საუფუფუღშია ჩადებულა და განსაზღვრავს
რის კულტურულ ნიშნავს, ამ პიროვნების
კულტურულ ნიშნავს, როგორცა უნდა იყოს
კაში, ხოლო მეორეში გამხარჯულია სიხშირის
იყვანოს.

ყოველივე შემოთქმულიდან შეიძლება და
ვასკვნათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იმ
პირთა საერთო კულტურული მოტენცილობის
აშაღდება, რომლებიც მაღალი კრიმინოგენურობით
ხასიათდებიან, მათში ისეთი მოზოგენი-
ბების ფორმირება, რომლებიც ხელს შეუწყობს
ქენ ერთად ცხოვრების წესების, სამართლებრივი
ნორმების უცოდუბელ შეტრფუღებას.

რაც შეეხება დამნაშავეებს, უნდა აღინიშნოს,
რომ მათი დანაშაულებრივი ქცევის გან-
ნეზისში ფსიქიკური გადახრები თანაშობენ სა-
მაოდ მნიშვნელოვან როლს. ეს დამნაშავეებში,
რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გახწორების
კოლონიებში, არ თავისუფლდებიან შეტრფუღ-
ფსიქიკური გადახრებისაგან, ამიტომ სასჯელის
მოზდის შემდეგ აღნიშნული დარღვევები შე-
იძლება კვლავ გახდეს ახალი დანაშაულებრივი
დენის ერთ-ერთი მიზეზთაგანი.

ჩვენის აზრით, დანაშაულის რეციდივის ამა-
ვიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია იქნებო-
და შრომა-გახწორების კოლონიებში შეიქმნას
ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული სამსახურ-
რი, სადაც გამოცდილი სპეციალისტები შეიქ-
დებიან მსგავს პირთა სოციალური
„კალაპოტში“ ჩაყენებას.

ოთარ ზოიძე

მოკვეთისა და გამკვეთის შესახებ

ბმძმმბბ და მოკვეთა ჩვეულებითი სამართლით დადგენილი სასჯელებია, ამიტომ მათზე ფშაური ხალხური სამართლის მიხედვით ვისჯელებთ; მოვიშველიებთ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებასაც“.

დამნაშავის საზოგადოებისაგან გარიყვა სასჯელთა ისტორიაში ფართოდაა ცნობილი. როგორც ფშავის ეთნოგრაფიული მასალა, ისე სამეცნიერო ლიტერატურა თემისაგან პირის გარიყვას „მოკვეთა“-ს უწოდებს. მოკვეთილი „ნაკვეთურად“ იხსენიება; „ერთ-ერთ ხოშარელს... ხალხი ნაკვეთურას ეძახდა... იგი ნაკვეთურად იწოდებოდა იმიტომ, რომ მანამდე ქალი გაუუპატიურებია და სოფელს მოუკვეთია!; გაბიჭიანებულ ქალს, რომელიც ახალშობილს მოკლავდა, სოფელი მოკვეთდა. ასეთ ქალს „სამძახდაკვეთილი“ ერქვა.

ვაჟა-ფშაველას ცნობით: „საზოგადოება „მოიკვეთდა“ თავის წევრს ქურდობისათვის, ხატის წესის დაკლებისათვის, თემის პირის გატეხვისათვის, ანუ უპირობისათვის, მყვედრობისათვის“³. სერგი მაკალათიას თანახმად, „მოკვეთით ისჯებოდნენ: ქურდები, ხატის დამგმობნი, თემის პირის გამტეხნი და სხვ“⁴. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, პირი მოიკვეთებოდა ისეთ დანაშაულთა ჩადენისათვის, როგორებიცაა: თემის ღალატი, ხატის შეურაცხყოფა, უკანონოდ შეგმანვა, გაბიჭიანებულის მიერ ნაბიჭვის მოკვლა, ქურდობა განმეორებით.

გადაწვევებიცაა მოკვეთის შესახებ სათემო ყრილობას გამოჰქონდა. ხევისბერი თემში ხატში შეპყრიდა. აქვე იყო მოსაკვეთი პირიც. მოკვეთა გარკვეული ცერემონიის დაცვით ტარდებოდა. სანამ მასზე ვისაუბრებდეთ, საჭიროა მოკვეთის არსის გარკვევა. ამ სასჯელის არსი ის იყო, რომ მოკვეთილის დაცვაზე ხელს იღებდა არა მარტო თემი, არამედ ხატიც. ამ გარემოებას ხაზს უსვამს ვაჟა-ფშაველაც; ხევისბერი ჭუჭუა, რომელსაც ბახას მოკვეთა გადაუწვევტია, ამბობს: „ბახა ჩვენი აღარ არი, აღარ არი ღაშარის ჯგრის ყმა... (ხაზი ჩემია — ო. ზ.)“⁵. ამის გამო მოკვეთილი შეირისხებოდა ხატისგან. შერისხვა ფშავში დამოუკიდებელი სასჯელიც იყო, მაგრამ მოკვეთის დროს იგი მოკვეთის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ელემენტია და არა დამოუკიდებელი სასჯელი. შერისხვის დროს ხევისბერი კლავდა სამრისხველო საკლავს. სამრისხველო საკლავი იკვლებოდა მოკვეთის დროსაც. სოფელ უკანაფშავის ხევისბერი, 60 წლის ივანე წიკლაური ასე აღწერს მოკვეთის ცერემონიას: „... ხევისბერისა და მცოდნე კაცების მოწოდებაზე შეიკრიბებოდა მთელი თემის მოსახლეობა ერთ ამორჩეულ ადგილას, უფრო კი ხატში; ხევისბერი დაკლავდა დასარისხებელ საკლავს, მოუთხრობდა ხალხს (თემს) დამნაშავის მიერ ჩადენილ საქმეზე, სწვევლიდა მას და თემის ნებართვით მოკვეთდა“⁶. ოღონდ ეთნოგრაფიული მასალებიდან არ ჩანს, სამრისხველო საკლავი ვისია, ვის ეკუთვნის იგი. როცა შერისხვას დამნაშავის გამოტეხვის მიზნით მიმართავდნენ, მაშინ საკლავი

¹ დავით ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებითი სამართალზე, 1989, რვ. № 1, გვ. 1.
² ჯამლეთ მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებითი სამართალზე, 1987, რვ. № 1, გვ. 118.
³ ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987, გვ. 579.
⁴ სერგი მაკალათია, ფშავი, „ნაკადული“, თბ., 1985, გვ. 93.
⁵ ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 7, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964, გვ. 293.
⁶ ჯამლეთ მერაბიშვილი, მასალები ფშავის ჩვეულებითი სამართალზე, 1986, რვ. № 1, გვ. 11.

დაზარალებულს მიჰყავდა; ხოლო, თუ შერისხვა ძირითად სასჯელად გამოიყენებოდა, მაშინ სამრისხველო საკლავს თვით დამნაშავეს წაართმევდნენ. ამიტომ, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მოკვეთის დროსაც სამრისხველო საკლავი დამნაშავეს კუთვნილებოდა. იგი შეიძლება უოფილიყო ქედილა, თხობლი...

ხევისბერი დაწვევლიდა (შერისხაჯდა) დამნაშავეს: არავინ გიმეზობლოს, პურ-წყალი არავინ მოგაწოდოს და ა. შ. დაარისხებდა იმასაც, ვინც ხელს გაუწვდიდა მოკვეთილს და ამით არ დაემორჩილებოდა თემის გადაწყვეტილებას; შერისხვას თან ახლდა თახებიდან სასმელის გადაღრა. სანთლების გაქრობა ხევისბერის მიერ, საინტერესოდ და სრულყოფილად აქვს აღწერილი ეს პროცესი ვაჟას „მოკვეთილში“; ხევისბერი ასე რისხავს ხალხს: „ვინც ამას იქით ბახხთან გაიაროს ან მკვდარზე, ან ცოცხალზე, ან თავის სახლში გაატაროს, გზაში შეყრილს გამარჯობა უთხრას, ესე დაიქცეს იმისი ყოფა-ცხოვრება (აქცევს თანს...), ასე გაქრეს (აქრობენ ორივე კელაპტრებს) იმის სახსენებელი, ღვთისა და ემ ბატონის რისხვა გაჰყვეს იმის შვილთა-შვილამდე“⁷.

ხევისბერი მიმართავდა აგრეთვე ხატს: „შენს მოლაღატეს... შენს შემარცხვენელს, შენს მტარცვენს, შენს კარზე მკველელს, შენს კარზე დამკრულს (იმის მიხედვით, ვინ რა ჩაიღინა) მიეც რისხვა, დაკრუნჩხე, გაუნადგურე (გაუთავე) ოთხფეხი, ნაწველი და ნაღღებე“⁸.

მოკვეთილის სახელზე ჩაიდგმებოდა „რისხვის სამანი“, „ამ კაცმა ასე და ასე შეარცხვინა ჩვენი სოფელი, ამის მერე შერისხული იყოს ესეც იტყოდნენ (ვინ) და ამ საქმის ასე ჩამდინიცო.“⁹ „რისხვის სამანის“ ჩადგმას ზოგადი პრევენციის მნიშვნელობა ჰქონდა. „ამ ქვის (იგულისხმება „რისხვის სამანი“ — ო. წ.) შიშით სხვაც ვერ გაბედავდა მსგავსი მოქმედების ჩადენას“¹⁰.

მოკვეთა ვრცელდებოდა არა მარტო უშუალოდ დამნაშავეზე, არამედ მის ოჯახზეც. მოკვეთილ ოჯახს უფლება ჰქონდა სოფელში დარჩენილიყო, თუკი გაეძღებოდა; ხშირად მძიმე პირობების გამო მოკვეთილი ოჯახი აიყრებოდა და სხვა თემს ამანათად შეეხზინებოდა.

მოკვეთილი და მისი ოჯახის წევრები არსებობის (სიცოცხლის) უფლების გარდა თითქმის ყველა უფლებას კარგავდნენ. მათ არ შეეძლოთ საზოგადოებაში გასლვა, თემის ყრილობაზე დასწრება. მოკვეთილთ ჩამორთმეული ჰქონდათ რელიგიური უფლებებიც. მათ, როგორც ვაჟა წერს, (და ამასვე ადასტურებს ეთნოგრაფიული მასალაც) „ხევისბერი საკლავს არ დაუკლავდა, სახვეწარს არ „დაუღიდებდა“, იმისათვის წყალობას აღარ გამოთხოვდა ხატს“¹¹. თემი მოკვეთილის ოჯახს წისქვილში საფუჯავს არ დაუფუჯავდა, ჭირსა და ლხინში არ დაენმაზრებოდა; მოკვეთილს ცოლობაზე უარს ეუბნებოდა დანიშნულიც. თემისაგან გარიყული კაცის მძიმე მდგომარეობა კარგად ჩანს ფშაურ ხალხურ ლექსებში. ახსიათებდა რა ანალოგიური ინსტიტუტს რუსეთში, პროფესორი სერგეევსკი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებისაგან გარიყული პირი კარგავდა მთელ ქონებას და დაუსჯელად შეიძლებოდა მისი მოკვლა¹².

მისგან განსხვავებით ფშაური მოკვეთა შედარებით ჰუმანურ ხასიათს ატარებდა: მოკვეთილს არ ჩამოერთმეოდა ქონება (წინააღმდეგ შემთხვევაში წისქვილში დასაფუჯავი არაფერი ექნებოდა), არც მისი მოკვეთა შეიძლებოდა დაუსჯელად; თემი მთლიანად არ იღებდა ხელს მოკვეთილზე. ეს იქედან ჩანს, რომ თემი მოკვეთილს საზოგადოებაში ტოვებდა, უშვებდა მისი შემორიგების შესაძლებლობას.

ფშაური მოკვეთის ინსტიტუტი ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს ქართული სამართლის ისტორიაში ცნობილ „დაკრულვისა და შერისხვის წესთან“. რაიმე მიზეზით ეკლესიის მიერ დამნაშავეს „დაკრულვას“ აწუ მოკვეთას სამოქალაქო სფეროშიც „შერისხვა“ მოსდევდა, რომელიც აღამიანის მოქალაქეობრივ უფლებათა ჩამორთმევას წარმოადგენდა და მამულის წართმევისა და სამხედრო სამსახურიდან გაძევებით, თუ ის მანამდე მსახურობდა, ან „ლაშქართა შინა

7 ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 293.
8 მიხეილ კეკელია, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1985, რვ. № 1, გვ. 16-17.
9 იქვე, გვ. 9.
10 იქვე, გვ. 9.
11 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987, გვ. 580.
12 ნ. დ. სერგეევსკი, რუსული სისხლის სამართალი, სანკტ-პეტერბურგი, 1905, გვ. 176 (რუს. ენაზე).



„მეუფებლობით“ გამოიხატებოდა, თუ ის ჭერ სამხაურში არ იყო“¹³ მსგავსება მოკვეთისა და „დაკრულვა-შერისხვას“ შორის გამოიხატებოდა დამნაშაულისათვის რელიგიური და საერო უფლებების ჩამორთმევით, ხოლო განსხვავება ისაა, რომ მოკვეთას პიროვნების „სრული სამოქალაქო სიკვდილი“ (ივანე ჭავჭავაძის ტერმინია) არ მოხდებოდა, როგორც „დაკრულვა-შერისხვისას“, მოკვეთილს მამული არ „დაეკირვოდა“.

უწაურის სამართალი უშვებდა მოკვეთილის შერიგების შესაძლებლობას. გარიყული პირის თემში დაბრუნების (სრულ უფლებებში აღდგენის) პირობა იყო მოკვეთილის ვაჟაკური, გნირული საქციელი, რითაც იგი სამხაურს გაუწევდა თემს.

შერიგების წესს დაწვრილებით აღწერს ვაჟა-ფშაველა: „მოკვეთილს კიდევ ეძლეოდა საშუალება თემთან შერიგებისა. შესარიგებლად იმას უნდა მიეყვანა ხარი და ცხვარი ხატში, ცხელი სათვის შეეწარა ისინი და შეხებულხდა სოფელსა. დაედვა პირობა, ფიცი — შემდეგ მკვლის გაფრთხილებულიყო და აღარ ზედინა სამარტყვანო საქმე. თვითონ დამნაშავე, მოკვეთილი კედის ამოგდება“, ხალხისა და ხევისხერების თანდასწრებით და იტყოდა: „ესე მკვლად“ (წუთისოფლიდან) ჩემობა, ჩემი თესლ-ქილაგი, თუ ამას იქით კიდევ რამ დავაწავო! „ამინ, ამინო!“ — დააუოლებდა ხალხი. „კედის ამოგდება მდგომარეობს იმაში, რომ მოკვეთილი ამოთლიდა ზეზე ნაფოტს, ანუ „კედის ამოგდება“¹⁴.

ინფორმაციული მასალები ადასტურებენ ვაჟს ამ ცნობის სისწორეს. იდონდ ინფორმაციონებს „კედის ამოგდება“ აღარ ახსოვთ. რაც შეეხება მოკვეთის ვადას, ზანგრძლივობას, მოკვეთა განსაზღვრული ვადით — ერთიდან ხუთ წლამდე — ესწებოდა პირს¹⁵, თუმცა ხშირად ინფორმატორები არავითარ ვადაზე არ მიუთითებენ. ვფიქრობთ, არც შეიძლება ვინანს-წარ განსაზღვრული ვადით მოკვეთათ დამნაშავე, შემდეგი მიზეზის გამო: როგორც უკვე ვთქვით, მოკვეთილის შერიგება გარკვეული პირობით შეიძლებოდა (ვაჟაკობა, თემისათვის სამარტყვის გაწვავა); ამის შემდეგაც მოკვეთილი ხარითა და ცხვრით უნდა შეხვეწროდა თემს. თუ მოკვეთა ვინანსწარ განსაზღვრული ვადით შეეუარდებოდა დამნაშავეს, მაშინ იგულისხმება, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ მოკვეთილს თემი თავისთავად, უოველგვარი პირობის გარეშე შერიგებდა, რაც ჩვენი აზრით, ნაალებ დასაჭერებელია.

მოკვეთა თუმცა ზოგჯერ მაინც ხდებოდა განსაზღვრული ვადით, მაგრამ აქ საქმე პირინციპულად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს. ლაპარაკია მოკვეთის მეორე სახეზე — ოჯახის შიგნით შერიგების მოკვეთაზე (შესაძლოა, სწორედ ამ შემთხვევას გულისხმობს ინფორმაციონები). კერძოდ, დავით ხიზანაშვილი წერს: „მშობლების დაუკითხავად გათხოვილი ქალი მოკვლად იმით ისწება, რომ დედ-მამა მზითევს არ მისცემს და რამდენსამე ხნით „მოკვეთავენ“. თუკი ხატული მისვლას აღუკრძალავს ხოლმე „პირსა“ და „ღიზინში“ ერთ ან ორ წლამდე მოკვეთა აქდენ ხანს არ გასტანს. თუ ქალის წამყვანებმა იმის პატრონებს ჭეროვანი „დაკვივი“ დასდეს და ამის ნიშნად „ხარ-ცხვარი“ (ერთი ხარი და ერთი ცხვარი) გაუგზავნეს და შეუაკციების პირით შერიგება სთხოვეს“.

ზამბიძეებზე ვაძვება ფრიად მკაცრი სასჯელი იყო. იგი პირს მძიმე დამნაშაულისათვის შეეუარდებოდა. ვაძვება მოხდებოდა იმ შემთხვევაში, რისთვისაც მოკვეთა იყო დაწესებული. ვაძვება მოხდებოდა მთლიანად შეიცავდა მოკვეთის ელემენტებს. დამნაშავეს ჭერ შერისხვადნენ, შემდეგ მოკვეთდნენ და ხოლოს ვაძვებდნენ. თემი ხატში დაკლავდა დამნაშავეს ხარს და ვაშლითა სუფრას. „პურ-მარლის დამთავრების შემდეგ სოფელი ამ კაცს ხაზლიდან გამოუტრიადა უოველგვარ ბარგს და ვაძვებდა“¹⁶.

ინფორმატორის ეს ცნობა ერთ კითხვას აღძრავს: რას ნიშნავს „ბარგის გამოყრა?“ ეთნოგრაფიულ მასალებში ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობთ. გვეზმარება ვაჟა-ფშაველას პოეტიკურ „აღუდა ქეთილაური“. აღუდას საქციელით განრისხებული ხევისხერი ბერდია თემს მოუწოდებს: „ამართალი გქმათ, ვუმტერიოთ აღუდას კარის ღირენი“... დაქცეულ სახლ-კარს დასაბრუნოდა ვაძვებული დიაცა: „ვაძამე, ჩვენო სახ-კარი, ქვა-ქვანზე აღარ დგებო, ციხეზე, ვერბოს ბოძებზე ეზლა უოვები ხხდებო“.

როგორც ვხედავთ, ხევისხერებმა ვაძვებულ აღუდას დაუნგრისს სახლი, დაუწვეს საძო-

¹³ ივანე ჭავჭავაძის, თხზულებანი თორმეტ ტომად. „მეცნიერება“, ტ. 7, თბ., 1984, გვ. 168.

¹⁴ ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987, გვ. 123.

¹⁵ დავით ხიზანაშვილი, ფშავეთი და ფშაველები, გაზეთი „ივერია“, 1891, № 22.

¹⁶ ვამბლით მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რგ. № 1, გვ. 86.

ვარი, სათემოდ გამოირჩევს საქონელი. საფიქრებელია, რომ ხევსურეთის მეზობელ ფშავშიც გაძევების ამგვარივე წესი არსებობდა. ამას გვაფიქრებინებს ინფორმატორის შემოთხადამოწმებული სიტყვები — სოფელი დამნაშავეს „სახლიდან გამოუყრიდა ყოველგვარ ბარჯს და გააძევებდა“. სახლიდან ბარჯის გამოყრა გაძევებულის ოჯახის დარბევის ერთ-ერთი ელემენტია. ჩანს, დარბევის სხვა დეტალები ფშაველთა მესხიერებაში ვერ შემოინახა.

მოკვთაზე საუბრისას აღვნიშნეთ, რომ მოსაკვეთი პირი ესწრებოდა თემის სამსჯავროს. ამგვარივე უფლებით სარგებლობდა გასაძევებელი პირიც, მითუმეტეს, წინასწარ არავინ უწყობდა, რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა თემი — დამნაშავეს მოკვთოდა, თუ გააძევებდა კიდევ. თქმული იმას არ ნიშნავს, რომ დამნაშავე აუცილებლად ესწრებოდა თემის სასამართლოს; ზოგჯერ პირი თვითონ გადაიხვეწებოდა თემიდან დანაშაულის ჩადენის შემდეგ. ამ შემთხვევაში თემი დამნაშავეს დაუსწრებლად ასამართლებდა.

გაძევებასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას გვაწვდის 76 წლის თედო სოსურთ-შვილი: „შუაფხოსა და გოგოლაურთას შორის გზის პირზე არის სასაზღვრო სამანი ჩადგმული. როცა ჩვენს თემიდან კაცს მოკვთდნენ და გააძევებდნენ წაიყვანდნენ და ამ სამანს იქით გაუშვებდნენ. იმის იქით ვისმეს რომც კი მოეკლა იგი, არც მისი გვარი იძიებდა მის სისხლს და არც მამკლავი აგებდა პასუხს“¹⁷.

მართალია, ინფორმატორი აღნიშნავს, რომ მისი ნაამბობი მოკვთას ეხება, მაგრამ ეს შეცდომაა. მოკვთისას პირს სოფლიდან არ აძევებდნენ. ამიტომ არც სოფელი მიაცილებდა მას სასაზღვრო სამანს იქით. უეჭველია, ინფორმატორის ნაამბობი გაძევებას ეხება. მასზე დაყრდნობით კი შეიძლება დავასკვნათ, რომ გაძევებულის დაცვაზე თემი სრულად და საბოლოოდ იღებდა ხელს. ამიტომაც დასჯილის გვარი თუ ნათესაობა ყოფილი თანათემელის მოკვლისათვის სისხლს არ აიღებდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაძევებულის მკვლელს საერთოდ არ მოეკითხებოდა პასუხი. უბრალოდ, გაძევებით შურისმაძიებელთა წრე ვიწროვდებოდა და იგი გაძევებულის ოჯახის წევრებით შემოიზღუდებოდა.

დამნაშავეს ოჯახითურთ აძევებდნენ. გაძევებულნი სხვა თემს შეეხიზნებოდნენ და ამ თემისავე ხატს ეუმობოდნენ.

ეთნოგრაფიული მასალებითა და სამეცნიერო ლიტერატურით თუ ვიმსჯელებთ, გაძევება უვადო იყო და, მაშასადამე, გამორიცხული იყო გაძევებულთა შემორიგება. თუმცა ჩვენ ვუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ უძველეს პერიოდში ფშავში გაძევება გარკვეული ვადითაც ხდებოდა, რომლის გასვლის შემდეგ გაძევებულთ შეირიგებდნენ. ამგვარი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდების“ ანალიზი გვაძლევს.

„ძეგლისდების“ მესამე მუხლი. განმგებლის მოკვლისათვის, დამნაშავეს „გაპატიუბასთან“ ერთად აწესებს მამულისაგან გაძევებასა და „შეუნდობლად“ მამულის სასეფოდ დადებას. აქ საქმე ეხება მამულის მუდმივად ჩამორთმევასა და სამუდამოდ გაძევებას. სამაგიეროდ მესხეთე მუხლში ვკითხულობთ: „და თუ ხევისბერმა მოკლას განმგებელი, სამს წლამდის მამულისაგან, გაიძოს, ციხე და მამული სასეფოდ დაიდვას, ერისთავმან თავადნი სახლნი დაუწინდნენ. მესამესა წელიწადსა მოვიდეს და ერისთავს შემოეხვეწოს, ერისთავმან ვაწირსთ მოახსენოს, და ვაწირთ დარბაზს ჰქადრონ, და დარბაზით მამული ებოდოს ხევისბერსა“. ეს მუხლი ითვალისწინებს დამნაშავეს სამი წლით გაძევებას; ამ ვადის გასვლის შემდეგ კი შეიძლება მისი შემორიგება და მამულის დაბრუნებაც.

სხვა დანაშაულისათვის „ძეგლისდებით“ დადგენილია გაძევება როგორც ერთი, (მუხლი 12), ისე ორი (მუხლი 7, 9) წლით.

„ძეგლისდების“ ძირითადი წყარო ფშავის მეზობელი რეგიონის ჩვეულებითი სამართალი იყო, ამიტომაც არ გამოვოცხვებთ იმის შესაძლებლობას, რომ გაძევების ინსტიტუტი „ძეგლისდებაში“ დატული სახით ფშავშიც მოქმედებდა. ოღონდ, კვლავ ვიმეორებთ, დღეს არსებული ეთნოგრაფიული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა ამაზე არაფერს გვეუბნება.

¹⁷ მიხეილ კეკელია, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1986, რვ. № 1, გვ. 80.

ჰობსბაიზი

ფრიდრიხ კარლ ფონ სავინი

გერმანიაში სამართლის ისტორიის მეცნიერების შექმნა მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლის ისტორიული სკოლის განვითარებასთან, რომელმაც თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და თეორიული შეხედულებებით მეცნიერების ამ დარგის შინაარსობრივი და მეთოდური საფუძველი შექმნა, ამასთანავე სამართლის ისტორიულ სკოლაში ასახვა ჰპოვა იმ დროის ფილოსოფიურმა, ისტორიულმა და იურიდიულმა მიმდინარეობებმა.

1979 წელს ჩვენ ავღნიშნეთ ფრიდრიხ კარლ ფონ სავინის დაბადების 200 წლისთავი. მან თავისი პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებით საფუძველი დაუდო მეცნიერების ამ მიმართულებას და გახდა არა მარტო მეთოდური სკოლისა, რომელმაც გავლენა მოახდინა გერმანული და ევროპული სამართლის განვითარებაზე; სავინი ითვლება თანამედროვე სამართლის ისტორიის მეცნიერების ერთ-ერთ დამაარსებლად.

სამართლის ისტორიული სკოლის შექმნა და მისი განვითარება წარმოადგენს თავისი ეპოქის მთავარი წინააღმდეგობრიობის იდეოლოგიურ ასახვას. მე-18 და მე-19 საუკუნეების მიჯნაზე ყველა სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოვლენა განპირობებული იყო ფეოდალიზმსა და კაპიტალიზმს შორის კონფრონტაციით, რომლის მწვერვალი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია იყო. სამართლის ისტორიის მეცნიერების განვითარებაც ამ მოვლენებმა განსაზღვრა. ამ პერიოდის ყოველი საზოგადოებრივი მოძრაობისა და სამართლებრივი აზრის ანალიზისათვის საჭიროა დადგინდეს მისი დამოკიდებულება ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილებისადმი.

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საბოლოოდ მოსპო ფეოდალური საკუთრების სტრუქტურა და ფეოდალური სახელმწიფო აპარატი მისი იურიდიული ინსტიტუტებით. რევოლუციამ მოიტანა კაპიტალისტური წარმოებისა და საკუთრების განვითარების აუცილებლობა. ამასთანავე მან შექმნა კლასიკური ბურჟუაზიული კანონები, რაც რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ამ პერიოდში იშვა ლოზუნგი — „ძმობა, თავისუფლება, თანასწორობა!“ რომელიც იდეოლოგიურ პლატფორმად იქცა.

გერმანიაში სამართლის ისტორიული სკოლის შექმნა, რომელსაც რეაქციული და კონტრარევოლუციური ფრთაც გააჩნდა, დაკავშირებულია საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციასთან და საზოგადოებრივ გარდაქმნებთან ამ სკოლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანა მდგომარეობდა შემდეგში: მას სამართლებრივი თეორიით პრაქტიკულად ხელი უნდა შეეწყო ფეოდალური ფორმაციის მოსპობისათვის, გაეადვილებინა ფეოდალური წარმო-

ების და საკუთრების ურთიერთობებისათვის განვითარებად კაპიტალისტურ პროცესებთან შეგუება. თავის მხრივ ეს დახმარებას გაუწევდა სუსტად განვითარებული გერმანული ბურჟუაზიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ბაზისს.

სამართლის ისტორიული სკოლის წარმომადგენლები სავინის მეთაურობით, მიხვდნენ, რომ აღარ შეიძლებოდა არსებული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ფორმები ფეოდალური ურთიერთობების ინტერესების სამსახურში დარჩენილიყო. ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა ნიდერლანდებში, ინგლისში და საფრანგეთში არა მარტო დაამტკიცეს ფეოდალური წყობის დრომოკმელობა, არამედ ისიც რომ რესტავრაციის შემთხვევაში, იგულისხმება კრომველის და ნაპოლეონის შემდეგ სტიუარტების და ბურბონების კვლავ ტახტზე ასვლა, მაინც შეუძლებელი გახდა ფეოდალური სახელმწიფო წყობის აღდგენა; ე. ი. შეუძლებელი გახდა რევოლუციურად განწყობილი ხალხის მასების წინააღმდეგ სვლა. ამ ისტორიული გამოცდილების შეცნობიდან გამომდინარე, აგრეთვე გერმანიაში კონკრეტული კლასობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, სავინიმ და მისმა მიმდევრებმა მიწაზე ფეოდალური საკუთრების დასაცავად შექმნეს „სამართლის ორგანული განვითარების“ თეორია („Organische Entwicklung des Rechts“). რომელშიც აღიბეჭდა საზოგადოების ისტორია. სავინიმ ყველა საზოგადოებრივი მოვლენა თუ პროცესი დაუქვემდებარა სამართლის ისტორიის პოლიტიკურ და თეორიულ განაჩენს, საბოლოო ჯამში კი სკოლაში წარმოდგენილ პოლიტიკურ ძალებს. საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარება უნდა ყოფილიყო არსებული სამართლებრივი შეხედულებების და ინსტიტუტების შესაბამისი, ანუ გერმანიაში გაბატონებული კლასობრივი ძალების ინტერესების შესაფერი. ამ თეორიის მიხედვით გამოირიცხებოდა ისტორიულ-სამართლებრივი კვლევის სხვაგვარი დასკვნა. სავინის აზრით, სახელმწიფოს სახით მანიფესტირებულია ისტორიული მოძრაობის სუბიექტურობა, რაც ობიექტურადაა განპირობებული. არსებული მართლწესრიგით სახელმწიფოს უფლებამოსილება და მისი დონე დამოკიდებულია მეცნიერულ შეხედულებებზე და ცალკეულ სახელმწიფო პირთა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

სავინის მიერ სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს შესახებ თეორიის როგორც ისტორიულ სამართლებრივი კვლევის საგნის უარყოფა გამომდინარეობს სახელმწიფოს მდგომარეობის შესახებ მისეული ანალიზიდან, სახელმწიფოს შესახებ იმ დროის სხვადასხვა შეხედულებებიდან. ძველი სახელმწიფო რეჟიმის, ფეოდალური სახელმწიფო აპარატის უვარგისობა აშკარა იყო, რომელიც კიდევ ცდილობდა ხალხის მასებში რევოლუციური განწყობის დაძლევას. სავინის აღარ ძალუძდა ფეოდალური სახელმწიფოს აშკარად დაცვა, მაგრამ არც ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად შექმნილი სახელმწიფოს აღიარება სურდა. ამიტომ მან უარყო პოლიტიკურად უკვე დაფუძნებული სახელმწიფო წყობის შეცვლის შესაძლებლობა და ეგონა, რომ თავისი თითქოსდა ნეიტრალური პოზიციით სახელმწიფოს განვითარების მიმართ მოახერხებდა ფეოდალური სახელმწიფოებრიობის დაცვას პრუსიაში და საერთოდ გერმანიაში. ამავე დროს სავინის ესმოდა არსებული სახელმწიფო წყობის შეცვლის აუცილებლობა როგორც პირობა ფეოდალური საკუთრების თავისუფალ საკუთრებად გარდაქმნისა, ამას მოწმობს მის მიერ ჰელერის და მისი მომხრეების სასტიკი კრიტიკა, რომლებიც მოითხოვდნენ ფეოდალიზმის აბსოლუტურ რესტავრაციას, რაც სავინის გაგებით საფრთხეს უქმნიდა სწო-

რედ ფეოდალი მიწათმფლობელების ეკონომიკურ და იურიდიულ ინტერესებს. ასეთი იყო საჰინის პოლიტიკური პოზიცია პრუსიული რეფორმების საქმეში. რომელიც თავად არისტოკრატის მიერ იყო წამოწყებული.

ცნობილია, რომ ევროპაში ბურჟუაზიული რევოლუციების ზეგავლენით. პეგელის სკოლა სახელმწიფოს და განსაკუთრებით ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ წყობას „ობიექტური სულის“ გამოვლინებად მიიჩნევს, ხოლო კანონზომიერების მის მიერ კონსტრუირებულ ცნებას — საზოგადოებრივი განვითარების მთავარ კრიტერიუმად. საჰინიმ ამის საპირისპიროდ უგულვებელყო სახელმწიფოს პრობლემატიკა როგორც სამართლის მეცნიერების თეორიულ-ისტორიული საფუძველი. ამით მან ხელი აიღო არ მარტო პროგრესულ ბურჟუაზიულ სახელმწიფო და სამართლის ფილოსოფიაზე: ის ამავე დროს განერიდა თავის თეორეტიკოს მოწინააღმდეგეებს, მეცნიერებს, მაშინაც კი, როცა მას თავს ესხმოდნენ. საჰინის პოზიცია კლასობრივი კომპრომისის საწინააღმდეგო იყო, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა იუნიკრობასა და ბურჟუაზიის შორის. შეიქმნა ფეოდალურ (მიწის) და ბურჟუაზიულ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, რომლის თეორიული წინამძღვარი, როგორც ვთქვით, სწორედ საჰინის მეცნიერული მოღვაწეობა იყო. მაშასადამე, საჰინის მოძღვრება არ იყო მიმართული კაპიტალისტური აკუმულაციის წინააღმდეგ, რადგან ბურჟუაზიული ურთიერთობები შეუჩერებლად და შეუქცევადად ვითარდებოდა. საჰინის მიზანი იყო სამართლებრივი საშუალებებით მოეხდინა ფეოდალური კლასის უპირატესობის შენარჩუნებით მისი არსებულ საზოგადოებრივ წყობაში ინტეგრირება.

საჰინის სამართლებრივი შეხედულებების საზოგადოებრივ-პოლიტიკური გავლენა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული გერმანული ბურჟუაზიის პოლიტიკურ და იურიდიულ მოთხოვნებზე. ფეოდალური და კაპიტალური საკუთრების ურთიერთკავშირის ინტერესებისათვის საჰინიმ დაასაბუთა „სამართლის ორგანული განვითარება“ წარსულში, ამწყოსა და მომავალში. როგორც ხალხის სულის (Volksgeist) ერთადერთი გამოვლინება. ამოდ ეძებენ საჰინის მოძღვრებაში ამ ცნების განმარტებას და დასაბუთებას, რომელიც თავისთავად გერმანული კლასიკური ფილოსოფიის და რომანტიზმის წიაღს განეკუთვნება. საჰინიმ შეაკავშირა ერთმანეთს ხალხი — ხალხის სული (Volksgeist) — სამართალი, ამით მან ერთის მხრივ შეარბილა და ჰარმონიული იერი მისცა არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობებს, ხოლო მეორეს მხრივ შეეცადა განემარტა ბურჟუაზიულ-რევოლუციური მოძრაობის იდეები რეფორმული მოძრაობის სასარგებლოდ. ხალხთან სამართლის „ობიექტურად“ დაკავშირებით ეს თეორია შეეცადა გერმანიაში მიმდინარე პროცესები მოექცია ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასების „ეროვნულ“ ინტერესების ჩარჩოებში. ორივე კლასს თავისი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მიზნები ჰქონდა, ამიტომაც მხარი დაუჭირა ეროვნულ-ლოკალურ პროცესებს, რათა შექმნილიყო ერთიანი ეროვნული გერმანული სახელმწიფო. საჰინი ერთ-ერთი პირველი სამართალმთავროვნეა, რომელმაც სამართლის განვითარება მჭიდროდ დაუკავშირა ხალხის (ერის) წარსულს და მომავალს, თუმცა ის დაუსაბუთებლად აიგივებს ერთმანეთთან ხალხს და ერს (Volk und Nation) თავისი საზოგადოებრივ-თეორიული კონცეფციით, საჰინიმ, დამოუკიდებლად იმისგან თუ რა მიზნებს ისახავდა თავად, სინამდვილეში გადამწყვეტი თეორიული იმპულსი მისცა ბურჟუაზიულ-ეროვნული სახელმწიფოს შექმნას გერმანიაში. ამან დიდი რეზონანსი მოუტანა მის

სამართლებრივ შეხედულებებს როგორც გერმანიაში, ისე მის გარეთ. სავინის მიერ ხალხის, სულის, სამართლის ცნებების და ასოციაციების ერთმანეთზე გადაჯაჭვით შესაძლებელი გახდა, გერმანიაში სხვადასხვა პოლიტიკური და სამეურნეო მიმართულებები ჩამდგარიყო კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობის სამსახურში.

ერის და მისი სახელმწიფოების (staatlichkeit) ჩამოყალიბება ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობის განვითარების შედეგია.

კაპიტალისტური წარმოების ახალი ფორმების განვითარებით (აკუმულაცია, დისტრიბუცია, ცირკულაცია) იქმნება საზოგადოების ახლებურად ორგანიზების ობიექტური აუცილებლობა. კაპიტალის ხანგრძლივი ბატონობა შეუძლებელია საზოგადოებრივი ძალების და რეზერვების ცენტრალიზაციის და კონცენტრაციის პროცესის გარეშე. ბურჟუაზიული ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შედეგად დაიწყო ეროვნული ბაზრის განვითარება, ამ პროცესებს კარგად მოერგო სავინის მოძღვრება, განსაკუთრებით როცა კერძო სამართლის განვითარებით ის მხარში ამოუდგა ბურჟუაზიის მოთხოვნას ერთიანი სამართლის (Rechtseinheit) შექმნაში, თუმცა სავინი დიდი ხანს უარყოფდა კერძო სამართლის ნაციონალურ კოდიფიკაციას.

მისტიკურ-აბსტრაქტული თეორია ხალხის, როგორც სამართლის შემოქმედის შესახებ, რომელიც უარყოფდა სახელმწიფო კანონმდებლობას თუ ის ხალხის სულს არ შეესაბამებოდა, გამიზნული იყო პირველ რიგში ბურჟუაზიული ბუნებითი სამართლის მოძღვრების წინააღმდეგ და ითვალისწინებდა მხოლოდ ნაციონალურ-ლოკალური სამართლის განვითარებას. იმის უარყოფა რომ ბუნებითი სამართალი ისტორიულად გაპირობებულია და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური უარყოფა ნიშნავდა ბუნებითი სამართლის უარყოფას საერთოდ. ამით სავინი საკმაოდ ხდის გაცილებით მაღალ ფენომენს — იმას, რაც ყოველი ადამიანის ბუნებაშია, ესაა სამართლის (თუ უფლების) იდეა (Rechtsidee) და მის მაგივრად პრიორიტეტს ანიჭებს ისტორიულად წარმოქმნილ სამართლის თეორიის შემდგომი განვითარების საფუძველს, რომლის უმაღლესი გამოხატულებაა სამართლებრივი პოზიტივიზმი და სამართლებრივი ფორმალიზმი; აცხადებს სამართლის გათიშვას საზოგადოებისაგან და სახელმწიფოსაგან. ე. ი. ადამიანი ან პოლიტიკური საზოგადოება კი არ განსაზღვრავს და მართავს სამართალს და მის ისტორიას, არამედ პირიქით, ისინი მართავენ ადამიანს და საზოგადოებას. ამ პოზიციიდან უნდა აიხსნას სავინის მიერ პროგრესული ბუნებითი სამართლებრივი აზროვნების უარყოფა უბრალოდ როგორც საზოგადოებრივ რევოლუციური შეხედულების უკუგდება. თავის მხრივ ის ვერ შეედრება ჰეგელის მიერ თეორიულად დასაბუთებულ ბუნებითი სამართლის უარყოფას. ჰეგელი მეცნიერულად ილაშქრებს სავინის სამართლის ისტორიული სკოლის წინააღმდეგ, რადგან ის არაფილოსოფიური და არაპოლიტიკურია.

სავინი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არსებული სამართლებრივი სინამდვილიდან გამომდინარე ამტკიცებდა გონებით (Vernunft) შექმნილი სახელმწიფო წყობის და მართლწესრიგის შექმნის შეუძლებლობას. ბურჟუაზიულ რევოლუციური მოძრაობა სხვადასხვა სახელმწიფოში რიგი ეროვნული ინტერესების ხელშეწყობით სხვა საზოგადოებრივ წყობაში გადაიზარდა და მთელი კაცობრიობისათვის გამოცხადებული ბურჟუაზიულ-განმათავისუფლე-

ბელი გარდაქმნების ნაცვლად გაბატონდა კაპიტალი, რაც განსხვავებული ლოკალური პირობების მიხედვით განსხვავებული ფორმებით გამოვლინდა.

ხალხის, ხალხის სულის — სამართლის ერთმანეთზე. გადაჯაჭვით სავინი პოლიტიკურ და მეცნიერულ კომპენსაციას უკეთებდა სახელმწიფოსა და სამართლის ეროვნულ-ლოკალურად განვითარების თეორიას დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი კონკრეტული კლასები იქნებოდა გაბატონებული. ამის მიხედვით წარსული, არსებული და მიმავალი სამართლებრივი სისტემები შეიძლება მხოლოდ ეროვნული პროდუქტი ყოფილიყო, მაგალითად, ფრანგული, პრუსიული, ავსტრიული.

ამ თეორიული პოზიციიდან გამომდინარე აიხსნება ის, რომ სავინი ფრანგული სამართლის განვითარებას, ბურჟუაზიული რევოლუციის ჩათვლით, განიხილავს როგორც მხოლოდ ამ ქვეყნის მოვლენას. სავინიმ ფრანგული სამოქალაქო სამართლის კოდექსი (Code civil) გერმანული სამართლის განვითარებისათვის არა ადეკვატურ კოდიფიკაციად ჩათვლა, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ გერმანიის იმ ნაწილში სადაც ფრანგული ჯარი იდგა მისი განდევნის შემდეგ კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობები ფეოდალურ-პრუსიულმა სახელმწიფო აპარატმაც ვერ შეცვალა.

როგორც ვიცით, სავინი თავის თეორიას ლოკალურ-ეროვნულ ხასიათს აძლევდა, სამართალს განიხილავდა ორგანულად განვითარებად და ხალხის სულის გამოხატველად. ამიტომ მისმა მოძღვრებამ დიდი გავრცელება ჰპოვა მეზობელ ქვეყნებში. ის გასცდა პრუსიის და გერმანიის საზღვრებს. თავისი ახალი უფლებებისათვის მებრძოლი ევროპის ხალხები გამოეხმაურნენ სავინის თეორიას. ავსტრიაში ჰასბურგების და ფეოდალური აპარატის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხის წარმომადგენლები თვლიდნენ, აგრეთვე, რომ ისინი სამართლიანად გამოხატავენ ხალხის ნებას თავისი უფლებების მოსაპოვებლად ფეოდალური ცენტრალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სავინის თეორიას, იმის შესახებ, რომ სამართლის განვითარებას ხალხის სული განსაზღვრავს, ეთანხმებოდა გერმანიის არისტოკრატიის ერთი ნაწილიც, რომელიც აღიარებდა საზოგადოებრივი რეფორმების აუცილებლობას. მათი პოლიტიკური ქმედება მიმართული იყო იქით, რომ არსებული სამართლებრივი ურთიერთობების პირობებში არ დაეშვათ ფეოდალური მმართველობის შეცვლა. ამ პოზიციასა და პროგრესულ ბურჟუაზიულ სამართლის მოძღვრებას შორის განსხვავება განსაკუთრებით კარგად ჩანს თიბაუტსა (Thibaut) და სავინის შორის თეორიულ კამათში. სავინი მოითხოვს ერთიან გერმანულ სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციას, რომელიც აუცილებელი პოლიტიკურ-იურიდიული წინაპირობა იქნებოდა ბურჟუაზიული გერმანული სახელმწიფოს აგების საქმეში. ბურჟუაზიული სამართლის კოდიფიკაციის დროს სახელმწიფოს როგორც კანონმდებლის ელიმინირება შესაბამებოდა გაბატონებულ ფეოდალურ მესაკუთრეთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს, რომლებსაც სურდათ არსებული საკუთრების ურთიერთობების შეგუება კაპიტალისტურ ურთიერთობათა ობიექტურ და კანონზომიერ პროცესში. ახალი სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბება კაპიტალისტური კერძო მესაკუთრეობის მიხედვით საფრთხეს უქმნიდა გაბატონებული ფეოდალური კლასის პოლიტიკურ არსებობას. თიბაუტის აზრით ერთიანი კერძო სამართლის კოდიფიკაციის შექმნით გადაიდგმებოდა პირველი ნაბიჯები ბურჟუაზიული სახელმწიფო წყობისაკენ. მაგრამ არსებული კლასობრივი ურთიერთობების პირობებში ეს არარეალური და ილუზიორული იყო.

ვერძო სამართლის ეროვნული კოდექსი ვერ გასწევდა ბურჟუაზიული რევოლუციის მაგივრობას. სავინის დასკვნები კი გამომდინარეობდა რეალურად არსებულიდან და ამიტომ მას ინტერესით და მხარდაჭერით შეხვდნენ რეფორმებით დაინტერესებული წრეები, როგორც არისტოკრატიული ისე ბურჟუაზიული. მაგრამ სავინის დასკვნები თავისი ეპოქის ბურჟუაზიული სახელმწიფოს პროგრესულმა თეორეტიკოსებმა სამართლიანად გაატარეს კრიტიკის ქარცეხლში. ისინი თიბაუთის თეორიაში ხედავდნენ გერმანული ბურჟუაზიის განვითარების უკეთეს პოზიციას. 1814 წელს სავინის მიერ გაჩაღებული სამართლებრივი საქმიანობა მოწმობს, თუ როგორ ცდილობს ის მოერგოს და შეეგუოს არსებულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას კლასებს შორის. ამის კიდევ ერთი დადასტურება და გამომხატულებაა ის რომ 1842 წ. სავინი პრუსიის კანონმდებლობის რევიზიის მინისტრად დაინიშნა.

როგორც რომანისტს მას უნდოდა გამოეძებნა რომაული სამართლის სისტემის გერმანული განვითარების დამამტკიცებელი საბუთი, რომელსაც სახალხო ხასიათი უნდა ჰქონოდა 1831 წელს სავინიმ დაასრულა ექვსტომიანი ნაშრომი სათაურით „რომაული სამართლის ისტორია შუა საუკუნეებში“ - *Geschichte des Römischen Rechts im Mittelalter*. აქ ის ცდილობდა საკუთარი სამართლებრივ-პოლიტიკური კონცეფცია დაემტკიცებინა ისტორიულ-თეორიული და სამართლებრივ-ფილოსოფიური კონსტრუქციებით. ის სხვა რამეებთან ერთად ასაბუთებდა ლომბარდიული სამართლებრივი წესრიგის შექმნას ზემო იტალიაში, სურდა დაესაბუთებინა რომაული და გერმანული სამართლის ეროვნული და სულიერი იდენტურობა, როგორც შემდგომი სამართლებრივი განვითარების საფუძველი გერმანიაში. ეს კონსტრუქცია ვერც გერმანულ და ვერც რომანისტულ მიმართულებებს ვერ დაეყრდნო და ბურჟუაზიული სამართლის მეცნიერების განვითარების მომდევნო პერიოდში თავი ვერ დაიცვა. მას შემდეგ რაც სავინიმ დაასრულა „რომაული სამართლის ისტორია შუა საუკუნეებში“, მისი სამეცნიერო მუშაობა კონცენტრირებული იყო იმაზე, რომ რომაული სამართლის სისტემის ისტორიული და იურიდიული კვლევით და ინტერპრეტაციით განეხორციელებინა საკუთარი შემდგომი პოლიტიკური მიზნები. თავისი თეორიის კაპიტალისტური ურთიერთობებისათვის მოსარგებად სავინიმ უკვე 1835 წ. დაიწყო რვატომიანი ნაშრომი სათაურით „დღევანდელი რომაული სამართლის სისტემა“ (*Sistem des heutigen Römischen Rechts*) რომლის პირველი 5 წიგნი 1840-41 წლებში გამოვიდა, ხოლო 1849 წელს დასრულდა. ამ ნაშრომით სავინიმ შესძლო შეემუშაებინა რომაული სამართლის სისტემის ნორმები, რომლებმაც შემდგომში გადაწყვეტი როლი შეასრულეს გერმანიაში ბურჟუაზიული სამართლის განვითარებაში და დიდი იმპულსი მისცა კაპიტალისტური სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციას გერმანიაში. ამის გამოა, რომ ბურჟუაზიული სამართლის ისტორიის მეცნიერება სავინის ერთ-ერთ დიდ წინაპრად აღიარებს.

ფრიდრიხ კარლ ფონ სავინის სურდა, თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციიდან გამომდინარე, გერმანიაში კაპიტალისტური წარმოების ინტეგრირება ფეოდალურ წყობილებაში. სავინის თეორიიდან გამომდინარე ეს ცდა პოლიტიკურად უნდა დამარცხებულიყო. ამიტომ მას თავისი სამართლებრივ-პოლიტიკური შეხედულებები იმ დროის საზოგადოების განვითარებისათვის უნდა მიესადაგებინა. ცნობილია, რომ სავინი ეწინააღმდეგებოდა ბურჟუაზიულ სახელმწიფო წყობას, მის ფილოსოფიას, ამიტომ გერმანიაში

ფეოდალიზმის შენარჩუნების მიზნით მან დაიწყო მტკიცება, რომ არსებულ სამართლებრივ სისტემაში მანიფესტირებულია ხალხის სული. ამით კი საეინიმ და მისმა მომხრეებმა საკუთარი გამოკვლევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გერმანიაში კაპიტალისტური სახელმწიფო წყობის მომზადებისა და შექმნის საქმეში. ისინი სულიერი მშობლები იყვნენ ისტორიულად ახალი სახელმწიფო და სამართლებრივი წყობილებისა.

1979, № 2. Staat und Recht.

გერმანულიდან თარგმნა როდამ ფალავამ.

ოფიციალური მასალა

ACTA

კონვენცია იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობის შესახებ *

28 ივნისი, 1930 წელი

კონვენცია ძალაში შევიდა 1938 წლის 1 მაისს, 1989 წლის 1 იანვარსათვის 128 მოსაწილმა. სსრკ უზენაესმა საბჭომ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1956 წლის 4 ივნისს. სსრკ-ს სარატიფიკაციო სიგელაბი დავონირებულია შრომის საერთაშორისო ბიუროს განვალურ მდივანთან 1956 წლის 28 ივნისს. კონვენცია სსრკ-სთვის ძალაში შევიდა 1957 წლის 28 ივნისს.

შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ ქენევაში მოწვეულმა და იქ 1930 წლის 10 ივნისს გამართულმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მეთოთხმეტე სესიამ

გადაწყვიტა მიიღოს დღის წესრიგის პირველი პუნქტის წინადადებები იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობის შესახებ და,

გადაწყვიტა მიეცეს აღნიშნულ წინადადებებს კონვენციის სახე,

მიიღო 1930 წლის 28 ივნისის ქვემოთ კონვენცია სახელწოდებით — 1930 წლის კონვენცია იძულებითი შრომითი საქმიანობის შესახებ, და რომლის რატიფიცირებაც ხდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების თანახმად.

* პუბლიკაცია წარმოადგენს კონვენციის ტექსტის არაოფიციალურ თარგმანს, რომელიც შეასრულა ეკა სუმბათაშვილმა.

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელიც მოახდენს მოცემული კონვენციის რატიფიცირებას, ვალდებულია უმოკლეს დროში აღმოფხვრას იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენება ნე-კრსიერი ფორმით.

2. იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობა გარდამავალ პერიოდში შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ საზოგადოებრივი მიზნით, გამონაკლისის სახით ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებში მოყვანილი პირობების და გარანტიების საფუძველზე.

3. მოცემული კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვასვლის შემდეგ და 31-ე მუხლში გათვალისწინებული მოხსენების საფუძველზე, შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო განიხილავს საკითხს ყველა სახის იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობის შესაძლო გაუქმების შესახებ ხელახალი გადავადების გარეშე და გადაწყვეტს, შეიტანოს თუ არა ეს საკითხი კონფერენციის მუშაობის დღის წესრიგში.

მუხლი 2

1. მოცემულ კონვენციაში ნახსენები ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობა“ აღნიშნავს ყოველგვარ სამუშაოს ან სამსახურს, რომელსაც ადამიანი ასრულებს რაიმე სასჯელის რიდით და რომლის შესრულებასაც ის თავისი ნებით არ ახმარს საკუთარ ძალ-ღონეს.

2. მაგრამ ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობა“ მოცემული კონვენციის მიხედვით არ გულისხმობს:

ა) ყოველგვარ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც სრულდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის საფუძველზე და რომელიც გამოიყენება წმინდა სამხედრო თვალსაზრისით.

ბ) ყოველგვარ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც წარმოადგენს მთლიანად თვითმმართველი ქვეყნის მოქალაქეთა სამოქალაქო ვალდებულებათა ნაწილს.

გ) ყოველგვარ სამუშაოს ან სამსახურს, რომელსაც სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე ასრულებს ესა თუ ის პირი, იმ პირობით, რომ შრომითი საქმიანობა სრულდება სახელმწიფო ორგანოთა მეთვალყურეობით და კონტროლით, და რომ მითითებულ პირს არ დაუთმობენ ან არ გადასცემენ კერძო პირებს, კომპანიებს ან საზოგადოებებს.

დ) ყოველგვარ სამუშაოს ან სამსახურს, რომელთა შესრულება აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის დროს, ომის, უბედურების ან მოსალოდნელი უბედურების დროს, როგორცაა: ხანძრები, წყალდიდობები, შიმშილი, მიწისძვრები, ძლიერი ეპიდემიები ან ეპიზოტები, მავნე ცხოველების, მწერების ან მცენარეთა პარაზიტების თავდასხმის დროს; საერთოდ, ისეთი პირობების შემთხვევაში, რომელნიც მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს ან სიცოცხლეს საფრთხით ემუქრებიან.

ე) წვრილი სათემო სამუშაოები, ანუ ისეთი სამუშაოები, რომელნიც მოცემული კოლექტივისათვის სასარგებლოა, და რომელნიც ითვლებიან ზვეულეებრივ სამოქალაქო ვალდებულებებად იმ პირობის დაცვით, რომ მოსახ-

ლეობას ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ გამოთქვან აზრი აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზანშეწონილობის შესახებ.

მუხლი 3

მოცემულ კონვენციაში ტერმინი „კომპეტენტური ხელისუფალნი“ აღნიშნავს ან მეტროპოლიის ხელისუფლებას ან მოცემული ტერიტორიის ცენტრალურ უმაღლეს ხელისუფლებას.

მუხლი 4

1. კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ნება არ უნდა დართოს და არ უნდა უბრძანოს, იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობა გამოყენებული იქნას კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების სასარგებლოდ.

2. თუ კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების სასარგებლოდ სრულდება იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობა იმ მომენტი-სათვის, როცა ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ მოცემული კონვენციის რატიფიცირება რეგისტრირებულია შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის მიერ, ორგანიზაციის აღნიშნულმა წევრმა სავსებით უნდა აღკვეთოს იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობის გამოყენება მისთვის კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან.

მუხლი 5

1. კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების გამგებლობაში არსებული არცერთი კონცესია არ უნდა იყენებდეს წარმოებაში ან სავაჭროდ განკუთვნილი მოსავლის აღებაში იძულებით ან სავალდებულო შრომით საქმიანობას.

2. თუ კონცესიები შეიცავენ დებულებებს, რომელთაც მოყვებათ იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენება, ეს დებულებანი უმოკლეს დროში უნდა გაუქმდეს, რათა შესრულდეს მოცემული კონვენციის 1 მუხლის მითითებანი.

მუხლი 6

ადმინისტრაციის ჩინოვნიკებმა, თუნდაც მათ ევალუოდეთ მოსახლეობის წახალისება შრომითი საქმიანობის რომელიმე ფორმისადმი, არ უნდა აიძულონ მოსახლეობა ან რომელიმე პირი, იმუშაოს კერძო პირის, კომპანიის ან საზოგადოების სასარგებლოდ.

მუხლი 7

1. უფროსები*, რომელნიც არ ასრულებენ ადმინისტრაციულ მოვალეობებს, არ უნდა იყენებდნენ იძულებით ან სავალდებულო შრომას.

2. უფროსებს, რომელნიც ასრულებენ ადმინისტრაციულ მოვალეობებს, შეუძლიათ კომპეტენტურ ხელისუფალთა ნებართვით გამოიყენონ იძუ-

* იგულისხმებიან ადგილობრივი ტომების ბელადები და სხვა მმართველები.

ლებითი ან სავალდებულო შრომა იმ პირობების საფუძველზე, რომელნიც გათვალისწინებულია მოცემული კონვენციის 10-ე მუხლში.

3. უფროსებს, რომელნიც სათანადოდ არიან აღიარებულნი და რომელნიც არ იღებენ წახალისებას სხვა ფორმით, შეუძლიათ ისარგებლონ პირადი მომსახურებით შესატყვისი რეგლამენტაციის დაცვის პირობით. ამ შემთხვევაში ყოველი ღონე უნდა იქნას ხმარებული, რომ გამოირიცხოს ბოროტმოქმედება.

მუხლი 8

1. პასუხისმგებლობა იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენებისათვის ეკისრება მოცემული ტერიტორიის უმაღლეს სამოქალაქო ხელისუფლებას.

2. მოცემული ტერიტორიის უმაღლეს სამოქალაქო ხელისუფლებას შეუძლია უფლება მისცეს ადგილობრივ ხელისუფლებას იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენოს მოსახლეობა მისი საცხოვრებელი ადგილიდან აყრის გარეშე. ამავე ხელისუფლებას შეუძლია პერიოდულად და მოცემული კონვენციის 23-ე მუხლში ჩამოყალიბებული რეგლამენტაციის საფუძველზე ადგილობრივ უმაღლეს ხელისუფლებას უფლება მისცეს საცხოვრებელი ადგილიდან აყრით მოსახლეობა იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩააბას, თუ ამგვარი სამუშაო აადვილებს ადმინისტრაციის ჩინოვნიკთა გადაადგილებას მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს და ადმინისტრაციის ტვირთის გადაზიდვას.

მუხლი 9

გარდა შემთხვევებისა, რომელთა მიმართ მოცემული კონვენციის 10-ე მუხლი სხვას ითვალისწინებს, ხელისუფლების ორგანო, რომელსაც უფლება აქვს ნება დართოს იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენება, წინასწარ უნდა დარწმუნდეს

1) რომ, შესასრულებელი სამუშაო ან სამსახური პირდაპირ და სერიოზულ ინტერესს წარმოადგენს კოლექტივისათვის, რომელმაც იგი უნდა შეასრულოს.

2) რომ, შესასრულებელი სამუშაო ან სამსახური მოცემული მომენტი-სათვის გარდაუვალი ან აუცილებელია.

გ) რომ, შეუძლებელი გახდა ნებაყოფლობითი სამუშაო ძალის გამოყენება მოცემული სამუშაოს ან სამსახურის შესასრულებლად მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებული იყო ხელფასის გადახდა და სულ მცირე, ისეთი შრომის პირობები, როგორც არის პრაქტიკაში აღნიშნულ ტერიტორიაზე ანალოგიური სამუშაოს ან სამსახურისათვის, და

დ) რომ, შესასრულებელი სამუშაო ან სამსახური მძიმე უღლად არ დაწვება მოსახლეობას, სამუშაო ძალის და მის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მუხლი 10

1. იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობა, რომელიც გადასახადის საფასურად სრულდება, და იძულებითი ან სავალდებულო შრომა,



რომლის მეშვეობით ადმინისტრაციული ვალდებულებების აღმასრულებელი ჩინოვნიკები ასრულებინებენ მოსახლეობას საზოგადოებრივ სამუშაოებს, ანდა აღმოიფხვრას თანდათანობით.

2. ვიდრე გაუქმდება იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენება ზემონახსენებ შემთხვევებში. დაინტერესებული ხელისუფალნი წინასწარ უნდა დარწმუნდნენ:

ა) რომ, შესასრულებელი სამუშაო ან სამსახური წარმოადგენს პირდაპირ და სერიოზულ ინტერესს კოლექტივისათვის, რომელმაც იგი უნდა შესრულოს.

ბ) რომ, შესასრულებელი სამუშაო ან სამსახური მოცემული მომენტი-სათვის გარდაუვალი ან აუცილებელია.

გ) რომ, შესასრულებელ სამუშაოს ან სამსახურის შედეგები მძიმე უღლად არ დააწვება მოსახლეობას არსებული სამუშაო ძალის და მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

დ) რომ, შესასრულებელი სამუშაო ან სამსახური არ აიძულებს მოსახლეობას აიყაროს საცხოვრებელი ადგილიდან.

ე) რომ, შესასრულებელი სამუშაოს ან სამსახურის ხელმძღვანელობა წარმართება რელიგიის, საზოგადოებრივი ცხოვრების და სოფლის მეურნეობის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 11

1. იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება შეუძლიათ მხოლოდ მოზრდილ შრომისუნარიან მამაკაცებს, რომელთა ასაკია სულ მცირე 18 წელი და სულ დიდი — 45 წელი. მოცემული კონვენციის მეათე მუხლში ჩამოთვლილი სამუშაოების გამოკლებით, დაცული უნდა იქნას შემდეგი შეზღუდვები და პირობები:

ა) ყოველ შესაძლო შემთხვევაში ადმინისტრაციის მიერ დანიშნულმა ექიმმა წინასწარ უნდა დაამოწმოს, რომ აღნიშნული პირნი არ არიან რაიმე გადამდები სნეულებით დაავადებულნი და რომ, ფიზიკურად ისინი გამოსადეგნი არიან დაწესებული სამუშაოს შესასრულებლად და იმ პირობებათვის, რომლებშიც უნდა ჩატარდეს სამუშაო.

ბ) გათავისუფლდეს სასკოლო პერსონალი, მოსწავლეები და მასწავლებლები, ასევე მთელი ადმინისტრაციული პერსონალი სამუშაოს შესრულებიდან.

გ) ყოველ კოლექტივში უნდა დარჩეს საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის აუცილებელი რიცხვი მოზრდილი და შრომისუნარიანი მამაკაცებისა.

დ) აუცილებელია ოჯახური და ცოლ-ქმრული ურთიერთობების პატივისცემა.

2. პირველი პუნქტის c ქვეპუნქტში ნაჩვენები, მოცემული კონვენციის 23-ე მუხლში გათვალისწინებული რეგლამენტაციით უნდა განისაზღვროს პირთა რიცხვი მოსახლეობის მუდმივი შრომისუნარიანი მამაკაცებისა, რომელთაც გამოიყენებენ იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესასრულებლად. მაგრამ, ეს რიცხვი არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ამგვარი მამაკაცების რაოდენობის 25%-ს. მოცემული რიცხვის განსაზღვრისას, კომ-

პეტენტურმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის სიმჭიდროვე, მისი საზოგადოებრივი და ფიზიკური განვითარება, წელიწადის დრო და შესასრულებელ სამუშაოთა ხასიათი; სამუშაო აღნიშნულმა პირებმა უნდა შეასრულონ საკუთარი სახსრებით საცხოვრებელ ადგილზე და საერთოდ, პატივი უნდა სცენ მოცემული კოლექტივის ნორმალური ცხოვრების ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საჭიროებებს.

მუხლი 12

1. მაქსიმალური პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ესა თუ ის პირი შეიძლება სხვადასხვა სახის იძულებით ან სავალდებულო შრომით საქმიანობაში ჩააბან, არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 60 დღეს, ამასთან, ამავე პერიოდში შედის დრო, დახარჯული მუშაობის ადგილზე მისვლის და უკან დაბრუნებისათვის.

2. იძულებით ან სავალდებულო შრომით საქმიანობაში ჩაბმულ ყოველ პირს ეძლევა მოწმობა, რომელშიც აღნიშნულია მის მიერ შესრულებული სამუშაოს პერიოდები.

მუხლი 13

1. იძულებითი ან სავალდებულო შრომით საქმიანობაში ჩაბმული ყოველი პირის ნორმალური სამუშაო დღის ხანგრძლივობა უნდა იყოს ისეთივე, როგორცაა სამუშაო დღის ხანგრძლივობა თავისუფალი დაქირავებული შრომის პირობებში; ხოლო ჩვეულებრივი ნორმის ზევით დახარჯულ სამუშაოზე უზღიან იმდენივეს, რამდენსაც თავისუფალი დაქირავებული შრომის პირობებში ზეგეგმითი სამუშაოს შესრულებისას.

2. რომელიმე სახის იძულებით ან სავალდებულო შრომით საქმიანობაში ჩაბმულ ყოველ პირს ეკუთვნის კვირაში ერთი დასვენების დღე, რომელიც შესაძლებლობის მიხედვით, ემთხვევა იმას, რომელიც მოცემული ქვეყნის ან რაიონის ტრადიციების და ჩვეულებების თანახმად დასვენების დღედ არის მიჩნეული.

მუხლი 14

1. მოცემული კონვენციის 10-ე მუხლში ჩამოთვლილი სამუშაოების გარდა, იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყოველგვარი ფორმა უნდა ანაზღაურდეს ნაღდი ფულით იმ ნიხრით, რომელიც არ ჩამორჩება მოცემულ რაიონში დაწესებულ ნიხრს ანალოგიური სამუშაოს შესრულებისათვის ან მოცემულ რაიონში მომუშავეთა შეკრებისათვის დაწესებულ ნიხრს, ამასთან, ნიხრი უნდა იყოს უმაღლესი.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოს შესრულება მითითებულია ადმინისტრაციული მოვალეობების აღმასრულებელი უფროსების მიერ, წინა პუნქტში მითითებული პირობების დაცვით სამუშაოს ანაზღაურება შემოღებულ უნდა იქნას უმოკლეს ვადაში.

3. ხელფასი უნდა გადაუხადონ ყოველ მომუშავეს, და არა მისი ტომის ბელადს ან სხვა რომელიმე ხელისუფალს.

4. ხელფასის გადახდის თვალსაზრისით სამუშაო ადგილზე მისვლის და

უკან დაბრუნებისთვის დახარჯული დღეები ითვლება გამომუშავებულ დღეებად.

5. წინამდებარე მუხლი არ კრძალავს მომუშავეთათვის სასურსათო ულუფის გაცემას ხელფასის ნაწილის სახით იმ პირობით, რომ ეს ულუფები უკიდურეს შემთხვევაში ტოლფასი იქნება იმ ფულადი თანხის, რომელსაც ისინი ცვლიან, მაგრამ ამასთან, არ უნდა მოხდეს ხელფასიდან გამოქვითვა გადასახადის, მომუშავეთა მიერ მოხმარებული საკვები პროდუქტების, ტანსაცმლის და საცხოვრებლისათვის, ვინაიდან ისინი საჭიროა განსაკუთრებულ პირობებში მათი მუშაობის შესაძლებლობის შესანარჩუნებლად. ეს ეხება მომუშავეთა მომარაგებას სამუშაო იარაღებით.

მუხლი 15

1. მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი წესები სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედურების ან საწარმოო დაავადებების შემთხვევებში ანაზღაურებას, და რომლებიც ითვალისწინებენ დახმარების გაწევას პირთათვის, რომელნიც გარდაცვლილი ან შრომის უნარიანობადაკარგულის კმაყოფაზე იმყოფებიან, ვრცელდება იძულებითი ან სავალდებულო შრომით დასაქმებულ პირებზე იგივე პირობებით, როგორც თავისუფალი დაქირავებული შრომითი საქმიანობის დროს.

2. ყოველ ხელისუფალს, რომელიც მომუშავეს ჩააბამს იძულებითი ან სავალდებულო შრომით საქმიანობაში, ეკისრება მისი არსებობის უზრუნველყოფა, თუკი ეს პირი სამუშაოზე მომხდარი უბედური შემთხვევის ან პროფესიული დაავადების შედეგად მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგავს შრომისუნარიანობას, ამავე ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ მომუშავეს კმაყოფაზე მყოფი პირების არსებობა უზრუნველყოს იმ შემთხვევაში, როცა მომუშავე შესრულებული სამუშაოს შედეგად გარდაიცვლება ან კარგავს შრომისუნარიანობას.

მუხლი 16

1. იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩაბმული პირნი განსაკუთრებული გამოწვევის გარდა არ უნდა იქნან გადაყვანილი ისეთ რაიონებში, სადაც კვების და კლიმატური პირობები იმდენად განსხვავდება მათთვის ჩვეული პირობებისაგან, რომ საფრთხეს უქმნის ამ პირთა ჯანმრთელობას.

2. ამგვარი გადაყვანა არ შეიძლება ნებადართულ იქნას, თუ არ განხორციელდა ყველა ღონისძიება, მიმართული მომუშავეთა ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი პიგიენის და საცხოვრებელი პირობების მოწყობისაკენ.

3. თუკი აუცილებელია ამგვარი გადაყვანის განხორციელება, საჭიროა კომპეტენტურ სამედიცინო დაწესებულებებთან კონსულტაციის შემდეგ მიღებულ იქნას ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს მომუშავეთა თანდათანობით შეგუებას ახალი კვების და კლიმატური პირობებისადმი.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც მომუშავენი რეგულარულად ასრულებენ მათთვის უჩვეულო სამუშაოს, უნდა განხორციელდეს ღონისძიებები ამ სახის სამუშაოსადმი მათი თანდათანობითი შეგუებისათვის, განსაკუთრებით, თანდათანობითი შესწავლის, სამუშაო და დასვენების საათების ორგანიზაციის.

კვების რაციონის გაუმჯობესების ან გაზრდის თვალსაზრისით, როგორც ეს იქნება საჭირო.

მუხლი 17

სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოებზე იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენებამდე, თუ ისინი მოითხოვენ დიდ დროს, კომპეტენტური ხელისუფალნი უნდა დარწმუნდნენ:

1) რომ, მიღებულია ყველა საჭირო ზომა მომუშავეთათვის ჰიგიენური პირობების შექმნის, სამედიცინო დახმარების გაწევისათვის, და რომ, კერძოდ:

ა) მომუშავენი გაივლიან სამედიცინო შემოწმებას სამუშაოებზე დაწყებამდე და მთელი მუშაობის მანძილზე გარკვეული პერიოდების გავლის შემდეგ;

ბ) რომ, გათვალისწინებულია საჭირო რაოდენობის სამედიცინო პერსონალის დასაქმება, შექმნილია სათანადო აპარატურით აღჭურვილი დისპანსერები, საავადმყოფოები, პოსპიტლები ნებისმიერი საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

გ) რომ, შექმნილია დამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობები სამუშაო ადგილზე, მომუშავენი უზრუნველყოფილი იქნებიან სასმელი წყლით, სურსათით, სათბობით, და რომ, გათვალისწინებულია აუცილებლობის შემთხვევაში ტანსაცმლით და საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

2) რომ, მიღებულია ზომები მომუშავეს ოჯახის არსებობის უზრუნველყოფისათვის მომუშავეს თანხმობის ან თხოვნის საფუძველზე მისი ხელფასის ნაწილის ოჯახისათვის გაზავნის გაადვილების გზით.

3) რომ, მომუშავეთა მისვლა სამუშაო ადგილზე და უკან დაბრუნება ადმინისტრაციის მზრუნველობის და პასუხისმგებლობის ქვეშაა და ხორციელდება მის ანგარიშზე; რომ, ადმინისტრაცია ყოველ ღონეს იხმარს გაადვილოს გადაადგილება მის განკარგულებაში არსებული ყველა სახის ტრანსპორტის გამოყენების მეშვეობით.

4) რომ, ავადმყოფობის ან უბედურების შემთხვევაში დროებით შრომისუნარდაკარგული მომუშავეს საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ხარჯებს გაიღებს ადმინისტრაცია.

5) რომ, ყოველ მომუშავეს, რომელიც იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობის პერიოდის დამთავრების შემდეგ მოისურვებს სამუშაო ადგილზე დარჩენას თავისუფალი მოქირავნის სახით, ამის სრული უფლება აქვს, და რომ, მას უნარჩუნდება უფლება ორი წლის განმავლობაში საცხოვრებელ ადგილამდე უფასოდ მგზავრობისა.

მუხლი 18

1. იძულებითი ან სავალდებულო შრომა, რომლის მიზანია ადამიანების ან ტვირთის გადაზიდვა, მაგალითად, მტვირთავთა და მენავთა შრომა, აღმოფხვრილი უნდა იქნას უმოკლეს დროში.

აკრძალვამდე, კომპეტენტურმა ხელისუფლებამ უნდა გამოსცეს რეგლამენტაცია, რომელშიც განსაზღვრულია:

ა) აუცილებლობა, შრომის ამგვარი ფორმა გამოყენებულ იქნას მხოლოდ ადმინისტრაციის ჩინოვნიკთა გადაყვანისათვის მათი ფუნქციების შესრულებ-

ბის დროს. ან ადმინისტრაციის ტვირთის გადასაზიდად, ან არაჩინოვნებას გადასაყვანად უაღრესად საჭირო შემთხვევაში.

ბ) აუცილებლობა, ამგვარი შრომითი საქმიანობით დაკავებული იყვნენ მხოლოდ მამაკაცები, რომელნიც გაივლიან წინასწარ სამედიცინო გამოკვლევას და მიჩნეული იქნებიან ფიზიკურად მომზადებულად მის შესასრულებლად. თუკი ამგვარი სამედიცინო დასკვნა არ არის, პირი, რომელიც შრომითი საქმიანობის ზემოაღნიშნულ ფორმას იყენებს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მუშახელს შეუძლია შეასრულოს სამუშაო და არ არის ავად გადამდები სნეულებით.

გ) გადასატანი ტვირთის მაქსიმალური წონა.

დ) საცხოვრებელი ადგილიდან მუშახელის გადაყვანის მაქსიმალური მანძილი.

ე) მაქსიმალური რიცხვი თვის იმ დღეებისა და პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც დაკავებულნი იქნებიან იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობით, ამავე პერიოდში შედის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისათვის საჭირო დღეები.

ვ) პირნი, რომელთაც უფლება აქვთ გამოიყენონ აღნიშნული სახის შრომა და მათი უფლების გამოყენების ფარგლები.

2) გ. დ. ე. ქვეპუნქტებში მითითებული მაქსიმუმის განსაზღვრისას კომპეტენტურმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს მრავალი ფაქტორი, კერძოდ; მოსახლეობის ფიზიკური შესაძლებლობები, მომუშავეთა მიერ ვასავლელი მარშრუტის ხასიათი, კლიმატური პირობები.

3) ამას გარდა, კომპეტენტურმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რომ მტვირთავთა ნორმალური ყოველდღიური მარშრუტი არ აღემატებოდეს მანძილს, რომელიც შეესაბამება 8 სთ-იან სამუშაო დღეს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მხოლოდ ტვირთის სიმძიმე და მარშრუტის სიგრძე, არამედ გზის მდგომარეობა, წელიწადის დრო და სხვა მსგავსი ფაქტორები. იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია მუშაობა ნორმის მაღლა, ამგვარი სამუშაოსათვის უხდიან ნიხრით, რომელიც ჩვეულებრივს აღემატება.

მუხლი 19

1. კომპეტენტურმა ხელისუფლებამ მიწის დასამუშაველად იძულებითი ან სავალდებულო შრომა შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს შიმშილის ან საკვები პროდუქტების უკმარისობის საფრთხე, და ყოველთვის იმ პირობით, რომ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ან სურსათი მათი მომყვანი პირების ან კოლექტივების საკუთრებაში დარჩება.

2. აღნიშნული მუხლი სრულებით არ აუქმებს კოლექტივის წევრთა მოვალეობებს, შეასრულონ კანონით ან კოლექტივის ადამიანთა გათვალისწინებული სამუშაოები, თუკი წარმოება ორგანიზებულია კანონის ფარგლებში, კოლექტივიზმს დაფუძნებულ ადამ-წესებზე და თუ პროდუქტები ან მათი გაყიდვით მიღებული მოგება კოლექტივის საკუთრებაში რჩება.

მუხლი 20

კანონმდებლობა, რომელიც კოლექტივის რომელიმე წევრის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მთელი კოლექტივისათვის სასჯელის მისჯას

ითვალისწინებს, სასჯელის ფორმად არ უნდა გამოიყენოს იძულებითი სავალდებულო შრომითი დასაქმება.

მუხლი 21

იძულებითი ან სავალდებულო შრომა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მალარობებში მიწისქვეშა სამუშაოების შესასრულებლად.

მუხლი 22

წლიური მოხსენებები მოცემული კონვენციის დებულების ცხოვრებაში გატარების შესახებ, რომლებიც უნდა წარუდგინონ შრომის საერთაშორისო ბიუროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 22-ე მუხლის შესაბამისად ორგანიზაციის წევრებმა, რომელთაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება, უნდა შეიცავდნენ რაც შეიძლება სრულ ინფორმაციას მოცემულ ტერიტორიაზე იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობის გამოყენების შესახებ. ასევე მონაცემებს ამგვარი შრომის გამოყენების მიზნების, ავადმყოფობის და სიკვდილიანობის, სამუშაო დღის ხანგრძლივობის, ნიხრის და ხელფასის გადახდის წესის შესახებ და სხვა.

მუხლი 23

1. მოცემული კონვენციის ცხოვრებაში გატარების მიზნით კომპეტენტურმა ხელისუფლებამ უნდა გამოსცეს იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობის გამოყენების სრული და ზუსტი რეგლამენტაცია.

2. კერძოდ, ეს რეგლამენტაცია უნდა შეიცავდეს წესებს, რომლებიც იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობით დასაქმებულ ნებისმიერ პირს უფლებას აძლევს ხელისუფლებას წარუდგინოს პრეტენზია სამუშაო პირობების შესახებ. აღნიშნული წესები უნდა იძლეოდნენ პრეტენზიების განხილვისა და გათვალისწინების გარანტიას.

მუხლი 24

იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობის გამოყენების წესები დაცულ უნდა იქნას ან უკვე არსებული საინსპექციო ორგანოს მეთვალყურეობით, რომელიც ზედამხედველობს თავისუფალ დაქირავებულ შრომას, ან სხვა შესაბამისი სისტემის მეშვეობით; მიღებულ უნდა იქნას ზომები, რათა ამ წესებს გაეცნონ იძულებით ან სავალდებულო შრომით საქმიანობაში ჩაბმული პირნი.

მუხლი 25

იძულებითი ან სავალდებულო შრომითი საქმიანობის უკანონოდ გამოყენება ისჯება სასამართლოთი: ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელიც მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, ვალდებულია უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული სანქციების მკაცრად დაცვა და მათი ეფექტურობა.

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ყოველი ქვეყანა, რომელიც მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, ვალდებული იქნება იღებს გაატაროს იგი მისი სუვერენიტეტის, იურისდიქციის, პროტექტორატის, სიუზერენიტეტის, მზრუნველობის ან მმართველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე იმ ფარგლებში, რომლებშიც მას უფლება აქვს თავის თავზე აიღოს ვალდებულებები შინაური იურისდიქციის საკითხების შესახებ. მაგრამ, თუ ორგანიზაციის ამ წევრს სურს გამოეყენოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის დებულებანი, მან სარატიფიკაციო სიგელს უნდა დაურთოს დეკლარაცია მითითებით.

1) რომელ ტერიტორიებზე გატარდება მოცემული კონვენცია უცვლელად.

2) რომელ ტერიტორიებზე გატარდება მოცემული კონვენცია ცვლილებებით და ამ ცვლილებების შინაარსი.

3) რომელ ტერიტორიებზე განახორციელებს ეს წევრი თავისი გადაწყვეტილებების რეზერვაციას.

2. მითითებული დეკლარაცია ჩაითვლება სარატიფიკაციო სიგელის შემავსებელ ნაწილად და მათგან გამომდინარე შედეგებს თანაბარი მნიშვნელობა ექნებათ. ორგანიზაციის ყველა წევრს უფლება აქვს მომდევნო დეკლარაციით მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს წინა დეკლარაციის დამატებითი შენიშვნები ამ მუხლის 1 პუნქტის 2 და 3-ე ქვეპუნქტების ძალით.

მუხლი 27

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების თანახმად, სარატიფიკაციო სიგელები ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს რეგისტრაციისათვის.

მუხლი 28

1. მოცემული კონვენცია ეხება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა სარატიფიკაციო სიგელები რეგისტრირებულია შრომის საერთაშორისო ბიუროში.

2. კონვენცია ძალაში შედის თორმეტი თვის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა გენერალური დირექტორი მოახდენს ორგანიზაციის ორი წევრის სარატიფიკაციო სიგელების რეგისტრაციას.

3. შემდგომ ორგანიზაციის ყოველი წევრისათვის მოცემული კონვენცია ძალაში შედის თორმეტი თვის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მოხდა მისი სარატიფიკაციო სიგელის რეგისტრაცია.

მუხლი 29

ორგანიზაციის ორი წევრის სარატიფიკაციო სიგელების რეგისტრაციის შესახებ შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი მაშინათვე აცნობებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს. შემდგომ, იგი აცნობებს ორგანიზაციის სხვა წევრების სარატიფიკაციო სიგელების რეგისტრაციის შესახებ.

1. ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელმაც მოახდინა მოცემული კონვენციის რატიფიცირება, უფლება აქვს მისი ძალაში შესვლის დროიდან 10 წლის გასვლის შემდეგ შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი აქტით მოახდინოს კონვენციის დენონსირება. აქტის რეგისტრაციას ახდენს გენერალური დირექტორი. დენონსაცია ძალაში შევა დენონსაციის აქტის რეგისტრაციიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა მოცემული კონვენციის რატიფიცირება, ზემოთ აღნიშნული ათწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ ერთი წლის ვადაში თუ არ მოახდენს დენონსირებას, ხუთი წლის განმავლობაში ვალდებულია შეასრულოს მოცემული კონვენციის დებულებები. შემდგომ, მას უფლება აქვს მოცემული კონვენციის დენონსირება მოახდინოს ამ მუხლში მოყვანილი წესის მიხედვით ყოველი ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 31

მოცემული კონვენციის ძალაში შესვლიდან ყოველი ხუთწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას კონვენციის ცხოვრებაში გატარების შესახებ და გადაწყვეტს, შეიტანოს თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში საკითხი მოცემული კონვენციის მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯვის შესახებ.

მუხლი 32

1. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯავს მოცემულს, ახალი კონვენციის რატიფიცირება ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ავტომატურად იწვევს მოცემული კონვენციის დენონსირებას 30-ე მუხლში მითითებული ყოველგვარი ვადის და სხვა პირობების დაცვის გარეშე. ეს ხდება მაშინ, როცა ახალი კონვენცია ძალაშია შესული.

2. ახალი კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან მოცემული კონვენციის რატიფიცირება ორგანიზაციის წევრების მიერ აღარ მოხდება.

3. მოცემული კონვენცია ფორმითა და შინაარსით ძალაში რჩება იმ წევრთათვის, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი კონვენციის რატიფიცირება.

მუხლი 33

მოცემული კონვენციის ფრანგულ და ინგლისურ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვთ.

დეპუტატობის კანდიდატურას უარსუნი კენჭისყრით ავირჩიოთ

აღრმ არასოდეს ვკითხულობდი გაზეთებში დეპუტატობის კანდიდატურა სიებს, რატომ უნდა დამეკარგა დრო, რა აზრი ჰქონდა? ცხადი იყო, რომ დეპუტატებად აირჩეოდნენ ნომენკლატურული მუშაკები — დეპუტატობა ხომ დამატებითი შემოსავალი იყო, სხვა არაფერი.

დეპუტატობა შემადგენლობისათვის რომ გადაგეხდათ, ორ გამოკვეთილ, ერთმანეთისაგან მტისმეტად დაშორებულ ფენას აშკარად დაინახავდით — თანამდებობის პირებისა და ტაშის დამკვერთა ფენას. მათ ერთმანეთთან სადაც არაფერი ჰქონდათ, ცენტრისგან შემოთავაზებულ პროექტებს უხმოდ მხარს უჭერდნენ. ამ უბედურებამ კანონი დააკნინა. იწერებოდა კანონები და არ სრულდებოდა. რაც დრო გადიოდა ადამიანთა ზნეობაც ეცემოდა. დანაშაულობები მატულობდა.

როცა საქართველოში ნარკომანია შემოიჭრა და დანაშაულმა იმატა, დამნაშვეთა გამოვლინების და პროფილაქტიკის ნაცვლად სანქციების გამკაცრებით უპასუხეს — 15 წლით თავისუფლების აღკვეთამდე აიყვანეს, სამაგიეროდ საქმეთა გახსნა შეამცირეს.

ახლა რაღა დავგრჩენია? თუ ხელისუფლებას სამართლიანი პრინციპით არ ავაგებთ, გულმართალ ადამიანებს არ ავირჩევთ, სიმართლეს გზა არ გაეხსნება. ვინ გვჭირდება პარლამენტში, ვინ უნდა იყვნენ დეპუტატები? ცხადია, ისინი ვინც აზროვნებენ, ვინც მორალურად უფლებამოსილი არიან სხვას ბრალი დასდონ, ვინც იკამათებს, იღავებს სიმართლისათვის.

ამ წერილის ტონი გამოწვეულია ბოლო არჩევნებით. იანვრის თვეში ჩვენს პარტორგანიზაციაში ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ სახელდახელოდ კრება მოაწყო, უფრო სწორად პარტიული კრების შემდეგ შეგვაჩერა. მან სამი გვარი დაგვისახელა, გვარები აღარც მახსოვს და შემოგვთავაზა ისინი დაგვისახელებინა დეპუტატობის კანდიდატებად. ვკითხვარა, რომ თვითონ ესწრებოდა რაიკომთან არსებულ ვეტერანთა საბჭოს სხდომას და ეს სამი კაცი დასასახელებლად ჩვენ გვარგუენსო. ერთმა იკითხა, ვინ არიანო, მაგრამ სხვები წაეჩხუბნენ: დროს ნუ გვაკარგვინებ, უმჯობესია შინ დროზე მივიღეთო და ხალხმაც ხელი ასწია. ჩვენი ორგანიზაციის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარეს ოქმიც წინასწარ დაეწერა, იქვე ხელი მოაწერინა კრების თავმჯდომარეს და მდივანს. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ კრებაზე კანონით დადგენილი ორასი კი არა, ასნიც არ ვიყავით. განა ეს არჩევნებია?

ამომრჩევლის უფლების განხორციელებისათვის მთავარი ის არის, რომ იგი კანდიდატებს უნდა იცნობდეს იმდენად კარგად, რომ მათი შეფასება შეეძლოს.

ზოგიერთს ჰგონია, რომ დეპუტატობის კანდიდატურა სიმრავლეს რაიმე არსებითი მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად ამას უარყოფითი შედეგი მოჰყვება, ამომრჩეველი დაიბნევა. მექანიკურად გადაუსვამს ხაზს მისთვის უცნობ, თუმცა, უკეთეს პიროვნებას.

ახლა ამომრჩეველს რაიკომის მდივნის კანდიდატურა სხვებს, მისთვის უცნობებს უარჩევნია. ასე თუ ისე მას იცნობს. მის შესახებ რაღაც გაუგონია.

ჩემი აზრით, კანდიდატების ისეთი დასახელება, როგორც ახლა მოხდა, დემოკრატიის შე-
ზღუდვაა და არა ადამიანის, ამომრჩევლის უფლების დაცვა.

ჩემი აზრით, კრების მონაწილეთა მიერ კანდიდატიც ფარული კენჭისყრით უნდა იქნას
არჩეული. კრების მონაწილენი აღნიშნული წესით დასახელებულ კანდიდატებს, გარდა იმისა,
რომ დამსახვლებელი წერილობით დაასაბუთებს იმ გარემოებებს და ფაქტებს, რატომაც ასა-
ხელებს ამა თუ იმ პირს ვინაობას, ისედაც იცნობენ თავიანთ მიერ დასახელებულ კანდიდატს და
რაკი კანდიდატის დასახელებაც ფარული კენჭისყრით იქნება, სია იქვე გაიცხრილება. უღირს-
ნი იქვე ჩამოსცილდებიან საქმეს.

ოლია ზანბუში,

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.

კონკურსი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ უზენაე-
სი სასამართლო, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, სა-
ქართველოს იურისტთა კავშირი, საქართველოს დიზაინერთა კავშირი აცხა-
დებენ ღია კონკურსს, სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოების შესაქმ-
ნელად.

სასამართლო ხელისუფლების სიმბოლიკა უნდა მოიცავდეს:

მოსამართლის სამოსელს; მართლმსაჯულების ამსახველ ემბლემას, ად-
ვოკატის სამოსელს, სხდომათა დარბაზის ინტერიერს, რომელშიც უნდა შე-
ვიდეს: მოსამართლის, სახალხო მსაჯულის, ნაფიცი მსაჯულის, მდივნის, პრო-
კურორის, ადვოკატის, თარჯიმანის, ექსპერტის მაგიდა და სკამი; მოწმის
დასაკითხი კათედრა, განსასჯელის სამყოფელი.

სიმბოლიკებში უნდა გამოიხატოს სასამართლო ხელისუფლების მაღალი
სტატუსი, დამოუკიდებლობა, გათვალისწინებული იყოს ეროვნული ტრადი-
ციები და ხასიათი, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სასამართლო წარმოების
გამოცდილება. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც ცალკე-
ულ პირებს, ასევე შემოქმედებით კოლექტივებს და ორგანიზაციებს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია:

ერთი I პრემია — 9000 მანეთის ოდენობით;

ერთი II პრემია — 5000 მანეთის ოდენობით;

სამი III პრემია — თითოეული 2000 მანეთის ოდენობით.

პრემიებული პროექტები, მათი დანერგვის მიზნით, გადავა იუსტიციის სამინისტროს საკუთრებაში. I პრემიის ავტორი ან ავტორთა კოლექტივი მიიღებს დაკვეთას პროექტის ნატურაში რეალიზაციისათვის.

საკონკურსო პროექტების ჩაბარება ხდება დადგენილ ვადებში, როგორც პირადად ასევე ფოსტით. მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს დევიზით, ხუთნიშნა რიცხვით (რიცხვების სიმაღლე 2 სმ). დევიზი იწერება პლანშეტის ზემო კუთხეში, მარჯვენა მხარეს და კონვერტზე, რომელშიც უნდა ჩაიდოს საინფორმაციო ფურცელი. ფურცელში მითითებული უნდა იყოს გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი (ინდექსი), დაბადების წელი და სპეციალობა. თუ პროექტი შესრულებულია ავტორთა ჯგუფის მიერ, კონვერტში უნდა ჩაიდოს ფურცლები თითოეული ავტორის მონაცემებით და პრემიის პროცენტული განაწილებით. რესპუბლიკის რეგიონების მცხოვრებთათვის პროექტის ჩაბარების თარიღად ჩაითვლება საფოსტო გზავნილის ქვითრის თარიღი, რომელიც თან ერთვის პროექტს.

საკონკურსო პროექტები უნდა შესრულდეს მუყაოს პლანშეტებზე ფერში, ზომით 75×75 სმ. ესკიზების შესრულების მანერა და მასალა ნებისმიერია. პროექტს თან უნდა დაერთოს ნაბეჭდი განმარტებითი ბარათი ძირითადი იდეის აღწერილობით. დასაშვებია საილუსტრაციო მაკეტების წარმოდგენაც.

პროექტების ჩაბარების ვადაა 1990 წლის 3 დეკემბერი.

კონკურსის მასალებისა და ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს დი-
ზაინერთა კავშირს. ტელ: 23-18-22, 23-18-40.

ქ. თბილისი 380030.

ბარნოვის 137.

«САХЕЛМЦИПО ДА САМАРТАЛИ» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

875/102

შპს 60 კპპ.

ინფორმაცია 76185

